ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

13 მარტიდან!

„ახალი თაობა“

+

შექსპირი

8 ლარი




ოთხშაბათი, 13 მარტი, 2013 №60 (6061) ფასი: 30 თეთრი

# ნაციონალები ბიზნესმენებს „ქრისტიან-დემოკრატებისთვის“ ფულის ჩარიცხვას აიძულებდნენ

გვ.3



## ბიძინა ივანიშვილი: „მირგვლიანის საქმის გამოძიება ჩქარდება და მერაბიშვილს ცუდად აქვს საქმე“

გვ.5



## ჯონდი ბაღათურია: „ბენდუქიძემ და გიული ალასანიამ განათლების სფეროში მონოპოლიები შექმნეს“

გვ.6

# შსს-მ ნარკორეალიზატორთა ჯგუფი დააკავა

გვ.2

## ქოზიფას მამათა მონასტერში ხანძარმა ერთი შენობა მთლიანად გაანადგურა

გვ.5



დაზარალებულებს ფინანსურად ქარელის გამგეობა დაეხმარება

## შალვა ხაჭაპურიძე: „ყველაფერი გაჩერებულია, ბიზნესის აზროვნება ჩამკვდარია“

გვ.2



## აკაკი მინაშვილი: „უსუფაშვილმა ევროპარლამენტარებს შეურაცხყოფა მიაყენა“

გვ.5



## მიხეილ სააკაშვილი: „ხელისუფლება საქართველოს ყველაზე თანამედროვე უნივერსიტეტის დახურვას ცდილობს“

გვ.3





გვ.4

## მაია ფანჯიკიძე: „საქართველო ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას არ შეურიგდება“

2 პოლიციამ მკვლელობაში ბრალდებული ცხელ კვალზე დააკავა

4 საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალს მისივე ბორდის წევრის კომპანია ბეჭდავდა

2 ქართული მხარე ცხინვალის რეგიონში მავთულხლართების ფიქსაციის პრობლემას ჟენევაში დააყენებს

4 გიორგი მარგველაშვილი: „აგრარული უნივერსიტეტი აკრედიტაციის ადგენას ნებისმიერ მომენტში შეძლებს“

# შალვა ხაჭაპურიძე: „ყველაფერი გაჩერებულია, ბიზნესის აზროვნება ჩამკვდარია“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ ადვოკატ შალვა ხაჭაპურიძესთან

***— ბატონო შალვა, როგორც ადვოკატი და იურისტი, როგორია თქვენი შეფასებები ვენეციის კომისიის დასკვნასთან დაკავშირებით? დღეს ეს ერთ-ერთი აქტუალური საკითხია...***

— მთავარი ვენეციის კომისიის დასკვნაში რამდენიმე გარემოებაა. პირველი ის, რომ პოლიტპატიმრების და ამნისტიის საკითხი დადებითად იქნა შეფასებული, მეორე ის, რომ საჭიროდ ჩათვალა საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელება იმ მიმართულებით, რასაც კოალიცია უსვამდა ხაზს და მიაჩნდა საჭიროდ მისი გატარება. მესამე და ყველაზე მნიშვნელოვანი, იუსტიციის საბჭოს დაკომპლექტების წესის ის ვარიანტი გაიზიარა, რომლის პარლამენტში გატანასაც ქართული ოცნება აპირებდა. ძირითადი საკითხები ეს არის და აქედან გამომდინარე ნაციონალები არ იშლიან თავისას და, როგორც წესი, სხვა დასკვნებისა არ იყოს, ამ დასკვნასაც თავის ჭკუაზე ატრიალებენ და თავის ჭკუაზე განიხილავენ და აფასებენ. მე მოვუწოდებ საზოგადოებას, რომ ამ ადამიანების გამონათქვამებს საერთოდ აღარ მიაქციონ ყურადღება. ალბათ საჭიროა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, რომ ამ პოლიტიკურ ძალას თავისი ადგილი მიეჩინოს ერთხელ და სამუდამოდ. ისინი უნდა წავიდნენ პოლიტიკიდან ისე, როგორც ამას იმსახურებენ. მათ გამონათქვამებზე კომენტარები უკვე არასერიოზულადაც კი მიმაჩნია. მათი მთავარი მიზანია, რომ დღეს რამენაირად შეინარჩუნონ ქონება და რაც შეიძლება ნაკლები მათი წევრი აღმოჩნდეს ციხეში. აი, ეს არის მთელი მაგათი პოლიტიკა, მაგათი სახელმწიფო, ქართული აღმშენებლობა და ასე შემდეგ, ოღონდ თავი გადაირჩინონ.

***— ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ახსენეთ და რამდენად განიხილება ეს ქართულ ოცნებაში, ან თუ არის ამის ბერკეტები, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დაინიშნოს?***

— მე ვფიქრობ, რომ ჯერ საპრეზიდენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს და საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, თვითონ ცხოვრება და პოლიტიკური სიტუაცია მიგვიყვანს იმ მდგომარეობამდე, რომ ჩატარდეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. იმიტომ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, მმართველ პარტიას უნდა ჰყავდეს ოპოზიცია. ამას ითხოვს ქვეყნის განვითარების პრინციპი და ამაზეა დამყარებული მთელი მსოფლიო პოლიტიკა. ახლა, ნაციონალური მოძრაობა რომ ოპოზიცია არ არის და ეს არის რაღაც პაროდია, თავის თავზე შეყვარებული და თავის გადარჩენისთვის და არა ქვეყნის კეთილდღეობისთვის მებრძოლი ძალა, ამაში საზოგადოების დიდი დარწმუნება არ დაგვჭირდება. მე ვფიქრობ, რომ პარლამენტში ქართული ოცნება უფრო მეტად უნდა იყოს წარმოდგენილი და არ უნდა ექმნებოდეს ის პრობლემები, რომელსაც ნაციონალური მოძრაობა უქმნის ხელოვნურად. მეორეც, უნდა გააქტიურდნენ სხვა ოპოზიციური ძალები, რომლებიც დღეს გვერდით არიან გაწეული და გაჩუმებულები. ამ ადამიანებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, რომ მიიღონ მონაწილეობა საპარლამენტო არჩევნებში. ნაციონალებმაც მიიღონ, მათ კი არავინ უკრძალავს, მათაც მიიღონ მონაწილეობა. ოღონდ ხალხი დადებს იმ სურათს, რაც რეალური გამოხატულება იქნება დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობის. ამიტომ ეს საკითხი დღის წესრიგში აუცილებლად დადგება. რა თქმა უნდა, ჩვენ შეგვიძლია ეს პარლამენტი ყურით მივათრიოთ მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე, ასე ძალით, ოღონდ არ დაიშალოს პარლამენტი, მაგრამ მაშინ პოლიტიკური ცხოვრება ქვეყანაში აღარ იქნება და ეს კარგს არაფერს მოუტანს ჩვენს ქვეყანას. ჯობია ჯანსაღი პო-



ლიტიკური ძალები იყვნენ პარლამენტში წარმოდგენილნი, მიდიოდეს მათ შორის პოლემიკა, კამათი, აზრთა სხვადასხვაობა, ანუ ჯანსაღი პოლიტიკური ცხოვრება მიდიოდეს. ერთხელ და სამუდამოდ გადავიდეს ქვეყანა რეალურად ნორმალურ პოლიტიკურ რეჟიმში, ვიდრე ესენი ძალით მივათრიოთ, ასე ვთქვათ, მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე. არავის ისინი არ სჭირდება.

***— 40%-ს ვეღარ აიღებენ?***

— ბარიერის გადალახვაც გაუჭირდებათ. მე ამას არჩევნების წინაც ვამბობდი და ახლაც ვამბობ, რომ თუ ეს ბარიერი დარჩება, ამ ბარიერს ვერ გადალახავენ ვერანაირად. ეს წარმოუდგენელია. ვერ გადალახავენ და იქნებიან ქუჩაში, ოპოზიციაში და დიდი ამბავი. სააკაშვილი რომ პრეზიდენტი აღარ იქნება, ისედაც დაიშლებიან სხვადასხვა ფრაქციებად და სხვადასხვა პარტიებად. აი, ნახავთ, სულ სხვა პოლიტიკური პროცესები წავა. ამ ახალ პროცესებს კი ქვეყანა და სახელმწიფო უნდა შეხვდეს ახალი რეალობით. რეალურად ვინც იმსახურებს ხალხის ხმებს, ის პარტიები უნდა იყვნენ პარლამენტში. დღეს ასეთი პარტიები არიან ოპოზიციაში. ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ უნდა მივილოთ ის პარლამენტი და გადავიდეთ იმ საპარლამენტო ცხოვრებაზე, სადაც დემოკრატიული არჩევნების გზით მოსული პარლამენტარები იქნებიან პარლამენტში. უფრო პროფესიონალები, უფრო დახვეწილები და არა სკამის პოლიტიკოსები.

***— თქვენ განაცხადეთ, რომ სააკაშვილის წასვლის შემდეგ ნაციონალებიც დაიშლებიანო და დღეს სააკაშვილი აერთიანებს მათ ფრაქციას?***

— კი, აუცილებლად დაიშლება. არამარტო სააკაშვილი აერთიანებს, სააკაშვილის გარდა არის კიდევ სხვა მიზეზებიც, იგივე, რასაც ვამბობდი იუსტიციის საბჭოს შესახებ. დღეს მოქმედი წესით, მოსამართლეები ფაქტიურად იუსტიციის საბჭოს ხელში არიან. კოტე კუბლაშვილიც გახდა ახლა რობინ ჰუდი. ტყეში რომ გაუშვა მარტო, შიშით სახლში ვერ მივა კაცი. როგორც კი იუსტიციის საბჭო გამოეცლებათ, როგორც კი საპრეზიდენტო საყრდენი გამოეცლებათ, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიც იშლებიან, ვხედავთ ჩვენ. მართალია მტკივნეულად, მაგრამ იშლებიან. ეს ბერკეტები რომ გამოეცლებათ, ვიღას ემახსოვრება ნაციონალური მოძრაობა. ნაციონალური მოძრაობა კი არა, ეროვნული გმირები აღარ ახსოვთ, იმდენად გაჭირვებულ მდგომარეობაშია დღეს ქართველი ერი. ხალხს დღეს სხვა მოთხოვნები აქვს, ქვეყანა საერთოდ სხვა მოთხოვნების წინაშე დგას. ყურებაც აღარ მინდა ამ საინფორმაციო არხების, ის დაიჭირეს, ის გამოუშვეს, ამას გირაო და დაიღალა ხალხი ამ ციგნობით, ნორმალურ ქვეყანაში გვინდა ცხოვრება. ესაა დღეს მოთხოვნა. მთელი ერის კონცენტრაცია უნდა მოხდეს იქითკენ, რომ შეიქმნას საშუალო ფენა, განვითარდეს ბიზნესი. ვერ ხედავთ, რას დაემსგავსა ქვეყანა?| ჩემი ტელეფონი არ ჩერდება დღის განმავლობაში, იქნებ იქ დამაწყებინო მუშაობა, იქნებ სადმე დამასაქმო, რამე მიშოვო... ხელფასების ერად ვიქეცით ხალხო! არანაირი ბიზნესი არ კეთდება, აბსოლუტურად ყველაფერი გაჩერებულია, ბიზნესის აზროვნება არის ჩამკვდარი.

***— რატომ არის ჩამკვდარი, ხომ შეიცვალა ხელისუფლება?***

— იმიტომ, რომ რაც საბჭოთა რეჟიმიდან გამოვედით, მის მერე ვართ მონოპოლიზაციის რაღაც გაუგონარ სიტუაციაში და ახლა ბიძინა ივანიშვილი სამ კვირაში სასწაულებს ვერ მოახდენდა. ამას ეტაპები სჭირდება. ამას სჭირდება უზარმაზარი ფიქრი, ადამიანების ტვინი უნდა გადაერთოს ბიზნესისკენ. ხელფასების ერად ვიქეცით. ოღონდ ხუთასიდან ათას ლარამდე მიეცი ხელფასი და წამოვა აგერ ტვინით სავსე ვაჟკაცი, რომელსაც დამთავრებული აქვს ეკონომიური და ბიზნესის მართვის ფაკულტეტი, წამოვა და კარისკაცად დადგება, ოღონდ ხელფასი ჰქონდეს და იმის იქით აღარ უნდა არაფერი. ქვეყანაში მენტალიტეტი და აზროვნება უნდა შეიცვალოს. ჯერ კიდევ ვართ საბჭოთა კავშირში, ხალხო! აი, ამის ნგრევის პროცესი დაიწყო პირველი ოქტომბრიდან. სანამ საშუალო ფენა არ შეიქმნება, მანამ ამ სახელმწიფოს არაფერი არ ეშველება. დღევანდელი ქართული ოცნების მოქმედება აქეთკენ არის მიმართული, რომ რამენაირად შეიქმნეს საშუალო ფენა და, რა თქმა უნდა, მდიდარი ფენა და, შესაბამისად, აღარ იქნება ღარიბი და გაჭირვებული. ნაციონალები კი ცდილობენ უკან ჩაითრიონ წარსულში, ეს სასაცილო მცდელობაა, მაგრამ ისინი მაინც თავისას ცდილობენ.

***— საუბარია, რომ ბიზნესს ისევ ნაციონალები აკონტროლებენო და ასეა?***

— არა, კარგი განმარტება სჭირდება ამას, ნაციონალები კი არ აკონტროლებენ, მათ შექმნეს მონოპოლიები, რომელი მონოპოლიების დანგრევაც, ვიღაცები ამბობენ, რომ გარკვეულ კატაკლიზმებს გამოიწვევსო, თუმცა მე მაგ აზრის არა ვარ. არსებობს საბაზრო ეკონომიკის კანონები და თუ საბაზრო ეკონომიკის კანონებით ვიმოქმედებთ, მაშინ უნდა დაანგრიო ისინი. რამდენ ხანს შეიძლება ამის ყურება და ინგრევა კიდეც, ძალიან ბევრი დაინგრა ბოლო პერიოდის განმავლობაში. ნელ-ნელა ეს ეტაპი გაგრძელდება და მე ვფიქრობ, მომდევნო პირველი ოქტომბრისთვის მათ მიერ აწყობილი სქემები მე მგონი ქვეყანაში აღარ იქნება. ნაციონალები ვეღარაფერსაც ვეღარ აკონტროლებენ. შემორჩენილია რაღაც სეგმენტები, იმ დაუსჯელობის ფონზე, რასაც დღევანდელი დანაშაულებრივი სასამართლო ხელისუფლება ახორციელებს, ცდილობენ გადაქაჩონ ეს ქონებები სხვაგან და მათი შემცვლელები დასვან ამ ბიზნესებში; მაგრამ როგორც კი საბაზრო ეკონომიკა იწყებს ამუშავებას, ისეთი უტვინო ხალხი, როგორიც ნაციონალები არიან, ვერ უძლებენ საბაზრო ეკონომიკას და ეს, რა თქმა უნდა, გადანაწილდება იმ ადამიანების ხელში, ვინც იქნება წარმატებული და მომავალი ძლიერი ბიზნესმენი. ეს ეტაპები გასავლელი გვაქვს. ჩვენ მივეჩვიეთ იმას, რომ მოვარდებოდა ერთი ხელისუფალი, ჩაქოლავდა მეორეს. არ გვინდა ჩვენ ასეთი განვითარება, რევოლუციური განვითარება, ჩვენ გვინდა ევოლუციური განვითარება. დარწმუნებული ვარ, რომ ნაციონალები სამართლებრივად პასუხს აგებენ და ეს ყველაფერი მათ ხელში არ დარჩება.

***— თქვენ უსამართლო სასამართლოები ახსენეთ და რეალურად როდიდან დაიწყება სამართლიანობის აღდგენა და აღარ იქნება ის ცირკი, რაც დღეს სასამართლოებშია?***

— როგორც კი იუსტიციის საბჭო დაკომპლექტდება ახალი კანონმდებლობის შესაბამისად, ჩათვალეთ, უკვე იმ დღიდან სასამართლოს ვეღარ იცნობთ. მე ამ სისტემაში 7-8 წელი ვიმუშავე და ძალიან კარგად ვიცი. იუსტიციის საბჭო დღეს არის სადამსჯელო ორგანო, მოსამართლეებს ეუბნება, არ გააკეთებთ ისე, როგორც კუბლაშვილი და სააკაშვილი გეუბნებათ, მაშინ ქუჩაში დარჩებით. ახლა წარმოიდგინეთ იმ მოსამართლის მდგომარეობა, რომელმაც იცის, რომ მთელი 9 წლის განმავლობაში რეჟიმს ემსახურა და ახლა იგივე რეჟიმი რომ ქუჩაში გააგდებს. საშინელ დღეში არიან ეს ადამიანები, ფსიქოლოგიურად მართლა მეცოდებიან. მაინც ფიქრობენ, ჯობია ამათთან ვიყოთ, სანამ ქუჩაში გაგვყრიან. როგორც კი იუსტიციის დაკომპლექტების წესი შეიცვლება და დაკომპლექტდება უკვე ისე, როგორც ამას ახალი კანონმდებლობა ითხოვს, ჩათვალეთ, რომ სასამართლოს ვეღარ იცნობთ. აი, მაშინ დავინახავთ, მართლაც როგორი უნდა იყოს რეალური სასამართლო, თუმცა ამას წლები დასჭირდება და ალბათ ნორმალური განვითარების შემთხვევაში, 20 წელი მაინც დასჭირდება, რომ ჩვენ მივიღოთ ნორმალური სასამართლო. ეს ძალიან რთული პროცესია. მე დაახლოებით ისეთ სასამართლოს ვგულისხმობ, როგორიც, მაგალითად, გერმანული სასამართლო და სხვა ევროპული სასამართლოებია.

***— ახალი ტენდენცია დამკვიდრდა, გაქცეული ჩინოვნიკები უკან ბრუნდებიან. შაშკინი დაბრუნდა, ახლა საუბარია ადეიშვილის დაბრუნებაზე. რა ხდება, თავად ნაციონალები აიძულებენ დაბრუნებას თუ აღარ დაედგომებათ იქ, სადაც არიან?***

— შეიძლება ერთიც იყოს და მეორეც. ბრუნდებიან და დაბრუნდნენ, ყურებზე ხახვი არავის დააჭრან. შაშკინი იქ იქნებოდა თუ აქ იქნება, ამით ქვეყანას არც არაფერი აკლდება და არც ემატება. ადეიშვილი რომ ჩამოვა, დააპატიმრებენ მაგ უბედურს, შეაგდებენ ციხეში. ბრძანებაა გაცემული მის დაპატიმრებაზე. ბოლომდე სააკაშვილის მონებად დარჩნენ. აბსოლუტურად სწორს ამბობთ, სააკაშვილის ბრძანებით მოქმედებენ, რომ აი, ჩვენ დავბრუნდებით... რა გითხრათ, აბა, ეგენი ოცნებებში თუ დაბრუნდებიან ქართულ პოლიტიკაში.

## პოლიციამ მკვლელობაში ბრალდებული ცხელ კვალზე დააკავა

სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, განზრახ მკვლელობის ბრალდებით, 1959 წელს დაბადებული, ხვიჩა ბ. დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ბრალდებულმა ზუგდიდის რაიონის სოფელ ნარაზენში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, იმავე სოფელში მცხოვრებ სულიკო ბერიშვილს, გულმკერდის არეში დანით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე საათში, ცხელ კვალზე გატარებული სამძებრო ღონისძიებების შედეგად სენაკში დააკავეს, ხოლო დანაშაულის იარაღს, ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ეზოში ჩხრეკის შედეგად მიაკვლიეს. გამოძიებას სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველო საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით აწარმოებს. ჩადენილი დანაშაული შვიდიდან თხუთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ნიუსპრესი

## შსს-მ ნარკორეალიზატორთა ჯგუფი დააკავა

თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს მე-4 ანყოფილების თანამშრომლებმა, მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ნარკოტიკის რეალიზაციისთვის, წარსულში ნასამართლევი ალექსანდრე დ. ააკავეს.

ნარკოდანაშაულისთვის ასევე დაკავებულები არიან გიორგი ქ, ირაკლი ლ. და ოთარ გ. სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ძიებით გაირკვა, რომ დაკავებულებმა ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“ ნარკორეალიზატორ ალექსანდრე დ-სგან შეიძინეს. თბილისსა და ბორჯომში ერთდროულად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, დაკავებულების პირადი და საცხოვრებელი ბინების ჩხრეკისას 2 კილოგრამამდე ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“, ხოლო ალექსანდრე დ-ს ბინიდან, ოთარ გ-სგან ნარკოტიკის შესაძენად გადაცემული ფულიც ამოიღეს.

ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ოთხივე დაკავებული, დაკავების მომენტში, ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. დაკავებულები ჩადენილ დანაშაულს აღიარებენ. გამოძიება ალექსანდრე დ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილით, ოთარ გ-ს მიმართ 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ხოლო დანარჩენი დაკავებულების მიმართ კი 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს.

ნიუსპრესი

## ქართული მხარე ცხინვალის რეგიონში მავთულხლართების ფიქსაციის პრობლემას ჟენევაში დააყენებს

ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით მავთულხლართების ფიქსაციის პროცესთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო -ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორი დავით სუჯაშვილი კომენტარს აკეთებს. სუჯაშვილის თქმით, ეს პროცესი უკვე 1 წელია მიმდინარეობს. მისივე განცხადებით, ქართულმა მხარემ შესაძლებელია არსებული პრობლემა ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების ფორმატის შეხვედრებზეც დააყენოს.

„კონფლიქტისპირა ტერიტორიაზე ეს პროცესი 1 წლის წინ დაიწყო. პრობლემა სამწუხაროდ ახალი არ არის. შინაგან საქმეთა სამინისტრო აქტიურად არის ჩართული ერგნეთში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ჯგუფის მუშაობაში, სადაც ბოლო ორი თვის განმავლობაში ეს საკითხი ერთ-ერთ მთავარ თემად განიხილებოდა. არ არის გამორიცხული, რომ ქართულმა მხარემ ეს პრობლემა ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების ფორმატის შეხვედრებზეც დააყენოს. კონფლიქტისპირა რეგიონებში მავრთულხლართების ფიქსაციის საკითხის განხილვას, საქართველოს მთავრობა ერგნეთში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ჯგუფის მორიგ შეხვედრებზეც გეგმავს“— განაცხადა დავით სუჯაშვილმა „ნიუსპრესთან“ საუბარში.

ნიუსპრესი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

## მწვანე ალტერნატივა მშენებარე ჰესების თაობაზე პრემიერ-მინისტრს მიმართავს

არასამთავრობო გარემოსდაცვითმა ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივამ,“ საქართველოში მიმდინარე და დაგეგმილი ჰესების პროექტების თაობაზე, პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს წერილით მიმართა.

„მწვანე ალტერნატივის“ მიმართვაში, ჰიდროენერგეტიკული პროექტების განვითარებასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და პრაქტიკის უარყოფით მხარეებზეა საუბარი.

ორგანიზაციაში მიიჩნევენ, რომ სამთავრობო გუნდის ცალკეული წევრები წინა ხელისუფლების გაკვალული გზით სიარულს აგრძელებენ და უარს არ ამბობენ გარემოსდაცვითი კანონმდებლობის უგულებელყოფით ინიცირებულ პროექტებზე, რისი მიზეზიც მათი პოლიტიკური გამოუცდელობა ან გარკვეული ინტერესთა კონფლიქტები შეიძლება იყოს. ჰიდროენერგეტიკული პროექტების განვითარებასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და პრაქტიკის გაუმჯობესებისათვის ორგანიზაცია პრემიერს კონკრეტულ რეკომენდაციებსაც სთავაზობს.

„მწვანე ალტერნატივა“ მიიჩნევს, რომ მიმართვაში მოყვანილი ღონისძიებები გადაწყვეტილებების მიმღებებს, გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური თვალსაზისით, გაწონასწორებული, ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარება, მისაღები იქნება ინვესტორებისთვისაც და ამასთანავე, ხელს შეუწყობს ქვეყნის გაცხადებულ მიზანს, გახდეს ევროპის ენერგოთანამეგობრობის წევრი.

მიმართვაში ყურადღება გამახვილებულია ასევე ყაზბეგის რაიონში, ხდის ხეობაში დაგეგმილი ჰესის მშენებლობის პროექტზეც.

„მწვანე ალტერნატივას“ მიაჩნია, რომ ეს პროექტი და მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები ერთგვარი ინდიკატორი იქნება იმისა, გაგრძელდება თუ არა „ჩვეული პრაქტიკა“ ან რამდენად შეასრულებს მომავალში წინაარჩევნო დანაპირებს „ქართული ოცნება“ - არამარტო გარემოს დაცვის პრიორიტეტულობის, არამედ ელიტურ კორუფციასთან ბრძოლისა და ევროკავშირთან დაახლოების თვალსაზრისითაც.

ნიუსპრესი

## მიხეილ სააკაშვილი: „ხელისუფლება საქართველოს ყველაზე თანამედროვე უნივერსიტეტის დახურვას ცდილობს“



საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აგრარული უნივერსიტეტის გარშემო განვითარებულ მოვლენებს ეხმაურება და მთავრობას გადაწყვეტილების გადახედვისკენ მოუწოდებს.

ამის შესახებ განცხადებას პრეზიდენტი, „ფეისბუქის“ საკუთარ, ოფიციალურ გვერდზე აკეთებს.

„ხელისუფლება საქართველოს ყველაზე თანამედროვე და პროგრესული უნივერსიტეტის დახურვას ცდილობს. ამით ის დარტყმას აყენებს საქართველოს მომავალს. სრულიად ნათელია, რომ ეს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელი და უსამართლოა ყველასთვის, ვისაც ობიექტურობის ნატამალი მაინც შერჩენია. მოვუწოდებ მთავრობას, გადახედოს პოლიტიკურად მოტივირებულ გადაწყვეტილებას, რომელმაც შესაძლოა კატასტროფულ შედეგებამდე მიგვიყვანოს“, — აცხადებს სააკაშვილი.

ნიუსპრესი

## სასაზღვრო პოლიციამ ჩაქვის საზღვაო რაიონში თევზმჭერი გემი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, თევზჭერის წესების დარღვევის ფაქტზე, ჩაქვის საზღვაო რაიონში, საქართველოს დროშით მცურავი სეინერი დააკავეს.

სასაზღვრო პოლიციის პრესსამსახურის ინფორმაციით, სეინერის კაპიტანს,იგორ ბ.-ს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 86-ე მუხლის II ნაწილის შესაბამისად, ფულადი ჯარიმა დაეკისრა.

ნიუსპრესი

# ნაციონალები ბიზნესმენებს „ქრისტიან-დემოკრატებისთვის“ ფულის ჩარიცხვას აიძულებდნენ

გულიკო ბალაძე

**როგორც ირკვევა, სამართალდამცავი ორგანოებისა და ფინანსური პოლიციის მონაწილეობით ნაციონალურ მოძრაობას დიდი ალებმიცემობა ჰქონდა გაჩაღებული. მაქინაციებში მონაწილე ლიდერების ნაწილი დღესაც მუშაობს და განაგრძობს ძველებურ საქმიანობას. ისინი ისევ ცდილობენ ადამიანების დატერორებას. ამიტომ ახალი ხელისუფლების პირველი პირების პასუხისმგებლობაა ძველი კადრების დატოვება იმ სტრუქტურებში, რომლებსაც სამართლიანობის აღდგენა ევალებათ.**

გუშინ „თბილისი მერიოტში“ გამართულ პრესკონფერენციაზე ბიზნესმენმა ვალერი შოშიაშვილმა და მისმა ადვოკატებმა (დიმიტრი გაბუნიამ და მამუკა მდინარაძემ) სამართალდამცავი და საფინანსო სტრუქტურების ყოფილი მაღალჩინოსნები ბიზნესის ტერორში, ნაციონალების სასარგებლოდ ფულის გათეთრებასა და ქრისტიან-დემოკრატებისთვის წინასაარჩევნოდ ფულის გადარიცხვის იძულებაში ამხილეს.

ბიზნესმენმა ვალერი შოშიაშვილმა განაცხადა, რომ მას აიძულებდნენ ქრისტიან-დემოკრატების დაფინანსებას და 2008 წლის მაისის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში ამ მიზნით მათ გადაურიცხა 50 ათასი ლარი. ბიზნესმენით განცხადებით, მას აიძულებდნენ, ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელთა მიერ მიტანილი ნაღდი ფულები ისევ ნაციონალური მოძრაობის ანგარიშზე გადაერიცხათ.

შოშიაშვილს სამი კომპანია ჰქონდა. ცოტა ხნის წინ პროკურატურამ გამოაქვეყნა ფაქტები, როგორ აიძულებდნენ ბიზნესმენებს, 8 ათას ლარიანი ქონება აუქციონზე ასტრონომიულ ფასებში ეყიდათ. ამის ერთ-ერთი კონკრეტული მაგალითია ბიზნესმენი ვალერი შოშიაშვილი, რომელსაც ოჯახის წევრების დაჭერით ემუქრებოდნენ, თუ არ გააკეთებდა იმას, რასაც ისინი მოითხოვდნენ.

— დღეს ქვეყანაში მიდის სამართლიანობის აღდგენის პროცესი, თუმცა, შემზარავია ის ფაქტები, რომლებიც შეეხება ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნების, პროკურატურისა და საფინანსო პოლიციის მეშვეობით ბიზნესის ტერორს. სახეზეა დაზარალებული ბიზნესმენი ვალერი შოშიაშვილი. მას, პრაქტიკულად, ისე, რომ არ უნახავს ქონება, ყვარლის მუნიციპალიტეტში შეაძენინეს გრემის კულტურის სახლი 700 ათას ლარად, რომელიც აუდიტის მიერ 8 ათას ლარადაა შეფასებული. თუ არ გადაიხდიდა 700 ათას ლარს, მას და მისი ოჯახის წევრებს დაჭერითა და მთელი რიგი უკანონო ქმედებებით ემუქრებოდნენ. ამასთან ერთად, მას დამატებით მოსთხოვეს 300 ათასი ლარი, — განაცხადა ადვოკატმა დიმიტრი გაბუნიამ.

დიმიტრი გაბუნიას თქმით, საუბარი იყო ფულის ნაციონალური მოძრაობის ანგარიშზე შეტანაზე.

— შესაბამისად, წინასაარჩევნოდ ნაციონალური მოძრაობის ანგარიშზე ფული გადაირიცხა, რაც შემზარავი და აბსოლუტურად დანაშაულებრივი ქმედებაა თვითონ პროკურატურის მაღალჩინოსნების მხრიდან. ამ კონკრეტულ ფაქტებთან დაკავშირებით დაწყებულია გამოძიება, — განაცხადა დიმიტრი გაბუნიამ.

პრესკონფერენციაზე დაასახელეს პროკურატურის მაღალჩინოსნები, პროკურორები და გამომძიებლები, რომლებიც უშუალოდ ეკონტაქტებოდნენ ვალერი შოშიაშვილს.

— არსებობს შესაბამისი ესემესები და ჩანაწერები, სადაც კონკრეტულადაა განხორციელებული მუქარა ბიზნესმენის მიმართ. ფინანსური დოკუმენტაცია ამოღებულია და საწყენია, რომ საქმის გამოძიება ფერხდება. მინდა მივმართო სამართალდამცავ ორგანოებს, დააჩქარონ საქმის გამოძიება, რადგან ამ საქმეში ცხადზე ცხადადაა წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომ 1000-ლარიანი ქონება 700 ათას ლარად შეფასდა. მიმდინარეობდა ბიზნესის ტერორი. ფინანსურ პოლიციაში ჩარჩენილი ძველი ჩინოსნები, რომლებიც ძირითადად რეგიონიდან არიან გადმოყვანილი, ისევ არიცხავენ ვალერი შოშიაშვილს მილიონებს და ისევ ცდილობენ იმ საქმის „გაპრავებას“, რომელიც წინასაარჩევნოდ დაიწყეს. მივმართავ შესაბამის უწყებებს, მთავარ პროკურატურას, გენერალურ ინსპექციას, გამოიძიონ, რატომ ხდება ვალერი შოშიაშვილის მიმართ დამატებითი თანხების დარიცხვა და არ ხდება მისი შელახული უფლებებისა და სამართლიანობის აღდგენა?

დიმიტრი გაბუნიას განცხადებით, ვალერი შოშიაშვილისთვის უკანონოდ თანხების დარიცხვა გამოიწვევს მისი ბიზნესის გაჩერებას. შესაბამისად, ბანკიდან აღებული კრედიტების სანაცვლოდ ბანკი წაიღებს მთლიანად ქონებას და კიდევ ერთი ბიზნესი გაკოტრდება. როგორც დიმიტრი გაბუნია ამბობს, მილიონი ლარის სესხი შოშიაშვილს პროკურატურამ 1 საათში აღებინა და ახლა ის აქვს გადასახდელი.

— ჩემი ბიზნესის მიმართ ზეწოლა ხორციელდებოდა წინასაარჩევნოდ, ფინანსური პოლიციის მაღალჩინოსნების მიერ და ხდებოდა პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ დაფინანსება. გარდა ამისა, იყო მითითებები ფინანსური პოლიციის მაღალჩინოსნების მხრიდან, რომ თანხა გადამერიცხა წინასაარჩევნოდ ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის დასაფინანსებლად. თუ ამას არ გავაკეთებდი, მოხდებოდა ჩემი ოჯახის წევრების დაკავება.

2011 წლის 10 აპრილს დამიკავშირდა პროკურატურის გამომძიებელი ბექა ბასილაია, რომელმაც მთხოვა ჩემი ყველა კომპანიის ფინანსური დოკუმენტების მიტანა სამსახურში. დათქმულ დროს ყველა საბუთი წარვადგინე პროკურატურის შენობაში, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ცოტა ვადა მქონდა. როგორც წესი, ველოდებოდი, რომ პროკურატურა და აუდიტის სამსახური დაწერდა რაიმე დასკვნას და იმის შესაბამისად გადავიხდიდი თანხას, რაც ვიცოდი, რომ წარმოუდგენელი იყო ჩემი დოკუმენტებიდან გამომდინარე. თუმცა, მათ მითხრეს, რომ უნდა დამეთმო გარკვეული ქონებები. შემდეგ კონკრეტულად, ესემესის სახით შეტყობინება მივიღე, რომ გრემის კულტურის სახლი უნდა მეყიდა აუქციონზე. რეალურად აუქციონში მონაწილეობა არ მიმიღია, არ ვყოფილვარ, არ ვიცი, სად და როგორ ჩატარდა აუქციონი, მაგრამ შესაბამისი დოკუმენტაცია, რომ მე გამარჯვებული ვიყავი გრემის კულტურის სახლის აუქციონში, ოფისში მომიტანა ვინმე გიორგიმ, პიროვნებამ, რომელიც გამეცნო ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილედ.

პროკურორი გახლდათ ზაზა მალუძე. კონკრეტულად ზაზა მალუძე და ბექა ბასილაია იყვნენ ის პირები, რომლებიც ახდენდნენ ჩემზე ზეწოლას, რომ აუქციონში აუცილებლად მიმეღო მონაწილეობა. ამ საქმეში ჩართული იყო მამუკა ლაშხია, რომელიც აუდიტის სამსახურს წარმოადგენდა. იმავე ზეწოლას ახორციელებდნენ მამუკა ლაშხია და მისი თანამშრომლები ეთერ სახოკია და ნინო კახნიაშვილი. ეთერ სახოკია და ნინო კახნიაშვილი დღესაც არიან აუდიტის სამსახურში და დღესაც ჩემთვის გაურკვეველი მიზეზებით ითხოვენ რაღაც დამატებით დოკუმენტებს, მაშინ როცა, ფაქტობრივად, ერთი მიკროავტობუსი დოკუმენტები მაქვს მიტანილი პროკურატურის შენობაში. ჩემი ძალიან დიდი ეჭვია, რომ ეთერ სახოკია და ნინო კახნიაშვილი დამატებით დოკუმენტებს ითხოვენ იმისათვის, რომ გაამართლონ თავიანთი დანაშაული და რაიმე შედეგი მიიღონ.

როგორც ბიზნესმენი, მივმართავ მათ, რომ მე ყველა დოკუმენტი მაქვს მიტანილი, ყველაფერზე პასუხი უკვე მაქვს გაცემული. საეჭვოა ისიც, რომ 2011 წლის 11 აპრილს მიტანილი დოკუმენტაცია დაახლოებით ერთი წელია ინახება აუდიტის სამსახურში. გაუგებარია, დღეს რატომ ითხოვენ ჩემგან დამატებით იმ დოკუმენტებს, რომლებიც უკვე მიტანილია.



***— რამდენი გადაურიცხეთ ქრისტიან-დემოკრატებს?***

— ქრისტიან-დემოკრატებს გადავურიცხე 50 ათასი ლარი — „რუსთავი 2“-ში ვუყიდე საეთერო დრო, წინა მოწვევის პარლამენტის არჩევნების წინა პერიოდში. დაახლოებით მარტში მოხდა თანხის გადარიცხვა.

***— დამატებით თანხებს რატომ გარიცხვინებდნენ?***

— დამატებით თანხებს მარიცხვინებდნენ იმიტომ, რომ ჩემს ანგარიშზეა საკმაოდ მოზრდილი ბრუნვები. ეს მოზრდილი ბრუნვები გამომდინარეობს იქიდან, რომ მე ვაკეთებდი გადარიცხვებს ნაციონალური მოძრაობის ანგარიშზე. არც ისე წარმატებული ბიზნესი მქონდა, რომ ეს ჩემი სურვილით გამეკეთებინა. გარდა ამისა, ეს არ იყო მარტო ჩემი თანხა. აქ იყო ნაციონალური მოძრაობის მიერ მოტანილი თანხებიც, რომელიც მე უნდა გადამერიცხა ისევ ნაციონალური მოძრაობის ანგარიშზე.

***— ნაღდი ფული მოჰქონდათ?***

— ნაღდი ფული მოჰქონდათ.

***— ვის მოჰქონდა?***

— ეს იყო ფინანსური პოლიციის მაღალჩინოსანი (ყოფილი).

***— სახელი და გვარი გვითხარით.***

— გამოძიებისთვის ჯერ ჩვენება არ მიმიცია და ამიტომ ვერ გეტყვით.

***— ნაციონალების მიერ მოტანილი და ისევ მათთვის გადარიცხული თანხა რამდენს შეადგენდა?***

— დაახლოებით, ალბათ, ნახევარი მილიონია, უფრო მეტი.

**დიმიტრი გაბუნია:**

— ამ მაქინაციების გამო უნდათ „გააპრავონ“ და ბატონი ვალერი შეეშვას ამ საქმეს. ამ პროცესში, თავისთავად ცხადია, წარმოიშვა საგადასახადო ვალდებულებები. პრობლემა გახდა ის თანხა, რომელიც ნაღდი ფულის სახით მიჰქონდათ. უნდა ჩანდეს, საიდან მოვიდა. ან მოგება უნდა ყოფილიყო, ან ინვესტიცია. ახლა იმ თანხების გამო, რომელიც ნაციონალურ მოძრაობაში წავიდა იძულების წესით, პირიქით, ბატონ ვალერი შოშიაშვილს აწერენ საგადასახადო გადასახადს. შეიძლება დაიბადოს კითხვა, რატომ არ განაცხადა პროკურატურაში. რომელ პროკურატურაში? ზურაბ ადეიშვილის პროკურატურაში უნდა განგვეცხადებინა, რომელიც ამ ყველაფერს წყვეტდა, ოჯახის წევრები ტერორის ქვეშ იყვნენ და ციხეში რომ აღმოჩნდებოდა თვითონაც თავისი ოჯახით? ამ ადამიანს ეყო ვაჟკაცობა, ეს საჯაროდ ეთქვა. ძალიან ბევრი არ იტყოდა იმავე ქრისტიან-დემოკრატების ეპიზოდზე, ნაციონალებს ფული რომ მიჰქონდათ და აიძულებდნენ, ისევ ნაციონალური მოძრაობისთვის გადაერიცხა. ახლა ისევ ის ძველი ხალხი ცდილობს, მაქინაციები კანონის ფარგლებში მოაქციონ და ტერორს ახორციელებენ. ახალი ხელისუფლების პირობებში მილიონზე მეტი დაარიცხეს. ის ძველი კადრები ეუბნებიან, თუ ჭკვიანად არ მოიქცევი, ამ მილიონს დაგიტოვებთ და გადაგახდევინებთო.

დიმიტრი გაბუნია ასევე განმარტავს, რომ ვალერი შოშიაშვილი არასწორი გადამხდელი კი არ იყო, ბიუჯეტს თანხებს კი არ უმალავდა, არამედ დამალული თანხა იყო მიშას მოტანილი ნაღდი ფული, რომელიც შოშიაშვილის ანგარიშების გავლით ნაციონალური მოძრაობის ანგარიშზე ირიცხებოდა.

**დიმიტრი გაბუნია:**

— საბუღალტრო წარმოებისას, ბუნებრივია, დარღვევა იქნებოდა, რადგან ნახევარი მილიონი ლარი გაჩნდა ანგარიშზე (მიშას ფული), ნახევარ მილიონს დაერიცხა ჯარიმა საურავი და მილიონზე ავიდა ისე, რომ კომპანიაში ერთი აუდიტორული შემოწმება არ ყოფილა. ფული გაათეთრეს და მილიონი კიდევ აქეთ დაარიცხეს ამ კომპანიას.

ადვოკატ მამუკა მდინარაძის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ვალერი შოშიაშვილს ერთი მიკროავტობუსი საბუთები მიატანინეს პროკურატურაში, 8 ათას ლარად ღირებული კულტურის სახლი 700 ათასად აყიდვინეს, სინამდვილეში ყვარლის რაიონის სოფელ გრემში მდებარე მიწური იყო და სთხოვდნენ ასევე 300 ათასი ლარის გადახდას და ამის შემდეგ ხდება მნიშვნელოვანი ფაქტები.

**მამუკა მდინარაძე:**

— დაიწყო თუ არა გამოძიება ამ ფაქტზე 2012 წლის დეკემბერში შოშიაშვილის განცხადების საფუძველზე, უმალ მოჰყვა ამას რეაგირება საგადასახადო ორგანოების მხრიდან, სადაც ჯერ კიდევ მუშაობდა ლაშხი. ეს ადამიანი რამდენიმე კვირის წინ მსგავსი დანაშაულისთვის დააკავეს. მან ერთი დღის განმავლობაში თავის თანამშრომელთან ერთად შეძლო, შოშიაშვილისთვის ერთი მილიონი ლარი დაერიცხა საბუღალტრო დარღვევების საბაბით. დღეს საგადასახადო ორგანოები ისევ ითხოვენ დოკუმენტაციას, რომელიც შოშიაშვილს მიტანილი აქვს. ამით ძველი თანამშრომლები რაღაცის „გაპრავებას“ ცდილობენ. ვთხოვთ საგამოძიებო და საგადასახადო ორგანოებს, ერთმანეთში უფრო კარგი კოორდინაცია მოახდინონ, რომ არ მოხდეს ერთი ხელით შოშიაშვილის საქმის გამოძიება და სამართლიანობაზე ზრუნვა, მეორე ხელით ძველი პრინციპების ისევ გაგრძელება და ძველებურად მის წინააღმდეგ ბრძოლა. პროკურატურაში გამოძიება მიმდინარეობს საკმაოდ ინტენსიურად, თუმცა, საგადასახადო ორგანოები აგრძელებენ ძველ კურსს.

ვალერი შოშიაშვილს აქვს შპს „ენკამოლი“, რომელიც ახორციელებს ჭურჭლისა და საოჯახო ტექნიკის იმპორტს.

— 2011 წლის 19 ოქტომბერს დამიკავშირდნენ ბექა ბასილაია და ზაზა მალუძე, რომლებმაც მთხოვეს პროკურატურის შენობაში მისვლა. მივედი და შემომთავაზეს, 2000 ლარის გადახდის შემდეგ 300 ათას ლარს (რაც უნდა გადამეხადა) აღარ გადამახდევინებდნენ და ჩემს დოკუმენტაციასაც უკან დამიბრუნებდნენ. ამაზე კატეგორიული უარი განვაცხადე. ამ კატეგორიულ უარს მოჰყვა მუქარა — რადგან ჩვენს შეთავაზებაზე უარს ამბობ, ვნახოთ, რაც მოგივაო. მე ვუთხარი, რომ აღარ ვაპირებდი გაჩუმებას. ისინიც დამემუქრნენ, რომ არც ისინი აპირებდნენ გაჩერებას, — განაცხადა ვალერი შოშიაშვილმა.

ვალერი შოშიაშვილის თქმით, მას ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის წევრმა აცნობა, რომ გრემის სანაცვლოდ მის მიერ გადახდილი 700 ათასი ლარი ჯერ კიდევ ირიცხება მუნიციპალიტეტის ანგარიშზე და ვერ მოასწრეს გახარჯვა.

# მაია ფანჯიკიძე: „საქართველო ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას არ შეურიგდება“

ნათია ხურცილავა

კვლავ გაუგებარი და კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება პრეზიდენტის დამოკიდებულება საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი, რადგან, როგორც გუშინ გახდა ცნობილი, მიხეილ სააკაშვილმა საგარეო საქმეთა მინისტრს კვლავ უარი უთხრა თანამშრომლობაზე, რომელიც პრეზიდენტის ხელმოწერას ითვალისწინებდა ამ ეტაპზე.

საგარეო საქმეთა მინისტრის მაია ფანჯიკიძის განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტი თამარ ბერუჩაშვილის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ დანიშვნას ხელს არ აწერს.



– სამწუხაროდ, არ მყავს ახალი მოადგილე, ვინაიდან პრეზიდენტი მის კანდიდატურას ხელს არ აწერს, ისევე, როგორც ეს ხდება ელჩების შემთხვევაში და ასევე პრეზიდენტს არ გადაუგზავნია პარლამენტში დანარჩენი ახალი ელჩების სია, – განაცხადა ფანჯიკიძემ.

ფანჯიკიძის განცხადებით, თამარ ბერუჩაშვილი მინისტრის მოადგილედ ორი კვირის წინ წარადგინა.

არსებული ინფორმაციით, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე თამარ ბერუჩაშვილი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ ინიშნება.

საგარეო პოლიტიკურ უწყებაში მოადგილეს, მინისტრის წარდგინებით, საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან საქართველოს პრემიერ-მინისტრი ათავისუფლებს.

თამარ ბერუჩაშვილი სხვადასხვა დროს იყო საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროინტეგრაციის საკითხებში, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა მინისტრი, ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მინისტრის მოადგილე.

წინა მთავრობაში ბერუჩაშვილი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის გიორგი ბარამიძის მრჩეველი იყო, ამ დრომდე კი ალექსი პეტრიაშვილის მოადგილეა.

საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინისა და ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის ალექსანდრე ანქვაბის შეხვედრას გამოეხმაურა.

– ჩვენი დამოკიდებულება ამ საკითხზე ცნობილია, საქართველო არასოდეს შეურიგდება ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას და ყველა ნაბიჯი, რომელიც მიმართულია აქეთკენ, იმსახურებს ჩვენს ძალიან სერიოზულ შეშფოთებას და კრიტიკას, – განაცხადა ფანჯიკიძემ.

ანქვაბისა და პუტინის შეხვედრა გუშინ მოსკოვში გაიმართა.

საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე აპრილის დასაწყისში ბრაზილიას ვიზიტით ეწვევა.

აღნიშნული განცხადება ფანჯიკიძემ ბრაზილიის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილესთან ვერა მაშადოსთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა.

– ეს არის პირველი მაღალი დონის ვიზიტი ბრაზილიიდან საქართველოში. მიწვეული ვართ ბრაზილიაში და გავემგზავრები აპრილის დასაწყისში. შეხვედრაზე განვიხილეთ ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები, განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ ეკონომიკურ საკითხებს, რადგან ბრაზილიას აქვს ძალიან მზარდი ეკონომიკა და დაინტერესებულია საქართველოში ინვესტიციების განხორციელებით. ჩვენ ვისაუბრეთ იმის თაობაზე, რომ კარგი იქნებოდა, თუ კი ბრაზილიელი ბიზნესმენების ჯგუფი ეწვეოდა საქართველოს და შეისწავლიდა საინვესტიციო გარემოს. ასევე ვისარგებლე შემთხვევით და სტუმარს ვესაუბრე არაღიარების პოლიტიკის შესახებ და გაერო-ში საქართველოს რეზოლუციის მხარდაჭერის თაობაზე. მან აღმითქვა, რომ ამ საკითხებზე იმუშავებს თავის ქვეყანაში იმისთვის, რათა ჩვენი თხოვნა შეასრულოს, – განაცხადა ფანჯიკიძემ.

როგორც ცნობილია, ჟენევის მოლაპარაკებებს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე დავით ზალკალიანი უხელმძღვანელებს.

# ხადური ინვესტორებს ელოდება

ნათია ხურცილავა

**ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურის განცხადებით, სახელმწიფო ბიუჯეტში არავითარი დეფიციტი არ არსებობს. ხადურმა აღნიშნული განცხადება გუშინ სამინისტროში პროექტის „საქართველოს მთავრობა ღია მმართველობისთვის" ფარგლებში ჟურნალისტებთან გამართული შეხვედრისას გააკეთა.**

როგორც ფინანსთა მინისტრმა აღნიშნა, მიმდინარე წლის იანვრისა და თებერვლის საბიუჯეტო საგადასახადო შემოსავლები გადაჭარბებით შესრულდა, კერძოდ, იანვარ-თებერვალში ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებმა 870.1 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 22.1 მილიონი ლარით აღემატება. მათ შორის თებერვალში ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებმა 408.3 მილიონი შეადგინა, რაც გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელზე 12.0 მილიონი ლარით მეტია.



გარდა ამისა, მინისტრის თქმით, იანვარ-თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების კუთხით მობილიზებულმა თანხამ 844 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 2012 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 19.3 მილიონი ლარით აჭარბებს. 2013 წლის თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 395 მილიონი ლარი იყო, რაც 10.9 მილიონი ლარით მეტია გასული წლის თებერვლის მაჩვენებელზე.

– იმედი მაქვს, რომ ჩვენი გეგმა, რომლის შესახებაც ნოემბრის არჩევნების შემდეგ ვსაუბრობდით, რომ 2013 წელს მშპ-ს ზრდა იქნებოდა 6 პროცენტი, წლის ბოლოს აღმოჩნდება პესიმისტური და ზრდა იქნება გაცილებით მაღალი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის, რაც იძლევა იმის გარანტიას, რომ ყველა დაპირება, რაც ბიუჯეტმა გაითვალისწინა, წლის ბოლოს იქნება შესრულებული, – განაცხადა მინისტრმა.

ნოდარ ხადურის განცხადებით, 2013 წლის თებერვალში საკონტროლო სალარო-აპარატებით ამორტყმული ჩეკების რაოდენობამ თითქმის 2 მილიონით გადააჭარბა გასული წლის თებერვლის მონაცემებს, ხოლო აღნიშნული ჩეკებით გადახდილი თანხის მოცულობა დაახლოებით 150 მილიონი ლარით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

მინისტრმა განსაკუთრებით აღნიშნა ის ფაქტი, რომ 2013 წლის თებერვალში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 10,5 პროცენტით არის გაზრდილი ექსპორტი, რომლის დიდი წილიც მოდის იმ პროდუქციაზე, რომელიც საქართველოში იწარმოება.

– რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შემცირებულია ჯართის წილი ექსპორტში. მხოლოდ იანვარში მანდარინის ექსპორტი 600 პროცენტით არის გაზრდილი, – განაცხადა ფინანსთა მინისტრმა.

– პროცესი, რომელიც საქართველოს ეკონომიკაში ახალი წლის შემდეგ მიმდინარეობს, პოზიტიურია. დიდი იმედი მაქვს, რომ წლის დასაწყისში ჩვენ მიერ გაკეთებული პროგნოზი იმასთან დაკავშირებით, რომ ეკონომიკური ზრდა 6% იქნებოდა, პესიმისტური აღმოჩნდება, – აღნიშნა მინისტრმა.

როგორც ხადურმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, იმედი აქვს, რომ 2013 წელს, გასულ წელთან შედარებით, ინვესტიციები ორჯერ გაიზრდება და 2 მლრდ დოლარს შეადგენს.

– როდესაც ამ ციფრებზე ვსაუბრობ, მხედველობაში მაქვს იმ ინვესტორების გაცხადებული სურვილი, რომელთაც უკვე გამოთქვეს მზადყოფნა საქართველოში ინვესტიციების განხორციელებისთვის. ამავე დროს, დიდი მნიშვნელობა ექნება ფონდებს და გამოყოფილი თანხების გადანაწილებას. ვფიქრობთ, ამ მიმართულებით საკმაოდ საინტერესო პროცესების მომსწრენი გავხდებით. – აღნიშნა ფინანსთა მინისტრმა.

ნოდარ ხადურის განცხადებით, უკანასკნელ ხანებში აქტიურად მიმდინარეობდა შეხვედრები ინვესტორებთან, მათ შორის, ისეთ მსხვილ კომპანიებთან, როგორიცაა „ტატა გრუპი“, „დაბი ჯგუფი“ და სხვ. აქედან გამომდინარე, ხადური აცხადებს, რომ საქართველოს მთავრობას ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით საკმაოდ ოპტიმისტური მოლოდინები აქვს.

## ირაკლი ღარიბაშვილი ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების თანათავმჯდომარეებს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, გუშინ, ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების თანათავმჯდომარე ელჩებს – ფილიპ ლეფორს, ანთი თურუნენს და ანდრეი დიშიციას შეხვდა.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების, ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ჯგუფის ფორმატების მიმდინარე საკითხები განიხილეს. მინისტრმა შეშფოთება გამოთქვა ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში რუსული საოკუპაციო ძალების მიერ ბოლო პერიოდში მავთულხლართების ინსტალაციის გააქტიურებულ პროცესთან დაკავშირებით და ელჩებისგან ამ საკითხით დაინტერესება ითხოვა.

შეხვედრაზე განიხილეს ასევე ახალგორის რაიონში გაზის მიწოდებისა და წყლის სისტემის რეაბილიტაციის თემები. მინისტრმა სტუმრებთან საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, მიმდინარე ამნისტიის კანონის ფარგლებში, ეთნიკურად ოსი პატიმრების გათავისუფლების საკითხთან დაკავშირებითაც ისაუბრა.

ნიუსპრესი

## „საბჭოთა ანაბრების კვლევის ცენტრს“ 100-მდე დაზარალებულმა მეანაბრემ მიმართა

„ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია – აფბას“ კვლევით ორგანო „საბჭოთა ანაბრების კვლევის ცენტრს,“ რომელიც საბჭოთა ანაბრების პრობლემებს სწავლობს, ამ დროისთვის ცხელ ხაზზე უკვე 100-მდე მოქალაქემ მიმართა.

„აფბას“ პრესსამსახურის ინფორმაციით, გარდა ცხელი ხაზზე დაკავშირებისა, მეანაბრეებს და არამარტო მათ, საშუალება აქვთ „საბჭოთა ანაბრების კვლევის ცენტრს“ ეწვიონ და მის საქმიანობაში დეტალურად გაერკვნენ.

„საბჭოთა ანაბრების კვლევის ცენტრის“ ერთ-ერთი მთავარი პრინციპი დაზარალებულ მეანაბრეებთან აქტიური კომუნიკაციაა.

ნიუსპრესი

## ევროკავშირი საქართველოს 40 მილიონ ევროს გამოუყოფს

ევროკავშირი საქართველოსთვის ფინანსური მხარდაჭერის ფარგლებში, 40 მილიონ ევროს გამოყოფს. ამ საკითხთან დაკავშირებით საფინანსო შეთანხმებას, დღეს მთავრობის კანცელარიაში, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ალექსი პეტრიაშვილი და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ფილიპ დიმიტროვი მოაწერენ ხელს.

ნიუსპრესი

## საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალს მისივე ბორდის წევრის კომპანია ბეჭდავდა

საზოგადოებრივი მაუწყებლის ყოველთვიურ გამოცემის - „მაუწყებლის,“ ბეჭდვას ამავე არხის სამეთვალყურეო საბჭოს წევრის მამუკა ფაჩუაშვილის მიერ დაფუძნებული კომპანია - შპს „მვპ“ ახდენდა.

„ნიუსპრესის“ წყაროს ინფორმაციით, შპს „მვპ,“ მამუკა ფაჩუაშვილმა, პაატა ვეშაპიძემ და ვიქტორ გათიკაშვილმა 2004 წელს დააფუძნეს. 2010 წელს კი, საზოგადოებრივ მაუწყებელსა და აღნიშნული საწარმოს წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, 40 ათასი ლარის სანაცვლოდ, „მვპ“-მ საზოგადოებრივი მაუწყებლის ყოველთვიური გამოცემა „მაუწყებლის“ დაბეჭდვის ვალდებულება აიღო. ამასთან, „მვპ“-ს სახელით, ხელშეკრულებას ხელს მამუკა ფაჩუაშვილი აწერს, რომელიც იმჟამადაც და დღესაც საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრია. წყაროს ინფორმაციითვე, იქედან გამომდინარე, რომ სამეურვეო საბჭოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტის კონტროლი ევალება და ასევე, საბჭოს წევრს ბიუჯეტის მოსმენისას ხმის უფლება აქვს, სახეზე ინტერესთა აშკარა კონფლიქტია. უფრო კონკრეტულად კი, ფაჩუაშვილმა შემოსავალი აიღო იმ საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტიდან, რომლის სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც თავად არის.

საინფორმაციო სააგენტო ნიუსპრესი უახლოეს

# გიორგი მარგველაშვილი: „აგრარული უნივერსიტეტი ავტორიზაციის აღდგენას ნებისმიერ მომენტში შეძლებს“

ნათია ხურცილავა

აგრარული უნივერსიტეტის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა სპეციალურ პრესკონფერენციაზე ისაუბრა.

გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, დარღვევების გამოსწორების შემთხვევაში, აგრარული უნივერსიტეტი ავტორიზაციის აღდგენას ნებისმიერ მომენტში შეძლებს.

– პოლიტიკურ სარჩულს გამორიცხავს თუნდაც ის, რომ ის საბჭო, კანონი და კომისია, რომელმაც აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღო, არ არის შექმნილი ჩემი მინისტრობის პერიოდში, არამედ ეს შეიქმნა წინა ხელისუფლების დროს. ძალიან სამწუხაროა, რომ ხდება პროცესის სპეციალურად პოლიტიზირება, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის განცხადებით, მან მინისტრად დანიშვნის შემდეგ ავტორიზაციის საბჭო არ განაახლა, რადგან მიიჩნევს, რომ საბჭოს წევრები კანონის დაცვით მოქმედებდნენ და მათ პოლიტიკური ნიშნით გადაწყვეტილება არ მიუღიათ.

– ადამიანების სამსახურიდან გაშვების წინააღმდეგი ვარ, თან შემოდის კანონი, რომელიც ახალი ტიპის საბჭოების შექმნას ითვალისწინებს. რაც შეეხება იმას, თუ რამდენად სერიოზული იყო დარღვევები აგრარულ უნივერსიტეტში, სამინისტრო ახლა იწყებს შესწავლას. მე მხოლოდ



ზეპირი ინფორმაცია მქონდა იქ მიმდინარე პროცესების შესახებ. უნივერსიტეტმა ხარვეზები რომ გამოასწოროს და ავტორიზაციის საბჭოში განაცხადი შეიტანოს, სასწავლებელს სტატუსი ხელახლა დაუბრუნდება, გაუქმება სტატუსის სამუდამოდ წართმევას არ ნიშნავს, – განაცხადა მარგველაშვილმა.

მინისტრი აგრარულ უნივერსიტეტში სტუდენტებთან გამართულ შეხვედრასაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ სტუდენტებთან დიალოგი კონსტრუქციულად მიმდინარეობდა, ვიდრე საუბარში განათლების წინა მინისტრი არ ჩაერთო, რამაც პოლიტიკური სახე მიიღო, რის შემდეგაც მარგველაშვილმა შეხვედრა დატოვა.

მარგველაშვილი აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტების განათლებაზე პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებს.

– აკრედიტაციის საბჭო მიუკერძოებელია და რომ დარღვევები იყო უნივერსიტეტში, ამაზე არავინ ამბობს უარს. თქვენ ამბობთ, რომ ეს მცირე დარღვევებია და თქვენი თქმით, ამ დარღვევებს სწავლის ხარისხზე არ აქვს გავლენა, ხარისხის მართვა ნიშნავს იმას, რომ კი არ გამოარჩევენ რომელიმე უნივერსიტეტს და არ იტყვი, რომ იქ ძალიან კარგი კომპიუტერებია, ძალიან კარგი ქიმიური ლაბორატორია და აუდიტორიაა, ამას არ უნდა შევხედოთ. სხვა რამეა ავტორიზაციის პროცესი და სხვა რამეა ცალკეულ სტუდენტთან გასაუბრება, ეს ჩემი დადგენილი წესი არ არის, – მიმართა მარგველაშვილმა სტუდენტებს.

შეხვედრის დასრულების შემდეგ განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ჟურნალისტებთან აღნიშნა, რომ დღევანდელი შეხვედრა პოლიტიკურ პოლემიკაში გადაიზარდა.

აგრარული უნივერსიტეტის რექტორმა ლაშა გოცირიძემ განაცხადა, რომ განათლების მინისტრმა, ისევე, როგორც ადრე, დღესაც მცდარი განცხადებები გააკეთა.

– სამწუხაროდ, მინისტრმა იმ მცდარ განცხადებებთან ერთად, რაც ადრე განაცხადა, დღესაც მცდარი განცხადებები გააკეთა. დღეს გამოჩნდა, რომ არ არსებობდა არანაირი საფუძველი ავტორიზაციის შეწყვეტის და მას შემდეგ, რაც ბავშვებმა დაუსვეს ლეგიტიმური შეკითხვები, მან დატოვა შეხვედრა, – განაცხადა გოცირიძემ.

# აკაკი მინაშვილი: „უსუფაშვილმა ევროპარლამენტარებს შეურაცხყოფა მიაყენა“

შორენა მარსაგიშვილი

**გასული კვირის დამლევს ევროპარლამენტარებმა ბიძინა ივანიშვილს საგანგებო უსტარი გამოუგზავნეს. წერილის ავტორებს ჩვენი ახალი ხელისუფლება ზომაზე მეტად შემოეკრიტიკათ. ნაციონალების შეშფოთებულ სულს ეს წერილი მალამოდ მოეფინა. რამდენიმე მათგანმა ეს წერილი ლამის ბაირაღადააფრიალა. ვინ აცალა ნაციონალებს გახარება. საქართველოს მწვანეთა პარტიამ სასწრაფო წესით გაავრცელა განცხადება, საიდანაც გაირკვა, რომ ევროპარლამენტართაგან ერთ-ერთი მიხეილ სააკაშვილის მრჩეველი ყოფილა.**

ნაციონალებმა ამაზე თავი ზომიერად გაინერვიულეს. სამაგიეროდ, დავით უსუფაშვილის პასუხმა განარისხა საპარლამენტო ოპოზიცია. მოგეხსენებათ, რომ პარლამენტის სპიკერი ამერიკაში გაემგზავრა ოფიციალური ვიზიტით. იქ წასვლამდე კი ევროპარლამენტარებს წერილი გაუგზავნა.

— მე საქართველოს რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე ვარ. პარტიისა, რომელიც 1978 წელს შეიქმნა იატაკქვეშეთში და არალეგალური მეთოდებით ცდილობდა საბჭოთა საქართველოს მოსახლეობაში თავისუფლებისადმი და, მაშასადამე, ევროპისადმი ლტოლვის გაღვივებას. პარტიის დამფუძნებლებმა, რომლებიც დღეს კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერთა შორის არიან, მრავალი წელი გაატარეს საბჭოთა „გულაგებში“ ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ნატოში გაწევრიანების იდეების პროპაგანდისათვის. ესეც მაძლევს მორალურ უფლებას, მოგმართოთ პირდაპირ და მოურიდებლად.

თქვენი 6 მარტის წერილით კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერის ბიძინა ივანიშვილისადმი, რომლითაც თითქოს საქართველოს ევროპული არჩევანის გადარჩენას ცდილობთ, სინამდვილეში თავად შორდებით ევროპას. იმ ევროპას, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ, რომელზეც ჩვენ ვოცნებობთ და რომლისკენაც ჩვენ მტკიცე ნაბიჯებით მივდივართ სიტყვითაც (იხილეთ „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამა და ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გაკეთებული არაერთი განცხადება და რეზოლუცია) და საქმითაც (იხილეთ ევროკომისიისა და ნატოს სათანადო თანამდებობის პირების ანგარიშები ბოლო ოთხ თვეში მიღწეული შედეგების თაობაზე).

მე რამდენიმე თქვენგანისთვის პირადად არაერთხელ მითქვამს და ახლაც ვიმეორებ — დაგვიწესეთ უმაღლესი ევროპული სტანდარტები და განგვსაჯეთ ამ სტანდარტების მიხედვით. ეს ჩვენ ძალიან გვჭირდება პოსტ-კომუნიზმისგან თავის დასაღწევად, მაგრამ ამ სტანდარტების მეტრად სააკაშვილს და მის რეჟიმს ნუ დაგვისახავთ, ეს ევროპის შეურაცხყოფაა...

თუ საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიმართვა პრეზიდენტისადმი არ წაგიკითხავთ და ისე გააკეთეთ თქვენი განცხადება, ეს ცალკე პრობლემაა. მაგრამ თუ გაეცანით მას, მაშინ სად ნახეთ მუქარა და ბრბოს მისევა პრო-ევროპული ძალებისადმი? კონსტიტუციიდან დემოკრატიისთვის უპრეცედენტო ნორმის (პრეზიდენტის უფლება პარლამენტის თანხმობის გარეშე შექმნას ახალი მთავრობა) ამოღებისკენ მოწოდება მუქარაა თუ კონსტიტუციის ევროპულ სტანდარტებთან



მიახლოების მცდელობა? ვინც ეს ნორმა ჩაწერა კონსტიტუციაში ჯერ კიდევ 2004 წელს და ახლა მის გაუქმებას ეწინააღმდეგება, ისინი პრო-ევროპელები არიან თუ საბჭოური ავტორიტარიზმის ღირსეული გამგრძელებლები? მითითება იმაზე, რომ საზოგადოება ამ უმნიშვნელოვანეს საკითხზე პარლამენტის თითოეული წევრის პოზიციას სათანადოდ დააფასებს და შეაფასებს, ხალხის ბრბოდ ქცევას ემსახურება თუ პოლიტიკური ძალების ხალხისადმი ანგარიშვალდებულებას?

საქართველოს მოქალაქეების უდიდესი უმრავლესობა, რომელმაც წინასაარჩევნო კამპანიის დროს ასეულათასიანი რამდენიმე დემონსტრაცია ისე ჩაატარა, რომ ერთი ფანჯარა არსად ჩამტვრეულა და რომელიც ძალადობის, წამების და ელიტური კორუფციის სახელმწიფო სისტემის შემქმნელების დასჯას ითხოვს, თქვენი შეფასებით ბრბოა? შეგიძლიათ მიგვითითოთ ერთი შემთხვევა მაინც, როდესაც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ვინმეს ძალადობისკენ მოუწოდა ან უმცირესობების მიმართ სიძულვილის ენა გამოიყენა? სინამდვილეში ბატონი მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდი ხომ არ არის ავტორი საზოგადოების შეურაცხმყოფელი და გამთიშველი გამონათქვამებისა, როგორიცაა „მუმიები“, „ჩასარეცხები“, „კრემლის აგენტები“, „გასანადგურებელი კლასი“, „სახელმწიფოს მტრები“ და სხვა? ურჩი პარლამენტის წევრების (გელაშვილი 2005 წელს, დავითაშვილი 2007 წელს) სასიკვდილოდ გამეტებით სააკაშვილი ევროპისკენ მიმავალ კარს ფართოდ აღებდა და ამ საქმეების გამოძიების დაწყებით ახალი მთავრობა ამ კარებს ხურავს?

თუ ესაა დემოკრატიის თქვენეული სტანდარტები და ამგვარ სტანდარტებზე დაფუძნებულ ევროპაზე გვესაუბრებით, ჩვენ ასეთ ევროპას ნამდვილად არ ვიცნობთ და არც ასეთი ევროპისკენ მივდივართ. თქვენი წერილი კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ევროპული ღირებულებების ერთგულებისთვის ევროპაში ცხოვრების ფაქტი არ კმარა. თქვენ ევროპაში ცხოვრობთ, მაგრამ სააკაშვილის პოლიციური რეჟიმისთვის მხარდაჭერით, თავად ემიჯნებით ევროპას. ამით თავად ევროპას ალბათ ბევრს ვერაფერს დააკლებთ, მაგრამ ჩემი პატარა ქვეყანა კი შესაძლოა ამგვარი „ევროპელების“ მორიგი მსხვერპლი გახდეს, — წერს თავის წერილში დავით უსუფაშვილი.

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, გავა დრო და შესაძლოა ამ წერილის გამო ევროპარლამენტარებს შერცხვებათ.

— ამიტომ, ბატონო ევროპარლამენტარებო ევროპის სახალხო პარტიიდან, მოგიწოდებთ, თავი შეიკავოთ სიცრუეზე დაფუძნებულ მსგავს განცხადებებზე ხელმოწერისგან. ამის გამო მალე თავადვე შეგრცხვებათ. ისევე, როგორც ალბათ უკვე რცხვენიათ თქვენს თანაპარტიელებს, ვინც ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეას „შეშფოთება“ გამოათქმევინა საქართველოში არჩევნების შემდეგ ტელეკომპანიის მესაკუთრის ცვლილების გამო და მხოლოდ შემდეგ გაარკვიეს, რომ თურმე სააკაშვილის მიერ 2007 წელს დარბეული, მესაკუთრისთვის წართმეული და მისი ადმინისტრაციის უფროსისთვის გადაცემული ტელეკომპანია „იმედი“ დაუბრუნებია კანონიერ მესაკუთრეს. მიხეილ სააკაშვილმა უკვე მოახერხა ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ ბევრის დაშანტაჟება და მათი პოლიტიკური მომავლის საკუთარ საეჭვო პოლიტიკურ მომავალთან სრულად დაკავშირება. უფრთხილდით მას, ნუ დარჩებით სტერეოტიპების ტყვეობაში, დარჩით ევროპელები, — მიმართავს უსუფაშვილი ევროპელებს.

სპიკერის წერილმა მეოცნებეები და მათი გულშემატკივრები დიდად აღაფრთოვანა, სამაგიეროდ, ნაცმოძია შეშფოთებული. დეპუტატ აკაკი მინაშვილის განცხადებით, პარლამენტის თავმჯდომარის წერილი და შეურაცხმყოფელი დამოკიდებულება ევროპარლამენტარებისადმი, ხელისუფლების საგარეო კურსზე მიუთითებს.

— ევროპარლამენტართათვის გაგზავნილმა წერილმა დაადასტურა, რომ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს სურს, რუსეთის ფედერაცია და არა ევროპა. როცა პრემიერს ძალიან თბილად ხვდებიან რუსულ ვახშამზე და მას არ აქვს შეხვედრები აშშ-ში, როცა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს თბილი ურთიერთობები აქვთ რუსულ წრეებთან და ბოდიშს უხდიან ონიშენკოს, მაშინ, როცა ის საქართველოს მოქალაქეებს არაფრისმაქნისებს უწოდებდა და მეორე მხრივ, როცა სპიკერი შეურაცხყოფას აყენებს უმაღლესი დონის ევროპარლამენტარებს, ეს კარგად გამოხატავს მთავრობის პოზიციას, თუ ვისთან სურს მათ კარგი ურთიერთობა. არსებობს ორი ხაზი, ევროპა და რუსეთის ფედერაცია და უსუფაშვილის წერილი მეტყველებს, თუ ვისთან სურს ბიძინა ივანიშვილს ყოფნა და მე მიმაჩნია, რომ ეს ძალიან ცუდი ტენდენციაა, — განაცხადა მინაშვილმა.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის ვახტანგ ხმალაძის განცხადებით კი, დავით უსუფაშვილის ტონი სრულად შეესაბამება იმ ტონს, როგორითაც ევროპარლამენტის წევრთა მცირერიცხოვანმა ნაწილმა საქართველოს ხელისუფლებას მიმართა.

— მე ვფიქრობ, ეს ტონი არის დელიკატურიც კი, ნურავინ იფიქრებს, რომ ჩვენ არ გვაქვს ყური, რომლითაც შეიძლება მოვისმინოთ, ან თავი არ გვაქვს, რომლითაც შეგვიძლია გავაანალიზოთ რასაც გვეუბნებიან, მე ვფიქრობ, რომ პასუხიც უნდა იყოს ადეკვატური, — განაცხადა ხმალაძემ.

# ქოზიფას მამათა მონასტერში ხანძარმა ერთი შენობა მთლიანად გაანადგურა

## დაზარალებულებს ფინანსურად ქარელის გამგეობა დაეხმარება

შორენა მარსაგიშვილი




ქარელის რაიონში, ძამას ხეობაში მდებარე ქოზიფას მამათა მონასტერს ხანძარი გაუჩნდა. ხანძარი რამდენიმე საათის განმავლობაში მძვინვარებდა. სახანძრო დახმარების მანქანამ ადგილამდე მისვლა ვერ შეძლო. საბედნიეროდ არავინ დაშავებულა. სასულიერო პირები და მათი სტუმრები უვნებლად გადარჩნენ. ხანძარმა ერთი შენობა მთლიანად გაანადგურა.

შემთხვევის ადგილზე გუშინ ქარელის გამგეობის თანამშრომლებიც იმყოფებოდნენ. იქ იყო წასული ქარელის გამგებელი ივანე ოსაძეც. მომხდარით გამგებელი ძალიან შეწუხებული იყო. ის იმედოვნებს, რომ ყველაფერი მალე აღდგება.

— რაც მოხდა, ძალიან სამწუხაროა. საბედნიეროდ სასულიერო პირები და მათი სტუმრები უვნებლად გადარჩნენ. მონასტერი ზღვის დონიდან საკმაოდ მაღლა არის და იქ სახანძრო მანქანა ვერ ავიდოდა. როგორც სასულიერო პირებმა გვითხრეს, ხანძარი 4 საათის განმავლობაში გრძელდებოდა, — აღნიშნა „ახალ თაობასთან“ საუბარში ივანე ოსაძემ.

ქარელის გამგებლის განცხადებით, ხანძარმა გაანადგურა 2 სართულიანი დამხმარე შენობა.

— ამ შენობაში მოწყობილი ჰქონდათ სატრაპეზო, სააბაზანო, მეორე სართულზე იყო ბიბლიოთეკა და სტუმრების მოსასვენებელი ოთახები. ყველაფერი დაიწვა. საწოლები, სხვადასხვა ნივთები. პირველი სართული ქვითკირითაა ნაგები და მისგან მარტო ცარიელი კედლებია დარჩენილი, — ამბობს ქარელის გამგებელი.

ივანე ოსაძის განცხადებით, ხანძარმა სასულიერო პირებს ზამთრის მარაგიც გაუნადგურა.

— ეს მონასტერი ზამთარში გარესამყაროსგან არის ხოლმე მოწყვეტილი. ამიტომ იქ მყოფები იმარაგებენ ხოლმე სხვადასხვა სახის პროდუქტებს. ეს მარაგი დაიწვა. მონასტერი ფაქტიურად საკვების გარეშე დარჩა, — განაცხადა ოსაძემ.

ქარელის გამგეობის თანამშრომლებმა მონასტერში გუშინვე აიტანეს საკვები პროდუქტები. ივანე ოსაძე ამბობს, რომ ისინი მონასტერს ყურადღებას არ მოაკლებენ.

— ქარელის გამგეობა ხანძრით დაზარალებულ მონასტერს ფინანსურად დაეხმარება. ჩვენ უკვე წავიყვანეთ სპეციალისტები, მათ ადგილზე შეისწავლეს ვითარება. დახმარება აუცილებლად იქნება, — გვითხრა ქარელის გამგებელმა.

ქოზიფას მამათა მონასტერი მდებარეობს ქარელის რაიონში, ძამის ხეობის სიღრმეში, ზღვის დონიდან 1400 მეტრზე. სამონასტრო კომპლექსში ხუთი ეკლესია შედის, რომლებიც აგებულია სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში. პირველი ეკლესიის მშენებლობა VI-VII საუკუნეებით თარიღდება.

აღმშენებლობა განსაკუთრებით XIII საუკუნეში გაძლიერებულა. ტაძართა შორის ყველაზე დიდი ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახელობის ეკლესიაა. მე-17 საუკუნიდან მეოცე საუკუნის ბოლომდე (1997 წ) ქოზიფას მონასტერი არ იყო მოქმედი. მას შემდეგ ქოზიფა მოქმედებს და ვითარდება კიდეც. ამჟამად ქოზიფას მამათა მონასტრის წინამძღვარია არქიმანდრიტი მამა ისაია.

# ბიძინა ივანიშვილი: „გირგვლიანის საქმის გამოძიება ჩქარდება და მერაბიშვილს ცუდად აქვს საქმე“

შორენა მარსაგიშვილი

19 აპრილს ნაციონალები რუსთაველზე დიდი აქციის მოწყობას აპირებენ. ეს აქცია ნაცმოძის გენმდივანმა ვანო მერაბიშვილმა ჯერ კიდევ თებერვლის თვეში დაანონსა. 2 დღის წინ კი გვაუწყა: მთელი საქართველო უნდა შემოვიარო და ხალხს აქციაზე მისვლისკენ მოვუწოდოო.




მეოცნებეები მერაბიშვილის შემოძახილზე აღშფოთებას ვერ მალავენ. ექსპერტები ამბობენ, რომ აქციის წინასწარ დაანონსება კარგი საქმე არ არის. ვილაცეებს ეშინიათ და ამბობენ, რომ საქმე შესაძლოა სამოქალაქო დაპირისპირებამდე მივიდეს.

19 აპრილის აქცია დიდად არ ანაღვლებს ქვეყნის პრემიერს. ბიძინა ივანიშვილმა წინა კვირაში თქვა, რომ 19 აპრილს ნაციონალები თავს შეირცხვენენო. ეს განცხადება ნაცმოძმა შეურაცხყოფად აღიქვა. ისინი უფრო მეტი თავდადებით შეუდგნენ მოწოდებებს. 2 დღის წინ ისევ მერაბიშვილმა მოგვიწოდა ქუდზე კაცს და მანდილზე ქალს.

თავისი წინამორბედის (არჩევნებამდე ვანო იყო პრემიერი) მოწოდება არად ჩააგდო. ის მერაბიშვილის გააქტიურებას სანდრო გირგვლიანის საქმის გამოძიებას უკავშირებს. მისი თქმით, გირგვლიანის საქმეზე გამოძიება ჩქარდება და ვანო მერაბიშვილს ძალიან ცუდად აქვს საქმე.

— ვანოს მოწოდებებს მეც ძალიან განვიცდი. იუმორისტულია ეს ყველაფერი. რა უნდა ამ კაცს მე ძალიან კარგად მესმის, თუმცა მან ძალიან კარგად იცის, რომ მე შეგნებულად არ ვერევი ამ საკითხში. გირგვლიანის საქმეზე გამოძიება ჩქარდება და ვანოს ძალიან უჭირს, ამიტომ უნდა, რომ რაღაც მოიფიქროს და ხმაური ატეხოს. მას ძალინ ცუდად აქვს საქმე, რადგან პროკურატურას მასთან ძალიან ბევრი კითხვა აქვს, ამიტომ სულ ტყუილად ცდილობს, რომ არაფრისგან რაღაცა მითები შექმნას, — განაცხადა ივანიშვილმა.

ოფიციალური ვერსიით. ნაცმოძი აქციას საგარეო კურსის დასაცავად აწყობს. ნაციონალები ამბობენ, რომ ბიძინა საქართველოს რუსეთისკენ მიაქანებს. მათ კი ევროპული კურსი სურთ. ამიტომაც ვისაც მიგვაჩნია, რომ ვართ ქართველი და მაშასადამე ევროპელი, იქ უნდა ვიყოთ.

პარლამენტმა წინა კვირაში საგარეო კურსის უცვლელობაზე რეზოლუცია მიიღო. მეოცნებეები ხარობდნენ, ამით ნაცმოძს აქცია ჩავუშალეთო. ნაციონალები რეზოლუციას არ ენდობიან და აქციას მაინც გამართავენ.

ახლა ისინი ცდილობენ თავიანთი პროამერიკულობა და პროევროპულობა საქვეყნოდ დააფიქსირონ. განსაკუთრებით ახლა. 10 მარტს დავით უსუფაშვილმა მისწერა კაი მწარე წერილი ევროპარლამენტს. გუშინ კი პრემიერსაც შემოეკრიტიკა ისინი.

ივანიშვილის განცხადებით, ევროპელობა არ ნიშნავს იმას, რომ ყველა დემოკრატია და ყველამ ჭკუა უნდა გვასწავლოს.

— ჩვენ ევროპას ძალიან კარგ ენაზე ვესაუბრებით. ამ პერიოდში აქცენტები ძირითადად ჩემი გაკეთებულია. უსუფაშვილი კარგად წერს და ჩემს გარეშეც შესწევს უნარი, რომ საუკეთესო წერილები გამოაქვეყნოს, თუმცა ბოლო წერილის დაწერაში მე მივიღე მონაწილეობა. აქვე გეტყვით, რომ რამდენიმე დღეში ჩემი სახელით უფრო მკვეთრი წერილი გამოქვეყნდება. მე არ ვუპასუხე 23 კაცისგან შემდგარ ჯგუფს და უფრო მკვეთრ წერილს ვწერ. ევროპელობა არ ნიშნავს იმას, რომ ყველა დემოკრატია და ყველამ ჭკუა უნდა გვასწავლოს. მათ მიერ გამოქვეყნებული წერილი იყო სირცხვილი. დიდი ალბათობით, მათ წაკითხულიც კი არ ჰქონდათ, რას მოაწერეს ხელი და თუ წაკითხული ჰქონდათ, მაშინ უსუფაშვილმა პასუხიც გასცა. ჩვენ არ გვეშინია, რომ ევროპაში სიმართლე გავიტანოთ, — განაცხადა ივანიშვილმა.

# ჯონდი ბაღათურია: „ბენდუქიძემ და გიული ალასანიამ განათლების სფეროში მონოპოლიები შექმნეს“

შორენა კოწოწაშვილი

„ქართული დასის“ ლიდერი, ჯონდი ბაღათურია, მიიჩნევს, რომ ყოველგვარი ამნისტია – პოლიტიკურიც და ეკონომიკურიც, სააკაშვილის ხელისუფლებასთან მიმართებით დაუშვებელია. პარლამენტის ყოფილი წევრი აცხადებს, რომ ყველა დამნაშავე მაღალჩინოსანი უნდა გასამართლდეს.

რაც შეეხება იმას, არის თუ არა პოლიტიკური მოტივაცია აგრარულ უნივერსიტეტთან დაკავშირებით, ბაღათურია ფიქრობს, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ძალიან სწორად მოიქცა.

რა პრეტენზიები არსებობს უმრავლესობასთან, რამდენად სწორად მოიქცა განათლების სამინისტრო აგრარულ უნივერსიტეტთან მიმართებით და დაიწყო თუ არა პროკურატურამ პრეზიდენტის დედის – გიული ალასანიას წინააღმდეგ შეტანილი მასალების შესწავლა-გამოძიება? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს „ქართული დასის“ ლიდერ ჯონდი ბაღათურიასთან.

***– ბატონო ჯონდი, როგორ შეაფასებდით მიმდინარე პოლიტიკურ პროცესს, უნდა დათმოს თუ არა მთავრობამ ნაციონალების სასარგებლოდ? ფაქტია, საპარლამენტო უმცირესობა საკონსტიტუციო ცვლილებების მხარდაჭერის სანაცვლოდ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ამნისტიას ითხოვს, ხელისუფლება კი, როგორც ჩანს, პოლიტიკურ ამნისტიას გარკვეული დოზით უკვე განიხილავს.***

– მიმაჩნია, რომ ის საქციელი, რომელსაც მიხეილ სააკაშვილი და მისი გარემოცვა ითხოვს, სამარცხვინოა. ეს არის დანაშაული. რეალურად ისინი ითხოვენ არა მარტო პირად უსაფრთხოებასა და საკუთარი ტყავის გადარჩენას, არამედ ნაქურდალი და ნაძარცვი ქონების შენარჩუნებასაც. ამიტომ მე მიმაჩნია, რომ ეს პრინციპულად მიუღებელი საკითხია და, არა მგონია, ამას ხელისუფლება დათანხმდეს.

***– თუმცა, ივანიშვილის ხელისუფლებისგან დასავლეთი აქტიურად ითხოვს ნაციონალების ინტერესების გათვალისწინებას არა მხოლოდ ამ კუთხით, არამედ პრინციპულად მოითხოვენ უმრავლესობისგან, რომ მაღალჩინოსანი ნაციონალები არ იქნენ დაპატიმრებული, მათ შორის გიგი უგულავაც.***

– როცა დასავლეთიდან მოთხოვნა დგება კოჰაბიტაციაზე, ეს არ გულისხმობს იმას, რომ ჩვენ კონკრეტულ დანაშაულში დამნაშავე პირები არ გავასამართლოთ. რაც უფრო მაღალი თანამდებობის პირია ადამიანი, მეტი პსსუხისმგებლობა აკისრია. მიმაჩნია, რომ ვინც დანაშაული ჩაიდინა, აუცილებლად უნდა იქნეს პასუხისგებაში მიცემული. დღეს სააკაშვილისა და მისი გარემოცვის გასამართლება უკვე ღირსების საკითხია, არა მარტო პირადი, არამედ ზოგადად, ჩვენი საზოგადოების ღირსებისა. ჩვენ თუ გვინდა, შევდგეთ სახელმწიფოდ და თუ გვინდა, რომ შემდგომში ყველა ადამიანმა, რომელსაც რაიმე ტიპის – მინიმალური ან მაქსიმალური ძალაუფლება ხელში აქვს, დანაშაული აღარ ჩაიდინოს, წინა ხელისუფლების პირობებში, ვინც კი სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა, აუცილებლად უნდა გასამართლდეს. პასუხისმგებლობას თავი ვერავინ ვერ უნდა აარიდოს.

***– სამართლიანობის აღდგენის გზაზე ახალი ხელისუფლების მხრიდან უკვე შეცდომები გამოიკვეთა? სულ უფრო მეტი ადამიანი საუბრობს პროკურატურის სისუსტეზე და იმაზე, რომ უკვე კომიკური სახე მიიღო ნაციონალების პროკურატურაში დაბარებამ და მერე გათავისუფლებამ.***

– არ ვიზიარებ აზრს, რომ მთავარი პროკურატურა არის სუსტი. ჯერ ერთი, მთავარ პროკურატურაში არის წარმოუდგენლად ბევრი საქმე, ამიტომ გვიანდება ყველა საქმის გამოძიება; მეორე მხრივ, მთავარი პროკურატურა არის ძალიან დიდი წნეხის ქვეშ. პროკურატურა დღეს განიცდის ძლიერ პოლიტიკურ ზეწოლას. ამიტომ ახლა პროკურატურასა და ზოგადად სამართალდამცავებს სჭირდებათ საზოგადოების ზურგი იმისათვის, რომ უფრო გაბედული და უფრო ეფექტური ნაბიჯები გადადგან. გამგებმა გაიგოს, პოლიტიკური ზეწოლა, რომელიც დღეს მართლმსაჯულებაზე ხორციელდება, არის ძალიან ძლიერი და პროკურატურას ამ მარწუხებიდან გათავისუფლება სჭირდება.

***– იზიარებთ იმ ადამიანების პოზიციას, რომლებიც ფიქრობენ, რომ ნაციონალური მოძრაობა დამნაშავე რეჟიმი იყო და დამნაშავესთან კოჰაბიტაცია შეუძლებელია?***

– რა გითხრათ, სიტყვა კოჰაბიტაცია უკვე კომიკურად გადაიქცა. თავისი შინაარსით ძალიან გასაგები და კარგი სიტყვაა, მაგრამ, კიდევ ერთხელ ვამბობ, ეს დამნაშავეებთან თანაცხოვრებას არ გულისხმობს. დამნაშავეებმა პასუხი უნდა აგონ კანონის წინაშე. რაც შეეხება თვითონ იურიდიული პირის – ნაციონალური მოძრაობის გასამართლებას, ეს სამართლებრივად ვერ მოხერხდება, იმიტომ, რომ იურიდიულ პირს ნაციონალურ მოძრაობას წესდებაში არ უწერია ის, რასაც ისინი აკეთებდნენ. ამიტომ უნდა გასამართლდნენ კონკრეტული პირები, ადამიანები, რომლებიც მართავდნენ ნაციონალურ მოძრაობას და რომლებმაც ეს დანაშაულები ჩაიდინეს. ვისაც დანაშაული არ ჩაუდენია წინა ხელისუფლების პირობებში, მათ მხოლოდ პოლიტიკური პასუხისმგებლობა ეკისრებათ.

***– უმრავლესობის წევრი კობა დავითაშვილი მიიჩნევს, რომ პრემიერ-მინისტრის მხრიდან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილთან მისვლა შეცდომა იყო.***

– ბიძინა ივანიშვილის განზრახვა იყო სწორი და სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი. როგორ შედეგს გამოიღებს ეს შეხვედრა, მომავალში გამოჩნდება. ზოგჯერ არის, რომ როგორც არ უნდა ეცადო, არაფერი გამოდის. ვნახოთ, ეს შეხვედრა რა შედეგს გამოიღებს. აპრიორი იმის თქმა, რომ ეს ნაბიჯი არ იყო სწორი, არ შეიძლება. ეს იყო მცდელობა სასამართლოს ხელმძღვანელის დაბრუნებისა სამართლებრივ ველში. ამიტომ, ვფიქრობ, ეს იყო სწორი მცდელობა, სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი. შედეგი რა იქნება, ვნახოთ.

***– ბატონო ჯონდი, იმ ფონზე, როცა პრეზიდენტი და მისი გუნდი პოლიტიკურ და ეკონომიკურ ამნისტიას ითხოვს, საქართველოში ბრუნდებიან თავდაცვის ყოფილი მინისტრი დიმიტრი შაშკინი და სხვები. ამასთან, არის ინფორმაციები, რომ სააკაშვილის მინისტრებმა, მათ შორის კეზერაშვილმა, სოლიდური თანხები გაიტანეს ქვეყნის გარეთ. ამ პირობებში ეკონომიკური ამნისტია დასაშვებია?***

– მე ვერ ვხედავ საფუძველს, რატომ უნდა დავუთმოთ რაიმე სააკაშვილს. სააკაშვილმა ვინმე დაინდო თავისი პრეზიდენტობის პერიოდში?! ერთი ოჯახი მაინც დაინდო და არ გაანადგურა, ვისაც მისწვდა? თქვენ არ ნახეთ, როგორ მოიქცა სააკაშვილი ამნისტიის დროს? ხელი რომ არ მოაწერა, ვეტო დაადო და ბოლომდე იმავნებლა. ბოლომდე არ უნდოდა მის მიერ უკანონოდ დაპატიმრებული პატიმრების გათავისუფლება. ამიტომ ჩვენ რატომ უნდა დავუთმოთ სააკაშვილს ან რატომ უნდა დავინდოთ, ეს არ მესმის. ჩემთვის ეს გაუგებარია: დანაშაული ჩაიდინა? – გასამართლდეს, მერე შეიძლება, შედგეს საუბარი იმაზე, დავინდოთ თუ არა სააკაშვილი, მაგრამ სასამართლოს წინაშე კანონმა ასეთი ტიპის დანაშაულებზე რეაგირება უნდა მოახდინოს. ახლა ლაპარაკი მიდის, მოდი, ვაპატიოთო. იცით რა, პირადად მე რაც დამიშავა, კი ბატონო, მიპატიებია. მინდა გითხრათ, ბევრი რამე დაუშავებია: ლამის მთელი ჩემი ოჯახი ჰყავდა დაპატიმრებული, პარტიის 17 წევრი. კი ბატონო, მიპატიებია, მაგრამ მე რა უფლება მაქვს, გირგვლიანის ოჯახის ნაცვლად ვაპატიო, რობაქიძის ან ვაზაგაშვილის? ამ ჩახოცილი ბიჭების ნაცვლად მე რა უფლება მაქვს, ვაპატიო; ანდა უკანონო პატიმრების ნაცვლად, ვინც ამ წლების განმავლობაში უსასტიკეს პირობებში იმყოფებოდა, მე მათ მაგივრად როგორ უნდა ვაპატიო. ჩვენს მომავალ თაობას უნდა ვკითხოთ და მათგან უნდა ავიღოთ, პირველ რიგში, თანხმობა. ჩვენი მხრიდან სააკაშვილისა და მისი ხელისუფლების პატიება იმას ნიშნავს, რომ დამნაშავე რეჟიმს ყველაფერი შერჩეს.

***– ფიქრობთ, რომ ჯერ პოლიტიკურად უნდა გასამართლეს სააკაშვილის ხელისუფლება და მერე გადაიდგას გარკვეული ნაბიჯები?***



– პოლიტიკა მართლმსაჯულებას უნდა ჩამოშორდეს და მართლმსაჯულების განხორციელებაში არ უნდა ჩაერიოს. სასამართლო სისტემაში დაუყოვნებლივ უნდა გატარდეს რეფორმა, რომელიც სასამართლოს სამართლიანს გახდის.

***– დაბოლოს, ბატონო ჯონდი, აგრარული უნივერსიტეტის ხმაურიან თემას შევეხოთ. თქვენ ბევრი ინფორმაცია გაქვთ უმაღლესი სასწავლებლების მფლობელებთან დაკავშირებით, მათ შორის იგივე კახა ბენდუქიძეზე. უმცირესობა ამტკიცებს, რომ პოლიტიკური მოტივებით ვერ მიიღო ამ უნივერსიტეტმა ავტორიზაცია. აქვს კი მორალური უფლება სააკაშვილის გუნდს, მსგავსი განცხადებები გააკეთოს?***

– ჯერ ერთი, მინდა გითხრათ, რომ ბენდუქიძეს კანონი აქვს დარღვეული. ვფიქრობ, ძალიან სწორად და მართლზომიერად მოიქცა განათლების სამინისტრო. ვფიქრობ, ეს უფრო ადრე უნდა გაეკეთებინა. ასევე ვიცი, რომ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პრივატიზაცია მოხდა სრულიად უკანონოდ, კანონდარღვევით. ფასიც ძალიან ცოტა გადაახდევინეს. ამიტომ, ვფიქრობ, ამ სასწავლებლის გასხვისების საკითხის გადახედვაც უნდა მოხდეს. ბენდუქიძე და გიული ალასანია – პრეზიდენტის დედა, არის ის ორი პირი, რომლებმაც განათლების სფეროში მონოპოლიები შექმნეს და რომლებმაც დააწესეს უმაღლეს სასწავლებლებში სპეკულაციურად მაღალი ფასები. დღეს ის სპეკულაციურად მაღალი ფასები განაპირობა სწორედ ბენდუქიძისა და სააკაშვილის დედის მონოპოლისტურმა მდგომარეობამ. ამიტომ აუცილებელია, ეს მონოპოლიები დაინგრეს. უკანონოდ შექმნილი მონოპოლიები უნდა დაინგრეს და დაიშალოს.

***– თქვენ მთავარ პროკურატურაში შეიტანეთ მასალები პრეზიდენტისა და მისი გარემოცვის, მათ შორის სააკაშვილის დედის ელიტურ კორუფციაში მონაწილეობის შესახებ. თუ იცით, დაიწყო ამ ფაქტებზე გამოძიება? მოწმედ ხომ არ დაიკითხეთ?***

– ჩემი ინფორმაციით, ამ მასალებზე მოკვლევა უკვე დაწყებულია. თუმცა, მინდა გითხრათ, რომ პრეზიდენტის წინააღმდეგ კი არა, ხომ ხედავთ, პროკურატურა იმის გამო, რომ დიდ ზეწოლას განიცდის, ხშირ შემთხვევაში ვერ ახერხებს, კანონის წინაშე პასუხი აგებინოს კონკრეტულ დამნაშავეებს. ამიტომ ჯერ ეს წნეხი უნდა მოეხსნას პროკურატურას და მერე შეეძლება მას, ობიექტურად იმუშაოს. ჯერჯერობით პროკურატურა არნახული ზეწოლის ქვეშ არის.

***– ვისი მხრიდან აქვს ზეწოლა პროკურატურას, საპარლამენტო უმცირესობის მხრიდან?***

– არა მარტო საპარლმენტო უმცირესობის მხრიდან, არამედ მათი ლობისტებისგანაც ქვეყნის გარედან.

***– ანუ დღესაც ერევიან ქვეყნის გარედან საქართველოს შიდა პოლიტიკურ საკითხებში?***

– ხომ ხედავთ. არის პოლიტიკური განცხადებები, რომლებიც გავლენას ახდენს ქვეყანაში მიმდინარე სამართლიანობის აღდგენის პროცესზე და ამ პროცესს აფერხებს. ამის მიზეზი არის ის, რომ დასავლეთი დეზინფორმირებულია ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ. კარგად ვერ მუშაობს ჩვენი საპარლამენტო უმრავლესობა, ის ნაწილი, რომელსაც ევალება დასავლეთში მუშაობა. ჩემი აზრით, არაეფექტურად მუშაობენ. მეტი აქტიურობაა საჭირო და მეტი დამაჯერებელი არგუმენტები სჭირდება დასავლეთს იმისათვის, რომ სწორად გაიგონ საქართველოში მიმდინარე სამართლიანობის აღდგენის პროცესი. ეს პოლიტიკური დევნა კი არ არის, არამედ სამართლიანობის აღდგენაა, რაც აუცილებლად განსახორციელებელია.

## პროკურორი – საქართველოს იუსტიციის მინისტრი!



თეა წულუკიანის განათლების ცენზთან დაკავშირებული ერთი კვირის წინანდელი ვაკხანალია ჩაცხრა, მაგრამ რიგითი მოქალაქისთვის გაურკვეველი და საეჭვო დარჩა იუსტიციის მინისტრის უფლება – მოვალეობების საკითხი.

გაუგებარი იყო მიზეზიც, რატომ ახლა და არა, ვთქვათ, თ.წულუკიანის თანამდებობაზე წარდგენის დროს არ არკვევდნენ დეპუტატები მისი განათლების ნიუანსებს.

უნდა ითქვას, რომ ამ თემის ირგვლივ ხმაური საჭირო იყო ერთი პოლიტიკური გუნდისთვის, რათა გადაეფარათ კულისებს მიღმა მიმდინარე მათივე თავგანწირული ბრძოლა 2004-2012 წლებში უკანონოდ მიტაცებული ასეულობით

მილიონის ქონების შესანარჩუნებლად და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის თავიდან ასარიდებლად, რაც ასე თვალშისაცემი გახდა თითოეული მოქალაქისათვის. ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის საქმეში კი ლომის წილი უნდა დაიდოს ზოგადად პროკურატურამ და იუსტიციის მინისტრმა. საკითხის პოლიტიკურ ნიუანსებზე სხვას არაფერს ვიტყვით; დავამატებთ მხოლოდ, რომ ოპოზიციური პოლიტიკური გუნდის პირველმა პირებმა შესანიშნავად უწყოდნენ „საკამათო“ თემის უპერსპექტივობა; ამიტომაც თავად არ ჩარეულან და ასპარეზი „გასაპიარებლად“ პარტიის ყველაზე გამოუცდელ და ნორჩ წევრებს დაუთმეს.

რაც შეეხება საკითხის სამართლებრივ ასპექტებს, ყველაფერი მკაცრად არის რეგლამენტირებული კანონით „პროკურატურის შესახებ“.

ვინ არის იუსტიციის მინისტრი? კანონი მოკლედ პასუხობს ამ კითხვას: „პროკურორი – საქართველოს იუსტიციის მინისტრი“. როგორც ხედავთ, აქ პასუხი ერთმნიშვნელოვანია და მისი ინტერპრეტირების საშუალებას არ იძლევა.

ვინ შეიძლება დაინიშნოს პროკურორად?

იგივე კანონი მოკლედ განმარტავს, რომ „პროკურორად ან პროკურატურის გამომძიებლად შეიძლება დაინიშნოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება“ ...კანონის ამ მუხლში არსად არის ნათქვამი, სამართლის რომელი სფეროს სპეციალისტი უნდა იყოს პროკურორი. მთავარი და აუცილებელი არის, რომ იგი იყოს იურისტი!

რაც შეეხება პროკურორის სპეციალიზაციას, ან საკვალიფიკაციო გამოცდებს, კანონი აქაც კატეგორიულია და პირდაპირ ამბობს, რომ „პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებისგან თავისუფლდებიან იუსტიციის მინისტრი, მთავარი პროკურორი“ ...და ასე შემდეგ; ეს კი კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ იუსტიციის მინისტრს არ მოეთხოვება სამართლის რომელიმე სფეროში განსაკუთრებული სპეციალიზაცია; მისთვის, როგორც უკვე ვნახეთ, საკმარისია „უმაღლესი იურიდიული განათლება“.

მიუხედავად იმისა, რომელიმე პარლამენტარი გააპროტესტებს თუ არა, „კანონი პროკურატურის შესახებ“ ასევე ზუსტად განსაზღვრავს იუსტიციის მინისტრის მოვალეობებს. კერძოდ: დასახელებული კანონის 8-ე მუხლის პირველი პუნქტის გ. ქვეპუნქტში დაწვრილებითაა ჩამოთვლილი თანამდებობის პირები, ვის მიმართაც სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელება მხოლოდ იუსტიციის მინისტრს შეუძლია. კერძოდ: საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე და წევრი, საქართველოს მთავრობის წევრი, საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს პრეზიდენტი და წევრი, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი და დესპანი, თანამდებობაზე მყოფი უმაღლესი სამხედრო ან უმაღლესი სპეციალური წოდების მქონე ოფიცერი ან მასთან გათანაბრებული პირი. არც ამ და არც ერთ სხვა კანონში არაა მითითებული, რომ იუსტიციის მინისტრს მოეთხოვება სამართლის რომელიმე დარგში (სისხლის სამართალი, სამოქალაქო, ადმინისტრაციული...) სპეციალიზაცია; კანონით მისთვის საკმარისია მხოლოდ უმაღლესი იურიდიული განათლება!

რაც შეეხება იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის განათლების საკითხს;

„ფრანგული“ დიპლომები მან სატელევიზიო გადაცემაში საჯაროდ წარმოადგინა, მაგრამ ეს არ არის მთავარი; მისმა ოპონენტებმა თავი აშკარად უხერხულ მდგომარეობაში ჩაიგდეს, როცა „ “ -ს – საფრანგეთის საყოველთაოდ ცნობილი უმაღლესი სკოლის ცენზი ეჭვქვეშ დააყენეს, რაც თავშიც არ მოსვლია სტრასბურგის სასამართლოს, რომლისთვისაც აუცილებელია უმაღლესი იურიდიული განათლება, რასაც იძლევა კიდეც ფრანგული „ “ – ამ დიპლომას საფუძველზე მიიღო მონაწილეობა თეა წულუკიანმა 2000 წელს ევროსაბჭოს მიერ გამართულ კონკურსში, რომელშიც გაიმარჯვა და გახდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შტატიანი თანამშრომელი; იურისტის მოვალეობას ასრულებდა სხვადასხვა თანამდებობებზე თ.წულუკიანი, როცა სწავლობდა საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ მიმართული საჩივრების საფუძვლიანობას, როცა ადგენდა ამ საქმეებზე გადაწყვეტილებებსა და განჩინებებს, როცა ხელმძღვანელობდა საქართველოდან შემოსულ საჩივრებზე მომუშავე ჯგუფს და როცა მომხსენებელი იყო ერთი მოსამართლის მიერ განსახილველ საქმეებზე. აუცილებელია ითქვას ისიც, რომ „ “-ში გამოფენილია იმ ქვეყნების დროშები, რომლის მოქალაქეებმაც დაამთავრეს ეს პრესტიჟული სკოლა; თეა წულუკიანის დამსახურებით, აქვეა საქართველოს ხუთჯვრიანი დროშაც, რისთვისაც ჩვენგან მადლობასაც კი იმსახურებს!

**ვენედი ბენიძე –**

**სამართლის დოქტორი, სრული პროფესორი, იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი**

# საქართველოში თამბაქოს ნაწარმი გაძვირდება?

მერი ნამორაძე

მედიკოსებს თუ დავუჯერებთ, საქართველოში ყოველწლიურად თამბაქოსგან გამოწვეული დაავადებებით 11 ათასი ადამიანი იღუპება. აქედან 3 ათასი პასიური მოწევის მსხვერპლია. 2010 წლის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 30 პროცენტი მოიხმარს თამბაქოს. მამაკაცების 55%-ზე მეტი და ქალების 5%-მდე მწეველია. ყველაზე საგანგაშოდ კი ის მიიჩნევა, რომ მწეველთა უმრავლესობა დღეში საშუალოდ 20 ღერს მოიხმარს, რაც თამბაქოზე მძიმე დამოკიდებულებაზე მიუთითებს. როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში ამბობენ, ბოლო 12 თვის განმავლობაში მოწევაზე თავის დანებება წარუმატებლად სცადა დაახლოებით 39%-მა, მათ შორის 40% ძლიერ სქესს წარმოადგენდა, 26 კი – სუსტ სქესს.

საქართველოს მთავრობამ ბევრი იფიქრა თუ ცოტა იფიქრა, გადაწყვიტა, თავისი მოსახლეობა დაიცვას თამბაქოს მავნე ზეგავლენისაგან და თამბაქოს კონტროლის ღონისძიებები გააძლიეროს. მწეველთა „გულის გასახეთქად“, უკვე შემუშავებულია თამბაქოს კონტროლის ღონისძიებათა გაძლიერების შესახებ მთავრობის დადგენილების პროექტი, რომელიც გულისხმობს თამბაქოს კონტროლის სახელმწიფო კომისიის შექმნას სხვადასხვა უწყებების, არასამთავრობო ორგანიზაციების თუ სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობას. მთავრობის დადგენილების პროექტი ასევე ითვალისწინებს კონტროლის ღონისძიებების საერთაშორისო კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას და თამბაქოსთან ბრძოლის ფართომასშტაბიანი კამპანიის დაწყებას.

კომისიამ 1 თვის ვადაში თამბაქოს კონტროლის გრძელვადიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა უნდა შეიმუშაოს, რათა მიღწეულ იქნეს თამბაქოთი გამოწვეული ტვირთის შემსუბუქება და სიკვდილობის შემცირება.

დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში ამბობენ, რომ თამბაქოს მოხმარება სიკვდილის ერთ-ერთი წამყვანი მიზეზია. თამბაქოს გლობალური ეპიდემია დაახლოებით 6 მილიონ ადამიანს კლავს ყოველწლიურად, აქედან 600 000-ზე მეტი მეორადი კვამლით იღუპება. თამბაქოს კონტროლის კუთხით სათანადო ზომების მიუღებლობის შემთხვევაში 2030 წლისთვის თამბაქოს მიზეზით გამოწვეული სიკვდილობა 8 მილიონს მიაღწევს, რაც ნიშნავს 4 წამში ერთი ადამიანის გარდაცვალებას. თამბაქოს მიზეზით გამოწვეული სიკვდილობის 80%-ზე მეტი წილი დაბალ და საშუალო შემოსავლიან ქვეყნებზე იქნება განაწილებული.

2008 წლის კვლევებმა აჩვენა, რომ 16 წლის მოზარდთა 50%-ს ერთხელ მაინც მოუწევია სიგარეტი, 16% ეწეოდა ბოლო 30 დღის განმავლობაში და 12% რეგულარული მწეველია. მოზარდთა 1.1% დღეში 20 ან მეტ ღერ სიგარეტს ეწევა. 60%-თვის სიგარეტის ყიდვა ადვილია. 30% თამბაქოს მოიხმარს 13 წლის და უმცროსი ასაკიდან, ხოლო 10% – 9 წლის და უმცროსი ასაკიდან. 13 წლამდე თამბაქოს ყოველდღიურად მოიხმარს 4.3%. მოზარდთა 87% აცხადებს, რომ მათი მეგობარი ეწევა.

საქართველომ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის თამბაქოს კონტროლის ჩარჩო-კონვენციას ხელი მოაწერა 2004 წლის 20 თებერვალს. ჩარჩო-კონვენციის რატიფიკაცია განხორციელდა 2005 წლის 16 დეკემბერს. ამით ქვეყანამ აიღო საერთაშორისო ვალდებულება განეხორციელებინა კონვენციით ნაკისრი ყველა მოთხოვნა. როგორც ხელისუფალნი ამბობენ, ამ ვალდებულებებიდან მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი იქნა დანერგილი.

კონვენციით აღებული ვალდებულებების შესრულებისათვის და საქართველოს თამბაქოს კონტროლის კანონის სრულფასოვანი აღსრულებისათვის ქვეყნის ხელისუფლება დაუშვებლად მიიჩნევს თამბაქოს ინდუსტრიის მონაწილეობას ჯანდაცვითი გადაწყვეტილებების მიღებისა და განხორციელების პროცესში.

ამასთან ხელისუფლება აპირებს საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი იქნას შესწორება, რომელიც ითვალისწინებს თამბაქოს ნაწარმზე აქციზის პერიოდულ ზრდას და მისი პარამეტრების განსაზღვრას, როგორც ეს მრავალ ქვეყანაშია აპრობირებული. ამ ნაბიჯმა მნიშვნელოვნად უნდა გაზარდოს საბიუჯეტო შემოსავლები და ნაკლებად ხელმისაწვდომი გახადოს ნაწარმი ბავშვებისათვის.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში უნდა მოხდეს ცვლილებების კანონპროექტის განხილვა და შესაბამისი მაღალი საჯარიმო სანქციების დაწესება და დაჯარიმების პროცედურის გამარტივება. სოფლის მეურნეობის სამინისტროს კი თამბაქოს ნედლეულის, შემოტანილი და ადგილზე წარმოებული პროდუქციის სტანდარტთან შესაბამისობის მონიტორინგი დაევალება. ამასთან, თამბაქოს ნაწარმის შემცველობების აკრედიტებულ ლაბორატორიაში ტესტირება უნდა მოხდეს მწარმოებლის ხარჯზე. სავალდებულო სახე უნდა მიიღოს პიქტოგრამების კოლოფზე დატანის უკვე არსებულმა ფაკულტატურმა ნორმამ და მინიმუმ 50%-მდე უნდა გაიზარდოს სამედიცინო გაფრთხილების ზომა ორივე გვერდზე. ცვლილებები უნდა განხორციელდეს რეკლამის შესახებ კანონში, რომლის შესაბამისად აიკრძალება თამბაქოს ნაწარმის ყველა სახის პირდაპირი და არაპირდაპირი რეკლამა (მათ შორის ინტერნეტის საშუალებით) და პოპულარიზაცია.

თამბაქოს გადაგდების მსურველთა გულის გასახარად შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაევალა დაუყოვნებლივ გატარდეს თამბაქოზე დამოკიდებულების და მოხმარების შეწყვეტასთან დაკავშირებული და თამბაქოზე მოთხოვნის შემცირების ღონისძიებები, მათ შორის უნდა ამოქმედდეს თამბაქოზე დამოკიდებულების და მოხმარების შეწყვეტასთან დაკავშირებული შესაბამისი სახელმწიფო პროგრამა და სადაზღვევო პროგრამებში განვითარდეს შესაბამისი სერვისები, რომლის საშუალებითაც ნებისმიერ მსურველს შეეძლება უფასოდ ან ხელმისაწვდომ ფასებში კვალიფიციური დახმარების და მედიკამენტების მიღება.

არასრულწლოვანთათვის სიგარეტის მიყიდვის, უფასოდ დარიგების, ასევე ცალკეული ღერებით გაყიდვის აკრძალვასთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში გამარტივდება პროცედურები და გაიზრდება საჯარიმო სანქციები. აიკრძალება ღერებით გაყიდვაც.

# ექიმები შიმშილობას აგრძელებენ

მერი ნამორაძე



სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრთან დაკავშირებული ვითარება უახლოეს დღეებში უნდა განიმუხტოს. მართალია, მოშიმშილე მედიკოსები არ აპირებენ პროტესტის უკიდურესი ზომის შეწყვეტას, ვიდრე მიზანს არ მიაღწევენ და სამსახურში არ აღადგენენ, მაგრამ დაძაბულობას ცენტრის მმართველის ცვლილება მაინც განმუხტავს. ჯანდაცვის სამინისტრომ გადაწყვიტა, რომ თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მართვა მმართველმა საბჭომ ჩაიბაროს, რომლის შემადგენლობაშიც ჯანდაცვის სამინისტროსა და მერიის წარმომადგენლები შევლენ.

ეს გადაწყვეტილება ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოსა და სასწრაფოდან გათავისუფლებული ექიმების შეხვედრაზე იქნა მიღებული, რომელსაც ასევე საპარლამენტო უმრავლესობის წევრები დიმიტრი ხუნდაძე, ეკა ბესელია, მერიის სოციალური სამსახურის უფროსი მამუკა ქაცარავა და თბილისის სასწრაფო სამედიცინო სამსახურის გენერალური დირექტორი კახა ჩიხრაძე ესწრებოდნენ.

ოთხმა ექიმმა შიმშილი სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ 8 მარტიდან დაიწყო. მათ შეუერთდა სასწრაფოს ერთი თანამშრომელი. მოშიმშილე მედიკოსები სწორედ ისინი არიან, რომლებმაც გასული წლის მიწურულს გაბედეს და სასწრაფოს შიდასამზარეულო გამოამზეურეს. მაშინდელ მმართველებს მედიკოსები თანხების არამიზნობრივად გამოყენებაში ადანაშაულებდნენ – არ ხდებოდა ავტოპარკის განახლება, არ შემოჰყავდათ დამატებით ავტომანქანები. პრობლემას წარმოადგენდა დაგვიანებები პაციენტებთან, რაც ბუნებრივ აგრესიას იწევდა მოსახლეობის მხრიდან. დაგვიანებები გამოწვეული იყო სადისპეტჩეროს მიერ არასწორად დაგეგმილ გადამისამართებებით და ასე შემდეგ. დირექტორის შეცვლის შემდეგ ვითარება თითქოს რადიკალურად უნდა შეცვლილიყო, მაგრამ ვითარების შეცვლის მაგივრად აქტიური ექიმების სამსახურიდან დათხოვნა მოხდა. მათი დათხოვნის მცდელობას რამდენიმე კვირის წინაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ დირექტორმა ეს გადაწყვეტილება მაშინ აფექტის მდგომარეობით ახსნა. შემდეგ, უკვე ცხელ გულზე კი არა, გაგრილებულზე იქნა მიღებული მედიკოსთა სამუშაოდან დათხოვნის გადაწყვეტილება.

ამ პროცესების დაწყების შემდეგ კახა ჩიხრაძემ სასწრაფოს თანამშრომლებს გაწეული სამუშაოს შესახებ ანგარიში ჩააბარა. კერძოდ, მედპერსონალის ხელფასები 20%-ზე მეტით გაიზარდა, შემუშავდა ექიმების დასვენების პრობლემის გადაჭრის გზები, შეიქმნა მედსაბჭოები, რომლებზეც სამედიცინო სფეროში წამოჭრილი პრობლემები განიხილება, გამოცხადდა ტენდერი მედიკამენტებზე, რამაც სამსახურს თანხების დაზოგვის საშუალება მისცა, მიმდინარეობს ქვესადგურების რემონტი და სხვა. იგეგმება ავტოპარკის სრული განახლება, რის შემდეგაც სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურს 80 ახალი ავტომანქანა მოემსახურება.

საქმე მაინც იქამდე მივიდა, რომ ჯანდაცვის სამინისტრომ აქტიური ჩარევა გადაწყვიტა და მხოლოდ ჩიხრაძის ამარა აღარ დატოვა სასწრაფო. გადაწყდა, რომ გადაუდებელი სამედიცინო სამსახურის მართვას მმართველი საბჭო პარალელურად იმ დრომდე განახორციელებს, სანამ სამართლებრივი გადაწყვეტილება არ გახდება ცნობილი. მინისტრის თქმით, გადაწყვეტილება ერთობლივად, ხანგრძლივი ანალიზის შედეგად მიიღეს. სერგეენკომ მოშიმშილე ექიმებს მოუწოდა პრობლემის გადასაწყვეტად სამართლებრივ გზას მიმართონ, თუმცა, შეუძლიათ პროტესტიც ნებისმიერი ფორმით გამოხატონ.

თავად მოშიმშილენი ირწმუნებიან, რომ სასწრაფო დახმარების ხელმძღვანელობას არანაირი არგუმენტი არ ჰქონდა მათ გათავისუფლებასთან დაკავშირებით და მათ მხოლოდ უაზრო, აბსურდული განმარტებები მოისმინეს. იგივე განმარტებები მოისმინეს მინისტრმა და პარლამენტის წევრებმა. ერთ-ერთი მოშიმშილის, ლევან ლომსიანიძის განცხადებით, მინისტრმა და პარლამენტარებმა მიუთითეს, რომ ეს არაა მიზეზი ხალხის სამსახურიდან გასათავისუფლებლად.

მოშიმშილე ექიმები სამუშაო ადგილებზე აღდგენას და ჩიხრაძის თანამდებობიდან გადაყენებას მოითხოვენ. ამ უკანასკნელის მიმართ ვერდიქტს სასამართლო გადაწყვეტილების შემდეგ გამოიტანენ. რამდენად დააკმაყოფილებს სასამართლო ექიმთა მოთხოვნას სამუშაო ადგილზე აღდგენასთან დაკავშირებით, ძნელი სათქმელია.

# შალვა ნათელაშვილი: „პროკურატურა და სასამართლო გაყოფილია ორ დიქტატორს – სააკაშვილსა და ივანიშვილს შორის“

შორენა კოწოწაშვილი



**ლეიბორისტული პარტიის ლიდერი, შალვა ნათელაშვილი, რომელიც ბიძინა ივანიშვილს ქართულ პოლიტიკაში გამოჩენის დღიდან აკრიტიკებს და მას, მიხეილ სააკაშვილის მსგავსად, დიქტატორს უწოდებს, დღეს ივანიშვილის წინააღმდეგ გაეროში საგანგებო მიმართვას აგზავნის.**

შრომის პარტიის ლიდერი, რომელსაც ამ ცოტა ხნის წინ პოლიტკომიტეტის უმრავლესობა გაექცა იმ მოტივით, რომ ნათელაშვილი სააკაშვილის ხელისუფლებასთან იყო შეკრული, გაეროსგან ითხოვს, საქართველოში პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ გარკვეული ზომები გაატაროს და ქვეყნის შიგნით დიქტატურის განვითარება არ დაუშვას. ამასთან, შალვა ნათელაშვილი დემოკრატიულ სამყაროსაც მიმართავს საქართველოში „დიქტატურის ჩახშობის“ თხოვნით.

სწორედ ამ საკითხებზე გამახვილდა გუშინ ყურადღება შალვა ნათელაშვილის პრესკონფერენციაზე, რომელზეც ოპოზიციური პარტიის ლიდერმა ჟურნალისტებს იმ მიმართვის ტექსტი გააცნო, რომელიც გაეროს შტაბბინაში იგზავნება.

– იძულებული ვართ გაუწყოთ, რომ საქართველოში სააკაშვილის ტოტალიტარული რეჟიმი იცვლება პრემიერ-მინისტრ ივანიშვილის ოლიგარქიული დოლარ-დიქტატურით. ქვეყანაში კვლავ გრძელდება ერთპარტიული რეპრესიები, კვლავ ვიდევნებით პოლიტიკური ოპონენტები, ისევ მონოპოლიზებულია მასმედია, ბიზნესი. ძალოვანი სტრუქტურები კვლავ რჩება პოლიტიკურ პოლიციად, რომელსაც პოლიტმოწინააღმდეგეებზე თვალთვალის ფუნქცია აკისრია. პროკურატურა და სასამართლო გაყოფილია ორ დიქტატორს – სააკაშვილსა და ივანიშვილს შორის. უფრო მეტიც, პრემიერი ივანიშვილი ამზადებს ქვეყანაში ძალზე მაღალი ხარისხის დემოკრატიული ინსტიტუტის – პრეზიდენტის ხალხისგან არჩევნების გაუქმებას, რათა ეს პრეროგატივა გადასცეს თავის ერთპარტიულ კორუმპირებულ პარლამენტს. დაბეჯითებით მოგიწოდებთ, მიიღოთ ზომები ამ სწრაფმზარდი დიქტატურის ჩასახშობად, რათა არ დაუშვათ პრეზიდენტის არჩევაზე ხალხისთვის უფლების წართმევა. გთხოვთ, საკითხი განხილულ იქნეს გაეროს უშიშროების საბჭოზე, – ნათქვამია ლეიბორისტული პარტიის სახელით შალვა ნათელაშვილის მიერ გაკეთებულ მიმართვაში, სადაც საუბარია იმაზე, რომ პრეზიდენტის ხალხის მიერ არჩევა უქმდება.

გუშინვე შრომის პარტიის ლიდერი დედაქალაქის მერ გიგი უგულავას წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმესაც შეეხო და აღნიშნა, რომ ის პირები, რომლებმაც გიგი უგულავას მერის პოსტზე გამარჯვება პირადად მიულოცეს, დღეს ხელისუფლების სათავეში არიან.

რაც შეეხება იმას, მიიღებს თუ არა ლეიბორისტული პარტია შემდგომ არჩევნებში მონაწილეობას, როგორც პარტიის ლიდერმა განაცხადა, პარტია ამის შემდეგ ყველა არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას.

– 2010 წელს, როცა ჩვენმა პარტიამ მონაწილეობა არ მიიღო ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, ამით ძალიან დიდი ზარალი მიიღო. ამის გამო შეგვიწყვიტეს დაფინანსება. ჩვენთვის არავის დაუფასებია შრომა და ის ხალხი, რომლებმაც პირადად მიულოცეს გიგი უგულავას მერის პოსტზე გამარჯვება, მხედველობაში მყავს ალასანია და რესპუბლიკელები, დღეს ხელისუფლებაში არიან, ჩვენ კი ამ მდგომარეობაში ჩავცვივდით. სამწუხაროა, რომ ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობის დიდი ნაწილი არ აფასებს თავგანწირვას, რაც, ვფიქრობ, ქვეყნის პერსპექტივისთვის ძალიან ცუდია, – აღნიშნა ნათელაშვილმა.

# ვატიკანში 115 კარდინალი ახალი პაპის ასარჩევად შეიკრიბა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

სადაც ისინი ღამეს გაათევენ, ავტობუსით გადაიყვანენ.

ხმის მიცემისას გამოყენებულ ბიულეტენებს დაწვავენ. ბუხრიდან ასული კვამლი კი იმის მანიშნებელი იქნება, რომ პაპი ჯერ არ არის არჩეული.

რომის პაპის არჩევნებში 115 კარდინლი მიიღებს მონაწილეობას მსოფლიოს 48 ქვეყნიდან. მათგან ყველაზე მეტი წარმომადგენელი – 28 კარდინალი იტალიას ჰყავს, 11 კი – აშშ-ის.

ოთხშაბათიდან, ხმის მიცემის ორი პროცედურა გაიმართება დილით და შუადღით მანამ, სანამ ერთი კონკრეტული კანდიდატი ხმების ორ მესამედს (77 ხმას) არ მიიღებს.

2005 წელს რომის ახალი პაპის არჩევას, როცა საბოლოოდ ბენედიდიქტ მეთექვსმეტე აირჩა, ოთხი ეტაპი დასჭირდა. თუმცა, ექსპერტთა ვარაუდით, ამჟამად ახალი პაპის არჩევას უფრო მეტი დრო დასჭირდება, ვინაიდან კონკლავს არ ჰყავს გამოკვეთილი ფავორიტი.

ვატიკანის კარდინალებმა, ახალი პაპის არჩევის წინა დღეს უკანასკნელი სხდომა ჩაატარეს. გუშინ, კარდინალებმა განიხილეს თუ კონკრეტულად რას მოელიან ახალი პონტიფიკოსისაგან.

ვატიკანი მომავალი პაპის სახელის წინასწარ გამჟღავნების წინააღმდეგ უპრეცედენტო ზომებს იღებს და ამისათვის მსოფლიოში ყველაზე განვითარებული სადაზვერვო სამსახურების მეთოდებს იყენებს. როგორც ერთ-ერთი კანადური გაზეთი იუწყება, იმ ოთახების ფანჯრები, სადაც კარდინალები ისვენებენ და მუშაობენ თეთრი საღებავით არის შეღებილი, რათა ფოტოგრაფებმა ვერაფრის გადღება ვერ მოახერხონ. ამასთან, ოთახები ისეა მოწყობილი, რომ ვერცერთმა მონაწილემ ვერ შეძლოს გარე სამყაროსთან რაიმე კავშირი.

როგორც აღნიშნავენ, ვატიკანი ეკლესიიდან განკვეთით დაემუქრა მათ, ვინც პრესას „რაიმე ზედმეტს“ ეტყვის. როგორც აღნიშნავენ, ამ ზომებს იმის გამო იღებენ, რომ 2005 წელს, როდესაც წინა პანტიფიკოსის არჩევა ხდებოდა, გერმანელმა კარდინალმა გერმანულ ტელეარხს, ოფიციალურად გამოცხადებამდე, ახალი რომის პაპის სახელი აცნობა.

შეგახსენებთ, რომ პაპის არჩევის ბოლო ცერემონია 2005 წელს გაიმართა. ხმის მიცემამ მაშინ ორ დღეს გასტანა.

# „ერისიონის“ ჰონორარი 12.000 დოლარია

ეკა ირემაშვილი



ანსამბლი „ერისიონი“ რუსეთში ჩატარებული გასტროლებიდან დაბრუნდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ანსამბლის გასტროლები ქართველ საზოგადოებაში ვნებათაღელვის საგანი გახდა. სოციალურ ქსელებში „ერისიონის“ მისამართით ბევრი შეურაცხმყოფელი მოწოდება გაისმა, თუმცა ჯემალ ჭკუასელისთვის ყველაზე გულდასაწყვეტი მაინც სიტყვა „მოღალატე“ აღმოჩნდა.

რუსეთიდან დაბრუნებულ ანსამბლს თბილისის აეროპორტში საკმაოდ ბევრი ადამიანი დახვდა. ექსცესების თავიდან ასაცილებლად აეროპორტში სამართალდამცველების დიდი რაოდენობა იყო მობილიზებული, თუმცა, ყველაფერმა ყოველგვარი ექსცესების გარეშე ჩაიარა.

„ერისიონმა“ კონცერტები მოსკოვში კრემლის დარბაზში 9 და 10 მარტს ჩაატარა. ქართული კულტურის წარმოჩენამ დარბაზში მყოფ საზოგადოებაში აღტაცება გამოიწვია.

როგორც თბილისში დაბრუნებულმა ჯემალ ჭკუასელმა ჟურნალისტებს განუცხადა, მათი ანსამბლის მისამართით ასეთი ბრალდებები სრულიად უსაფუძვლოა. ანსამბლის ხელმძღვანელს არც ის დაუმალავს, რომ ანსამბლმა „ერისიონმა“ კრემლში გამართული კონცერტისთვის ჰონორარის სახით 12.000 დოლარი აიღო. ცნობილი გახდა ისიც, რომ „ერისიონის“ გასტროლები ქართულ მხარეს საერთოდ არ დაუფინანსებია.

**ჯემალ ჭკუასელი:**

— ისიც უნდა ითქვას, რომ 2003 წლის შემდეგ ჩვენი ანსამბლის დაფინანსება ორჯერ ნაკლები იყო, ვიდრე დანარჩენი სახელმწიფო ანსამბლებისა. არც ის დაგავიწყდეთ, რომ „ერისიონი“ ბიძინა ივანიშვილისგან დაფინანსებას არ იღებდა, თუმცა, მე პირადად უკვე მესამე წელია ვიღებ ხელფასს. ანსამბლის სხვა ხელმძღვანელები და დანარჩენი წევრები ბიძინა ივანიშვილისგან ხელფასს არ იღებდნენ და არც ახლა იღებენ.

ჭკუასელმა კრემლში გამართული კონცერტის შესახებაც ისაუბრა.

***— ელოდით ასეთ ვნებათაღელვას?***

— ვიცოდი, რომ ხმაური იქნებოდა, მაგრამ ასეთს არ ველოდი.

***— როგორ ჩაიარა თქვენმა კონცერტებმა კრემლში?***

— კრემლში გამართული კონცერტი იყო ქართული ხალხური შემოქმედების ზეიმი და არა „ერისიონის“ ზეიმი. საკუთარ შემოქმედებაზე ამდენს ვლაპარაკობთ და მეასედსაც არ ვამბობ, რაც იქ ხდებოდა. დღეს სხვა გზა არ დამიტოვეს. დამსწრენი ამბობდნენ, ორი საათი სამოთხეში ვიყავითო.

***— არ იყო თქვენთვის უხერხული კრემლში კონცერტის გამართვა?***

— არა, კრემლში კონცერტის გამართვა უხერხულობას არ მიქმნიდა, რადგან ჩვენ არ ჩავსულვართ პოლიტიკოსებთან, კრემლის საკონცერტო დარბაზი კი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა. ჩვენ ვართ გამიჯნული პოლიტიკისგან და ვართ მსახიობები. მე ვიცი, რომ ხალხი არაფერს შუაში არ არის არასოდეს. ისე უნდა გავაკეთოთ, რომ ხალხისთვის ვიყოთ სასარგებლო და არა რომელიმე პოლიტიკანისთვის. როცა საუბარია ღალატზე, კარგად უნდა დაფიქრდნენ, ვისზე საუბრობენ. მე და ბურჭულაძე მოღალატეები არ ვართ, რადგან ჩვენი შემოქმედება რუსეთში გავიტანეთ.

***— როგორ გგონიათ, ვინ ააგორა თქვენ გარშემო შავი პიარი?***

— გამოვრიცხავ, რომ კრემლში „ერისიონის“ მიერ გამართული კონცერტების წინააღმდეგ აგორებული შავი პიარი ჩემივე კოლეგების მხრიდან ყოფილიყოს ინსპირირებული. მარტო მისი თქმა შემიძლია, რომ ჩვენ მიმართ ბრალდებები უსაფუძვლო იყო, ნამდვილად წარმატებებს ვუსურვებ ყველა იმ ანსამბლს, რომელიც რუსეთთან დიალოგის გზად კულტურას მიიჩნევს და მომავალში კონცერტებს გამართავს. ვიცი, რომ რუსეთში ჩადიან „რუსთავი“ და „სუხიშვილები“. ორივე ანსამბლს ვუსურვებ წარმატებებს. ნამდვილად მეცოდება ის ხალხი, ვინც უცბად, ყოველგვარი დაფიქრების გარეშე ამბობს, შენ მოღალატე ხარო. სიბრალული მაქვს მათ მიმართ და მეტი არაფერი. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართული ხელოვნება ყოველგვარ პოლიტიკაზე მაღლა დგას. ყველა კონცერტზე ქართული დროშა ავაფრიალეთ და რა არის ამაში ცუდი?!

პუბლიცისტმა ნათია მეგრელიშვილმა „ერისიონის“ რუსეთში გასტროლებს საგანგებო პრესკონფერენცია მიუძღვნა, სადაც განაცხადა, რომ რუსეთი და საქართველო ისტორიულად მეგობრები არასოდეს ყოფილან. მისი აზრით, ნებისმიერ ხელოვანს შეუძლია, გაემგზავროს გასტროლებზე მოსკოვში, თუმცა, არა მთელი ერისა და საქართველოს სახელით.

— ვისაც სურს სპექტაკლების წაღება რუსეთში ან კონცერტების გამართვა, არ არის პრობლემა, ეს მათი პროფესიაა, სადაც მიიწვევენ, უნდა ჩავიდნენ და თავიანთი საქმე გააკეთონ, მაგრამ ამას ნუ გააკეთებენ ქართველი ერისა და სახელმწიფოს სახელით. თუკი იღებენ საკუთარ თავზე ამხელა პასუხისმგებლობას, მაშინ აუცილებლად უნდა გამოხატონ თავიანთი კონცეფცია, რადგან რუსეთი რეალურად არის ქვეყანა, რომელმაც საქართველო დაიპყრო და ეს არ არის პირველი შემთხვევა. ყველას უნდა ახსოვდეს, რომ საქართველო რუსეთის მიერ ჯერ კიდევ ოკუპირებული ქვეყანაა, ამიტომ, უმჯობესი იქნება, სხვადასხვა ლოზუნგისგან ხელოვანებმა თავი შეიკავონ, — განაცხადა ნათია მეგრელიშვილმა.

ჟურნალისტი მერაბ მეტრეველი „ერისიონსა“ და მის ხელმძღვანელს დაფიქრებას ურჩევს. როგორც ჟურნალისტი „ფეისბუქში“ წერს, ის, რაც რუსეთ-საქართველოს შორის ხდება, პოლიტიკა არაა, ეს ომია:

— იქნებ, ვინმემ აუხსნას ამ ხალხს, რომ აქ პოლიტიკა არაფერ შუაშია. ის, რაც რუსეთ-საქართველოს შორის ხდება, პოლიტიკა არაა, ეს ომია (ამჯერად ცივ სტადიაში). ომში კი საკუთარი ქვეყნის ინტერესებისა და ღირსების დაცვა ყველას ევალება. ხელოვნება პოლიტიკაზე მაღლა დგას ან პოლიტიკაში არ ვერევიო, შეგიძლია თქვა მაშინ, როდესაც, მაგალითად, არც „ქართული ოცნების“'მხარდასაჭერ კონცერტზე გამოდიხარ და არც ნაციონალების. ასე რთულია ამის გაგება?! — წერს ჟურნალისტი „ფეისბუქში“.

„ერისიონის“ გასტროლებს ეხმაურება კულტურის ყოფილი მინისტრი ნიკოლოზ რურუა. მისი თქმით, შეცდომა იური ბაშმეტმა აღიარა, რომელსაც თბილისის კონსერვატორიაში კონცერტის ჩატარება საპროტესტო აქციის ფონზე მოუხდა.

— დღეს ბაშმეტს, რომელსაც დარბაზში დაუსტვინეს, უთქვამს, კონცერტის შემდეგ „მივიღე პა ზასლუგამო“ და კონცერტის შემდგომ ვახშამ-ბანკეტზეც აღარ წასულა ანუ აღიარა, რომ მიჰქარა და ეს კარგი მაგალითია სხვებისთვის. ამას ჭკუასელს ვერ ათქმევინებ ვერაფრით, — ნათქვამია ნიკოლოზ რურუას „ფეისბუქზე“.

„ერისიონის“ მოსკოვურ გასტროლებზე სულ სხვაგვარად ფიქრობს ამჟამინდელი კულტურის მინისტრი გურამ ოდიშარია:

— საქართველოს მთავრობას ავ თუ კეთილ მეზობელთან კეთილი ურთიერთობა სურს და კულტურა პირველი შიკრიკია, რომელსაც ეს სიგნალი მიაქვს. მამაჩემი მეორე მსოფლიო ომის ოფიცერი იყო და იხსენებდა, რომ იმ დროს, როდესაც ფაშიზმს ებრძოდა საბჭოთა კავშირი, საბჭოთა კავშირის რადიოში ხშირად იყო გერმანული მუსიკა — ბახი, ბეთჰოვენი, მოცარტი, ვაგნერიც კი, რომელიც ჰიტლერს ძალიან უყვარდა ანუ ვებრძოდით ქვეყანას და ვეუბნებოდით, ჩვენ ვებრძვით თქვენს არასწორ, საზიზღარ პოლიტიკას, მაგრამ ჩვენ არ ვებრძვით თქვენს კულტურასო. კულტურა ყველაზე მაღალია, რაც არსებობს ამ ქვეყანაზე და ჩვენ ჩვენს მეზობელთან, ყველასთან, ავი მეზობელია თუ კეთილი — კეთილი ურთიერთობა გვინდა და კულტურა არის პირველი შიკრიკი, რომელსაც ეს სიგნალი მიაქვს. ამას იგებენ, მას თავისი ენა აქვს და თარგმნა არ სჭირდება. სწორედ ამ ენით გვინდა ავაგოთ ჩვენი მომავალი ურთიერთობები, დავიბრუნოთ ტერიტორიები, გადავწყვიტოთ ყველაზე მძიმე პრობლემები და ასე შემდეგ. დიალოგის გარეშე ეს წარმოუდგენელია. როდესაც გაქრა დიალოგი, სწორედ მაშინ გავარდა პირველი ტყვიაც. „ერისიონი“, „სუხიშვილები“ და სხვები დამოუკიდებელი ორგანიზაციები არიან და მათ აქვთ უფლება, ნებისმიერ ადგილას წავიდნენ და წარმოაჩინონ ქართული საუკუნეებგამოვლილი კულტურა, რითაც ქვეყანა ამაყობს. ჩვენ გვიცნობენ ჩვენი კულტურით, ჩვენ „მერსედესებსა“ და „ჯიპებს“ არ ვაკეთებთ. ჩვენი სიამაყე არის ეს. მეტი საქართველო ყველგან — ეს ჩვენი პრიორიტეტია და ჩვენ ვეუბნებით — წადით, იარეთ, — აღნიშნავს გურამ ოდიშარია.

საზოგადოების ნაწილი კი გაჩერებას არ აპირებს და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად აპირებს, გამოხატოს პროტესტი ანსამბლ „ერისიონის“ მიერ მოსკოვში, კრემლის სცენაზე გამართულ კონცერტთან დაკავშირებით. საპროტესტო აქცია დაიგეგმა „ერისიონის“ ოფისთან, რუსთაველის გამზირზე, სახელწოდებით „ნუ უცეკვებ ოკუპანტს!“ აქციის ორგანიზატორების განცხადებით, საქართველოს სახელმწიფო ანსამბლი არ უნდა ატარებდეს კონცერტს კრემლის სცენაზე, მაშინ როდესაც რუსეთის სახელმწიფოს ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიების 20%-ზე მეტი, საერთაშორისო ნორმებისა და სხვა ქვეყნის სუვერენიტეტის დარღვევით დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებული აქვს საქართველოს რეგიონები — აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი.

— გვინდა დავაფიქსიროთ, რომ ქვეყნის დეოკუპაციისა და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების ანულირებამდე სახელმწიფო პოლიტიკა არ უნდა იქნეს შერბილებული ოკუპანტი ქვეყნის მიმართ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ თუ სხვა საკითხებში.

ასეთი ქმედებები არავითარ შემთხვევაში არ აყენებს საქართველოს მომგებიან პოზიციაში, არც პოლიტიკურად და არც მორალური თვალსაზრისით.

ჩვენ მივიჩნევთ, რომ მორალური თვალსაზრისით გაუმართლებელია, სახელმწიფო სტატუსის მქონე ანსამბლმა გაუმართო კონცერტი აგრესორს, ვინაიდან ეს არის საქართველოს სახელმწიფოს შეურაცხყოფა, ასევე იმ ადამიანთა და მათ ოჯახთა, ვინც შეეწირა რუსეთის აგრესიას 2008 წლის ომში, ვინც დღემდე იმყოფება დევნილობაში საკუთარ ქვეყანაში და არ ეძლევა საშუალება, დაუბრუნდნენ საკუთარ სახლკარს, ჯარისკაცების, რომლებიც გმირულად შეეწირნენ სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლას.

„ერისიონი“ არის ქართული ფოლკლორის ერთ-ერთი თვალსაჩინო სახე, როგორც აქ, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მისი პროფესიონალიზმით და მიღწევებით ამაყობს სახელმწიფო, ანსამბლი ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, შესაბამისად, მას მოეთხოვება ქვეყნის ინტერესების მიმართ მეტი პასუხისმგებლობის გამოჩენა.

ოკუპაცია არ უნდა იყოს ცალკეული ჯგუფების ტრაგედია, ის მთლიანად საქართველოს სახელმწიფოს ტრაგედიაა, ისევე, როგორც აგრესიის შედეგად დაზარალებული და დაღუპული ადამიანები, არ უნდა იყვნენ მხოლოდ მათი ოჯახის წევრებისა და ახლობლების ტკივილი, — აღნიშნულია აქციის ორგანიზატორთა საგანგებო მიმართვაში.


შპს „საქარქფონდთან“ გაიხსნა ბავშვთა შემოქმედებითი სტუდია. ბავშვებს შევასწავლით არქიტექტურული შემოქმედების სხვადასხვა დარგებს: არქიტექტურა, ფერწერა, დიზაინი, ხატვა, ძერწვა, არქიტექტურის ისტორია. საკონტაქტო ტელ: 599-30-19-67; 599-38-86-85.



## SMS-განცხადებები - 3090

● იყიდება მუხრანში 2-სართულიანი სახლი, სამზარეულოთი , მუდმივი ცივი და ცხელი წყლით, გათბობით, ორივე სართულზე ვანა-ტუალეტით, ბუნებრივი აირით, იატაკი ყველგან გაკეთებული, ეზო 2600 კვ. მ., ასევე იყიდება ნაკვეთი ძალისთან — 4000 კვ.მ. ფასი შეთანხმებით. 599-25-31-66.

● ძალიან იაფად! მუხრან-თელეთში, წმ. გიორგის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე, თბილისიდან 20 კმ-ში, 275 კვ.მ. 2-სართულიანი სახლი, მონტერეის გადახურვით, მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრებით, რკინის კარებით და ჟალუზებით, მუდმივი წყლით, ბუნებრივი აირით, 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთით. მიმდინარეობს სველი წერტილების მონტაჟი. საწყისი ფასი: 28.000 დოლარი. შეიძლება განვადება. ტელ.: 599722748, 57742412. გია.

## განცხადებები

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599978546.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● მოვამზადებ ინგლისურში სკოლის მოსწავლეებს ვარკეთილის მიმდებარე ტერიტორიაზე. ტელ: 595-471-479.

● კოსმეტოლოგი ლამარა თოდუა თავის მრავალწლიანი გამოცდილებით და მამა-პაპური გამოცდილების მცენარეული რეცეპტურით კანის უამრავ დაავადებას არჩენს. სახის კანის გაწმენდა ხდება ახალი და ძველი რეცეპტურით. მყავს ათასობით მადლიერი პაციენტები. ვარჩენ გამონაყარს, მეჭეჭებს, დამწვრობას, სებორეას, ჰაიმორიტ-ფრონტიტს, თმის ცვენას, ქერტლს, ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ვარჩენ სოკოს, ქავილს, ჩაბრუნებულ ფრჩხილებს, მაზოლებს, ძირმაგარებს, ნაიარევს. ახალნამშობიარებ დედებს მოვურჩენ მასტიტს, გამაგრებას. ნებისმიერი კანისთვის ვამზადებ მკვებავ და დამცავ კრემებს. მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ დ№1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა — ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მოგიხსნით ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიაქებას, დაძაბულობას, შებოჭილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას.მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.



**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**
**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი ილუმენია ანა (მუსელიანი)

# სოკ-ის პრეზიდენტ ჟაკ როგის საპასუხო წერილი

სპორტის გულშემატკივრებში 2020 წელს ოლიმპიური თამაშების პროგრამიდან ჭიდაობის შესაძლო ამოღების შესახებ აჟიოტაჟი არ ცხრება. სხვა ქვეყნებთან ერთად, ამ საკითხის მოგვარებაში საქართველოც აქტიურად არის ჩართული. სეოკ-მა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში ოფიციალური მიმართვაც გააგზავნა, რაზეც სოკ-ისგან პრეზიდენტ ლერი ხაბელოვის სახელზე საპასუხო წერილი მივიღეთ.

სოკ-ის პრეზიდენტ ჟაკ როგის საპასუხო წერილი სეოკ-ის პრეზიდენტ ლერი ხაბელოვს

პატივცემულო პრეზიდენტო!

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი (სოკ-ი) მადლობას უხდის საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს ჭიდაობის საკითხის მიმართ გამოვლენილი ინტერესისა და ერთგულების გამო. საქართველოს ნამდვილად მყარი საფუძველი გააჩნია იმისათვის, რომ იამაყოს თავისი მრავალი ცნობილი მოჭიდავითა და ოლიმპიური ჩემპიონით.

დამატებითი ინფორმაციის სახით გვსურს მოგახსენოთ, რომ სოკ-ი რეგულარულად სწავლობს ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეტანილ სპორტის სახეობებს, რათა საჭირო დონეზე დავაბალანსოთ თამაშების მიმართ გამოვლენილი ინტერესი და აქტუალურობა. იზოლირებულად არც ერთი სახეობა არ განიხილება. სოკ-ის აღმასკომის წინაშე დადგა ამოცანა, რათა მრავალმხრივ ფაქტორებზე დაყრდნობით რეკომენდაცია გაეწია სპორტის 25 წამყვანი სახეობისთვის. მაგალითად, მნიშვნელოვანია სწორი ბალანსის შემუშავება სპორტის გუნდურ და ინდივიდუალურ სახეობებს შორის; საბრძოლო და სხვა სახეობებს შორის და, ზოგადად, ობიექტურ საზომებზე დამყარებულ სახეობებსა და მსაჯობაზე დაფუძნებულ სახეობებს შორის. ეს არასოდეს ყოფილა ადვილი გადასაწყვეტი.

2020 წლის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში 25 წამყვანი სახეობის რეკომენდაციით სოკ-ის აღმასკომის წევრებმა ერთობლივი მოსაზრება წარმოადგინეს, რომელიც სპორტის ცალკეულ სახეობებში მათი, როგორც სპორტსმენების, ადმინისტრატორებისა და ოლიმპიელების მიერ წლების მანძილზე დაგროვილ გამოცდილებას ეფუძნება. მართალია, ჭიდაობას მთელი რიგი ძლიერი მხარეები გააჩნია, მაგრამ ისტორია მაინც მნიშვნელოვან როლს ასრულებს და ასევე უნდა ვაღიაროთ აუცილებელი ცვლილებების საჭიროებაც.

ამასთანავე, აღსანიშნავია ისიც, რომ აღმასკომის რეკომენდაცია არ წარმოადგენს საბოლოო გადაწყვეტილებას. ჭიდაობა, სპორტის დანარჩენ შვიდ სახეობასთან ერთად, შეეცდება, დაიმკვიდროს ადგილი 2020 წლის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში. მომდევნო ეტაპი ითვალისწინებს მაისში სანკტ-პეტერბურგში სოკ-ის აღმასკომის სხდომაზე დაგეგმილ პრეზენტაციას.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი სრული შემადგენლობით მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას, როდესაც მისი წევრები სექტემბერში სოკ-ის სესიაზე შეიკრიბებიან.

# პლატინიმ საქართველო ახსენა

უეფას პრეზიდენტ მიშელ პლატინის ინტერვიუ გერმანულ მედიაში გამოქვეყნდა, რომელშიც ის ბევრ თემას შეეხო. ევროპული ფეხბურთის ბოსმა კიდევ ერთხელ გამოხატა მხარდაჭერა ევრო-2020-ის 13 ქვეყანაში ჩატარებისადმი.



***— ვის გადასცემთ ჩემპიონთა თასს 25 მაისს „უემბლიზე“ — „დორტმუნდს“ თუ „ბაიერნს“?***

— შესაძლოა, ისინი მეოთხედფინალში შეხვდნენ ერთმანეთს. ამ ეტაპზე „დორტმუნდიც“ და „ბაიერნიც“ ლიგის ფავორიტთა შორის არიან. ული ჰიონესმა და რაინჰარდ რაუბალმა რამდენიმე დღის წინ ამ გუნდების სათასო შეხვედრისას ორივე გუნდის მაისური მაჩუქეს. აბა, მითხარით, გამორჩეულად ვის ვუქომაგო!

***— ამბობენ, რომ პლატინის ევროპის ლიგის გაუქმება და ჩემპიონთა ლიგის კიდევ უფრო გაძლიერება სურს.***

— არა. ამ თემას არასწორი კუთხით აღიქვამენ და მათ შორის თქვენი გამოცემაცაა. უბრალოდ, ჩვენ გავახმაურეთ რამდენიმე პროექტი. ამ ეტაპზე უეფა არც ჩემპიონთა ლიგაში და არც ევროპის ლიგაში კორექტივების შეტანას არ აპირებს.

***— დიდი საფეხბურთო ქვეყნების ფედერაციები განსაკუთრებულ გავლენას ახდენენ უეფას გადაწყვეტილებებზე?***

— არა, ჩვენთან ყველაფერი დემოკრატიულადაა. კონსენსუსს თუ ვერ მივაღწევთ, ყველაფერი ძველებურად რჩება. 53-ვე ქვეყანას ერთნაირი უფლება აქვს. მაგალითად, საქართველოსა და სომხეთს ისეთივე უფლება აქვთ, როგორც გერმანიასა და ესპანეთს.

***— როგორია თქვენი პირადი მოსაზრება ევროპის ლიგაზე?***

— ევროპის ლიგა ხელსაყრელი ტურნირია იმ მხრივ, რომ ნებისმიერ გუნდს შეუძლია თასის აღება. აი, ჩემპიონთა ლიგამ კი ყველა სხვა ტურნირის პრესტიჟი გაანადგურა. ჩვენ ვცდილობთ, ევროპის ლიგის პოპულარობა გავზარდოთ.

***— 2015 წელს ფიფას პრეზიდენტობაზე კანდიდატურას წარადგენთ?***

— ჯერ კარგად უნდა მოვიფიქრო. ყველაფერი ჩემს სურვილზეა დამოკიდებული. გადაწყვეტილების მისაღებად რამდენიმე თვე დამრჩა.

***— ფიფას პრეზიდენტი რომ ყოფილიყავით, ყატარს მისცემდით მუნდიალის მასპინძლობის უფლებას?***

— რა თქმა უნდა. თავადაც ყატარს მივეცი ხმა.

***— ევრო-2020 13 ქვეყანაში ჩატარდება.***

— ეს მშვენიერია. პირველად ვაკეთებთ ამას.

***— როგორც ვიცით, საფრანგეთის ექსპრეზიდენტ ნიკოლა სარკოზისთან ერთად შეხვდით ყატარელებს. ეს მოხდა 2010 წლის ნოემბერს ანუ ერთი თვით ადრე, სანამ 2022 წლის მუნდიალის მასპინძელს გამოაცხადებდნენ. ამ შეხვედრამ საფუძველი დაუდო ხმებს, ყატარის სასარგებლოდ ყველაფერი წინასწარ გადაწყდაო.***

— ყველაფერი ტყუილია. სარკოზიმ ვახშამზე დამპატიჟა. მეგონა, პირისპირ ვისაუბრებდით, მაგრამ დავინახე, მასთან ერთად იყო ყატარის პრემიერ-მინისტრი. მაშინვე მივხვდი... სულელი ხომ არ ვარ. თუმცა, ალალად გეტყვით: სარკოზის არასოდეს უთხოვია, ხმა ყატარს მიეციო. შესაძლოა, მას უნდოდა, რომ ეს გამეკეთებინა, მაგრამ მხოლოდ უნდოდა და მეტი არაფერი. სარკოზის ჩემზე გავლენა არასოდეს მოუხდენია.

***— და რას იტყვით იმაზე, რომ თქვენი ვაჟი პსჟ-ში ყატარელებთან ერთად მუშაობს? ეს გარკვეულ ეჭვებს ბადებს.***

— ბოლომდე სწორი ინფორმაცია არ გაქვთ. ჩემს ვაჟს, ლორენს, ყატარელებთან მხოლოდ ის აკავშირებს, რომ მათ ფირმაში მუშაობს. ეს ფირმა სპორტულ საქონელს აწარმოებს. ლორენს არავითარი კავშირი არ აქვს პსჟ-სთან. რა თქმა უნდა, ლორენს ძალიანაც სურს წმინდა საფეხბურთო საქმიანობაში ჩართვა, მაგრამ ჩემ გამო უფლება არ აქვს.

***— პლატინის საწინააღმდეგო კამპანიის შესახებ რაიმე იცით?***

— კამპანიის? ვისგან?

***— უკვე ჩანს, რომ ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერის წინააღმდეგ წინასაარჩევო ანტიკამპანია დაიწყო.***

— ჩვენ კარგი ურთიერთობა გვაქვს, მაგრამ ყველაფერში ერთი აზრი ვერ გვექნება. ალბათ, მხოლოდ 5 პროცენტში არ ემთხვევა ჩვენი აზრები.

***— რას იტყვით გოლების დაფიქსირების სისტემაზე? თქვენ, როგორც რომანტიკოსი, ტექნოლოგიას არ ემხრობით.***

— დიახ, რომანტიკოსი ვარ. ფეხბურთში არავითარი ტექნოლოგია არ მსურს, თანაც, ეს სისტემა ძალიან ძვირი ჯდება, ევროსარბიელზე საამისოდ დამატებითი 50 მილიონი ევრო უნდა გამოიყოს. უკეთესია, 5 არბიტრზე გავაკეთოთ აქცენტი. ვგულისხმობ არბიტრს, რომელიც კარის ხაზის გასწვრივ დგება. 5 არბიტრი ან გოლების ფიქსაციის სისტემა ნებისმიერი ქვეყნის ფედერაციას შეუძლია, რომელიც სურს, ის გამოიყენოს.

***— „ფინანსური ფეარ პლეი“ — ესეც რომანტიკაა? ახლა სერიოზულად გეკითხებით: შესაძლოა თუ არა, ჩემპიონთა ლიგიდან გარიცხოთ „მანჩესტერ სიტი“ და პსჟ, რომლებსაც ყატარელი შეიხები აფინანსებენ?***

— და იქნებ მიუნხენის „ბაიერნიც“ მივაყოლოთ? 2014 წლის მაისიდან „ფინანსური ფეარ პლეის“ სახე შეიცვლება და, თუ რომელიმე კლუბი ნორმებში არ ჩაჯდება, უკან არ დავიხევთ. ამ საკითხში რომანტიკოსი კი არა, ნამდვილი გერმანელი გავხდები...

# სპორტის რაინდი, აბუსერიძე, ბრეგვაძემ ჩაანაცვლა

საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების 35 წლის კაპიტანი ირაკლი აბუსერიძე სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა სპორტის რაინდის წოდებით დააჯილდოვა. მინისტრმა ნაკრების კაპიტანს ჯილდო საქართველო-ესპანეთის სარაგბო მატჩის დასრულების შემდეგ გადასცა.



ირაკლი აბუსერიძემ ეროვნული გუნდის მაისურით ბოლო შეხვედრა ესპანეთის ეროვნული გუნდის წინააღმდეგ 9 მარტს გამართა. მატჩი, რომელიც აბუსერიძის გაცილებას მიეძღვნა, საქართველოს ეროვნული ნაკრების გამარჯვებით დასრულდა — 61:18.

თამაშის დასრულებისას ბორჯღალოსნებმა ექსპრომტად ხელში აიტაცეს აბუ და კაპიტანს ამგვარად შემოარბენინეს საპატიო წრე. სტადიონზე შეკრებილი გულშემატკივარი ფეხზე წამოუდგა ირაკლი აბუსერიძეს და მხურვალე ტაშითა და „აბუ, აბუს“ ძახილით გულითადი მადლობა გადაუხადა იმისათვის, რაც მან გააკეთა ქართული რაგბისა და ბორჯღალოსნებისათვის.

ირაკლი აბუსერიძის ნაკრებიდან გაცილების ოფიციალური ნაწილი ტრადიციულ პოსტსამატჩო ბანკეტზე გაიმართა, სადაც თბილ და მეგობრულ გარემოში, ორივე გუნდისა და ქართული სარაგბო თემის თანდასწრებით საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა, ბატონმა ლევან ყიფიანმა ირაკლი აბუსერიძეს მიანიჭა „საქართველოს სპორტის რაინდის“ წოდება.

ბორჯღალოსანთა შემადგენლობაში, აბუს მიერ 85 ბორჯღალის (კეპი) მოხვეჭისა და სანაკრებო კარიერის დასრულების აღსანიშნავად საქართველოს რაგბის კავშირმა აბუს გადასცა ძველი ქართული ტიხრული მინანქრის ტრადიციული ტექნიკის გამოყენებით დამზადებული მედალიონი, რომლის ერთ მხარეს გამოსახულია წმინდა გიორგი, ხოლო მეორეზე — ქართული რაგბის სიმბოლო, ბორჯღალი, რომელსაც ქვემოთ ამშვენებს წარწერა — „ირაკლი აბუსერიძე, 85 ბორჯღალი“.

ირაკლი გახლავთ პირველი ბორჯღალოსანი, რომელსაც ეს ჯილდო გადაეცა. ამ ჯილდოთი საქართველოს რაგბის კავშირმა დასაბამი მისცა ყველა იმ დამსახურებულ ბორჯღალოსანთა გაცილების ტრადიციას, რომელთა ნაკრებიდან გაცილება თავის დროზე ვერ მოხერხდა. ამიერიდან საქართველოს ეროვნული ნაკრების საშინაო მატჩებზე ეტაპობრივად მოხდება ვეტერან მორაგბეთათვის ამ ჯილდოს გადაცემა. აბუს დაჯილდოების შემდეგ ბანკეტზე ტიხრული მინანქრის ჯვრები გადაეცათ დავით კაჭარავას მე-60 ბორჯღალისა და მამუკა გორგოძეს 50-ე ბორჯღალის მოხვეჭის აღსანიშნავად. ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში პირველი ბორჯღალის მოხვეჭისათვის სამახსოვრო საჩუქრით დაჯილდოვდა პირველხაზელი ზურაბ ჟვანია, ხოლო ნაკრების შემადგენლობაში პირველად დადებული, თანაც ორი ლელოსათვის — გარემარბი თამაზ მჭედლიძე.

ერთა თასის ერთადერთი ხუთგზის მფლობელი და სამი მსოფლიო თასის მონაწილე ირაკლი აბუსერიძე 1977 წლის 25 ნოემბერს თბილისში დაიბადა. რაგბის თამაში „ქორებში“ დაიწყო. თამაშობდა „ყოჩებში“, ასკ-სა და „ლოკომოტივში“.

კარიერის უმეტესი წილი გაატარა საფრანგეთში, სადაც თამაშობდა „ორიაკში“, „ორლეანსა“ და „ოსერში“. „აბუმ“ ნაკრებში 13 სეზონი (2000-12) გაატარა. მონაწილეობდა ერთა თასის 12 გათამაშებაში და 5-ჯერ გახდა ჩემპიონი. მოიხვეჭა ყველაზე მეტი, 85 ბორჯღალი (კეპი) და დადო შვიდი ლელო.

სამ მსოფლიო თასზე (2003 ავსტრალია, 2007 საფრანგეთი, 2011 ახალი ზელანდია) 11 მატჩი გამართა. ირაკლი 2007 წლიდან ბორჯღალოსანთა კაპიტანი იყო. მან გუნდს 38-ჯერ უკაპიტნა, რაც აგრეთვე რეკორდია. „აბუ“ ნაკრებს 2 მსოფლიოზე (2007 და 2011) გაუძღვა.

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები რუმინეთთან თამაშისთვის ემზადება და „შევარდენის“ სანაკრებო ბაზაზე ვარჯიში განაახლა. „ბორჯღალოსნების“ გაფართოებულ შემადგენლობას პირველხაზელი ჯაბა ბრეგვაძე დაემატა.

**გაფართოებული შემადგენლობა:**

ვასილ კაკოვინი, ჯაბა ბრეგვაძე, დავით ქუბრიაშვილი, დავით ზირაქაშვილი, ზურაბ ჟვანია, იური ნატრიაშვილი, შალვა მამუკაშვილი, გიორგი ჩხაიძე, კონსტანტინე მიქაუტაძე, ლაშა ლომიძე, შალვა სუთიაშვილი, ბექა ბიწაძე, დიმიტრი ბასილაია, მამუკა გორგოძე, გიორგი ბეგაძე, ვაჟა ხუციშვილი, მერაბ კვირიკაშვილი, ლაშა ხმალაძე, მერაბ შარიქაძე, დავით კაჭარავა, თედო ზიბზიბაძე, ირაკლი მაჩხანელი, თამაზ მჭედლიძე, ირაკლი ყიასაშვილი, ბექა წიკლაური, ვიტო კოლელიშვილი, ლევან დათუნაშვილი.

საქართველოს მომავალი მატჩი ბუქარესტში 16 მარტს შედგება და მასში გამარჯვებული „ერთა თასის“ პირველი წრის ჩემპიონის ტიტულს მიიღებს, ამასთან, „ანთიმოზ ივერიელის თასის“ მფლობელიც გახდება.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საქართველო | 4 | 4 | 0 | 0 | 126:52 | 17 |
| 2.რუმინეთი | 4 | 4 | 0 | 0 | 105:56 | 17 |
| 3.რუსეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 67:84 | 9 |
| 4.პორტუგალია | 4 | 1 | 0 | 3 | 66:87 | 5 |
| 5.ბელგია | 4 | 0 | 1 | 3 | 60:88 | 4 |
| 6.ესპანეთი | 4 | 0 | 1 | 3 | 63:120 | 3 |

**16 მარტი:** რუმინეთი-საქართველო; ესპანეთი-პორტუგალია; რუსეთი-ბელგია.

# 21-ე საუკუნის ყველაზე ტიტულოვანი მწვრთნელები

თანამედროვე ფეხბურთში ფეხბურთელებს შორის ძალიან დიდი კონკურენციაა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან თითოეული მათგანი ცდილობს, თავი ბოლომდე წარმოაჩინოს და მისი სახელი ოქროს ასოებით ჩაწეროს ფეხბურთის ისტორიაში ისეთი ლეგენდარული მოთამაშეების გვერდით, როგორებიც არიან: პელე, მარადონა, გარინჩა, ბეკენბაუერი, პლატინი... ამჯერად თქვენს ყურადღებას არა ფეხბურთელებზე, არამედ მათ აღმზრდელებზე, მთავარ მწვრთნელებზე შევაჩერებთ. ისევე როგორც მოთამაშეები, მწვრთნელებიც ცდილობენ, რაც შეიძლება ბევრი ტიტული მოიპოვონ და გახდნენ საუკეთესოები საუკეთესოთა შორის.

წარმოგიდგენთ 21-ე საუკუნის 10 ყველაზე ტიტულოვან მწვრთნელს.

ყველაზე ტიტულოვანი პორტუგალიელი ჟოზე მოურინიოა. მას 4 ქვეყნის სხვადასხვა კლუბში ბევრი და მნიშვნელოვანი ტიტული აქვს მოპოვებული. მოუმ სამწვრთნელო კარიერა „პორტუში“ დაიწყო და უდიდეს წარმატებასაც მიაღწია. მისი თავკაცობით კლუბმა 6 სხვადასხვა თასის მოგება მოახერხა. მათ შორის ჩემპიონთა ლიგის თასიცაა. 6 თასი მოიგო „ჩელსის“ მწვრთნელის რანგშიც. „ინტერის“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე 5 ტიტულის მოგება შეძლო. ამჯერად კი „რეალის“ დამრიგებელია და კლუბთან ერთად ჯერჯერობით 3 ტიტული აქვს მოპოვებული.

პეპ გვარდიოლა — ადამიანი, რომელმაც ფეხბურთის ისტორიაში თავისი კვალი უკვე დატოვა. „ბარსელონასთან“ ერთად მან 14 ტიტული მოიპოვა. პეპმა თანამედროვე ფეხბურთში ახალი სიტყვა თქვა. გვარდიოლამ შეძლო და „ბარსასთან“ ერთად ახალი ტაქტიკა შეიმუშავა, რითაც დანარჩენ ევროპულ კლუბებს საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე დიდი დაბრკოლებაც შეუქმნა. პეპ გვარდიოლას, საკლუბო ტიტულების გარდა, საკმაოდ მრავალრიცხოვანი პირადი ჯილდოებიც აქვს.

ტიტულების მხრივ მესამე ადგილს იტალიელი სპეციალისტი კარლო ანჩელოტი იკავებს, რომელიც ამჯერად პსჟ-ს მთავარი მწვრთნელია. ანჩელოტის ყველაზე მეტი თასი 8 „მილანის“ თავკაცობის დროს აქვს მოპოვებული, ლონდონური გრანდის „ჩელსის“ მწვრთნელობისას კი — მხოლოდ 3. ფრანგული კლუბში ჯერჯერობით წარმატება არ ჰქონია, მაგრამ ჯერ ყველაფერი წინ არის.

მეოთხე ადგილს ასევე იტალიელი სპეციალისტი რობერტო მანჩინი იკავებს. მანჩინიმ 10 ტიტულის მოპოვება შეძლო სხვადასხვა კლუბში მოღვაწეობისას. „ფიორენტინა“ — 1, „ლაციო“ — 1, „ინტერი“ — 6 და „მანჩესტერ სიტი“, რომელთან ერთადაც უკვე 3 თასი აქვს მოპოვებული, თუმცა, ის კიდევ ამ კლუბის თავკაცია და შეეცდება, ისევ დაიპყროს მასთან ერთად ახალი სიმაღლეები.

რაფაელ ბენიტესი — ესპანელი სპეციალისტი, რომელიც ათეულის მე-5 ადგილს იკავებს. მის ანგარიშზე 9 ტიტულია, რომელიც, რაფამ მანჩინის მსგავსად, რამდენიმე კლუბთან ერთად მოიპოვა. „ტენერიფე“ — 1, „ვალენსია“ — 3, „ლივერპული“ — 4, „ინტერი“ —1. რაფა ამ ეტაპზე ლონდონის „ჩელსის“ მთავარი მწვრთნელია.

მე-6 ადგილს „არსენალის“ ფრანგი სპეციალისტი არსენ ვენგერი იკავებს. მართალია, მას მთელი ამ წლების განმავლობაში დიდი წარმატებისთვის არ მიუღწევია და არც ჩემპიონთა ლიგის თასი მოუგია, მაგრამ მაინც მოახერხა, 7 ტიტულს დაუფლებოდა, რაც ნამდვილად არ არის ცუდი შედეგი.

მომდევნო ადგილს იკავებს ვისენტე დელ ბოსკე — ესპანეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი. „ულვაშა“ სანამ პირინეელებს ჩაუდგებოდა სათავეში, მანამდე მადრიდის „რეალის“ მთავარი მწვრთნელის პოსტს იკავებდა. მან კლუბთან ერთად თითქმის ყველა ტიტულის მოგება შეძლო იმის გათვალისწინებით, რომ დელ ბოსკემ „რეალის“ მთავარი მწვრთნელის რანგში მხოლოდ 4 წელი დაჰყო. ვისენტემ კლუბთან ერთად 6 ტიტული მოიგო, მათ შორის ჩემპიონთა ლიგის თასიცაა.

გუუს ჰიდინკმა „პსვ ეიდჰოვენის“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე 5 ტიტულის მოპოვება შეძლო. „ჩელსის“ თავკაცობის დროს კი 1 თასის აღება მოახერხა. ჰიდინკი დღეს რუსეთის პრემიერ ლიგაში მოასპარეზე „ანჟის“ მთავარი მწვრთნელია და კლუბთან ერთად მრავალი ტიტულის მოპოვებას გეგმავს.

სერ ალექს ფერგიუსონი — შოტლანდიელი მწვრთნელი, რომელიც დღემდე დამაჯერებლად თავკაცობს „წითელ ეშმაკებს“. ფერგიუსონმა კლუბთან ერთად 5 ტიტული მოიპოვა. მართალია, ეს ამ დონის კლუბისთვის დიდებული შედეგი არ არის, მაგრამ, ცუდიც რომ არ არის, ესეც ცხადია.

შეიძლება ითქვას, დორტმუნდის „ბორუსია“ აყვავების გზაზეა. იურგენ კლოპი ყველაზე დამაჯერებელი მწვრთნელია კლუბის ისტორიაში. კლოპმა კლუბთან ერთად 5 ტიტულის მოგება შეძლო. ის ჩვენი ათეულის მე-10 ადგილს იკავებს.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# სუხიშვილები – რომანტიკული ფოტომატიანე

ეკა ირემაშვილი

„სუხიშვილები – რომანტიკული ფოტომატიანე“ – ასე ეწოდება წიგნ-ალბომს, რომელიც ანსამბლის ყოფილმა მოცეკვავემ თენგიზ უთმელიძემ გამოსცა. წიგნის პრეზენტაცია და ავტორთან შეხვედრა თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლეში შედგა. საღამოს ინიციატორი სტუდია „პიონერფილმი“ და მისი ხელმძღვანელი გრიგოლ ჩიგოგიძე იყვნენ, საღამოს კი უძღვებოდნენ „პიონერფილმის“ ახალგაზრდა წევრები ანა ნიორაძე და ნანუკა ლომინაძე.

წიგნის რედაქტორია ნოდარ გურაბანიძე, კომპიუტერული გრაფიკა კახაბერ წურწუმიას ეკუთვნის, ხოლო ყდის დიზაინი – გიორგი არაბულს. წიგნში მასალები მთლიანად ავტორის პირადი არქივიდან არის გამოყენებული. კრებული თბილისის მერიის თანადგომით გამოიცა. მასში უნიკალურ ფოტომასალასთან ერთად შეტანილია ავტორის ჩანახატები, საგაზეთო პუბლიკაციები მსოფლიოს წამყვანი ჟურნალ-გაზეთებიდან, გამონათქვამები ანსამბლთან დაკავშირებით.

შეხვედრაზე სუხიშვილების ანსამბლის ყოფილ წამყვან სოლისტს, ჟურნალისტსა და საზოგადო მოღვაწეს თენგიზ უთმელიძეს მისი კოლეგები, მეგობრები, ქართული ცეკვის გულშემატკივრები დახვდნენ. სასახლეში საუბარი იყო თენგიზ უთმელიძის მიერ ქართული კულტურის განვითარებასა და ფართო პროპაგანდაში შეტანილ მნიშვნელოვან ღვაწლზე, განსაკუთრებით კი საქვეყნოდ აღიარებული სუხიშვილების ანსამბლის მრავალმხრივი შემოქმედებითი მოღვაწეობის ისტორიის შექმნაში, რომლის ნაწილიც, კერძოდ, გასული საუკუნის 70-იანი წლების ანუ ანსამბლის ოქროს ხანის ტრიუმფალური გასტროლებისა და საინტერესო მოგზაურული ცხოვრების უნიკალური ფოტომასალაა წარმოდგენილი თენგიზ უთმელიძის მიერ გამოცემულ წიგნში. ხელოვანისა და მისი წიგნის მნიშვნელობაზე ისაუბრეს ცნობილმა მოცეკვავეებმა, საქართველოს სახალხო არტისტებმა ფრიდონ სულაბერიძემ და ომარ მხეიძემ, ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასის ხელმძღვანელმა გოგი დოლიძემ, საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირის ხელმძღვანელმა რეზო ჭანიშვილმა, საქართველოს სახალხო მხატვარმა გივი თოიძემ, კომპოზიტორმა მარიკა კვალიაშვილმა, ჟურნალისტმა ივანე ჯაფარიძემ და სხვა სტუმრებმა.

თენგიზ უთმელიძემ დამსწრე საზოგადოებას ეკრანზე წარუდგინა ანსამბლის 60-იანი წლების ტრიუმფალური გასტროლების ამსახველი კინოკადრები გიორგი ასათიანის დოკუმენტური ფილმიდან „მსოფლიო ტაშს უკრავს“, ასევე მის მიერ გადაღებული და წიგნში შეტანილი ფოტომასალა, რომელსაც თან ერთვოდა ავტორის საინტერესო კომენტარები. მან სითბოთი გაიხსენა ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი, ისაუბრა მისი თაობის იმ ბრწყინვალე მოცეკვავე მსახიობებზე, რომლებმაც განუმეორებელი საცეკვაო ხელოვნებით მთელ ჩვენს პლანეტას გააცნეს ქართული კულტურა. შეხვედრის დასასრულს თენგიზ უთმელიძემ წაიკითხა საკუთარი ლექსი „ტრიუმფი ლა სკალაში“.

**თენგიზ უთმელიძე, წიგნის ავტორი:**

– რა თქმა უნდა, ამ კრებულში ყველა ის ფოტო არ არის შეტანილი, რომლებიც ჩემს არქივშია, მაგრამ შევეცადე, საუკეთესოთა შორის საუკეთესოები შემერჩია, რათა ქართველი საზოგადოებისთვის დამენახვებინა ის სიდიადე და ქართული კულტურის ჭეშმარიტება, რომელიც მთელმა მსოფლიომ აღიარა. სხვადასხვა წლებში ჩემი ფოტოები გამოვფინე და ფართო საზოგადოებას წარვუდგინე, ამჯერად კი წიგნში შევიტანე პირადი არქივიდან ყველაზე გამორჩეული ფოტოები, რომლებიც ჩვენი საგანძურის ანარეკლია.

**გოგი დოლიძე, კინომცოდნე:**

– ძალიან მაღალ დონეზე ჩატარდა შეხვედრა, ძალიან გახარებული ვარ. ჩემ გარდა, თენგიზს მოეფერნენ ფრიდონ სულაბერიძე, ომარ მხეიძე. მას ვუთხარი კიდეც, რომ ის მარტო არ იყო და მარტო არ ერქვა ვარსკვლავი, მასთან ერთად თანავარსკვლავედი იყო საოცარი, ეს არის სწორედ ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის დიდი დამსახურება, რომ შექმნეს გუნდი, რომელიც დღემდე მოდის და დღემდე ვარსკვლავია. ეს არ იყო მარტო ერთი ადამიანის წარმატება, ანსამბლი არ იყო ერთი ცნობილი მოცეკვავის ზეიმი, ეს იყო მთელი ქართული ქორეოგრაფიისა და ქართული კულტურის ჭეშმარიტი ზეიმი.

**ნოდარ გურაბანიძე, წიგნის რედაქტორი:**

– ამ წიგნში მკითხველს ელოდება თენგიზ უთმელიძის მიერ „დადგმული“ შესანიშნავი, წარმტაცი სანახაობა, სახელწოდებით „რომანტიკული ფოტომატიანე“, თუმცა, ეს უნიკალური გამოცემა სცილდება ავტორის მიერ განსაზღვრულ ჟანრს, რადგან იგი თავისთავად ნიმუშია ხელოვნებისა და აღსავსეა შემოქმედებითი გზნებით, ცხოველმოსილებით, განუმეორებელი არტისტიზმითა და ცხოვრებისეული ეპიზოდებით, რომელნიც თითქოს წარმოსახულ, საოცნებო სამყაროში გვაბრუნებენ. ახალგაზრდები გაოცებულნი და აღტაცებულნი, დარჩებიან ამ დიდი ანსამბლის შემოქმედებითი ცხოვრების „კადრებით“, მე კი, რომელიც ჭაბუკობიდანვე მომსწრე ვარ მოცეკვავეთა ყველა თაობის ფენომენალური წარმატებისა და ბედნიერება მქონდა, ახლოს ვყოფილიყავი ანსამბლის შემქმნელებთან – ქალბატონ ნინოსა და ბატონ ილიკოსთან, შემდგომ – ძვირფას თენგიზ სუხიშვილთან და ბოლოს კი – მშვენიერ, სიცოცხლით აღსავსე ნინო სუხიშვილთან, ნოსტალგიით შიგ გულში ვარ დაჭრილი, რადგან კარგად ვიცი, სასწაულები არ მეორდება. სასწაული იყო, აბა, სხვა რა დავარქვათ, თვითონ ანსამბლის შექმნის ისტორიას, ანსამბლისა, რომლის პირველივე კონცერტმა მეორე მსოფლიო ომის ტრაგედიით დაზაფრული, შიმშილით და მუდმივი სიდუხჭირით უკიდურესად შეჭირვებული ქართველობა უდიდესი სიხარულით აღავსო, მომავლის რწმენა დაუბრუნა და საკუთარი ერის გენიის ძალმოსილებაში დაარწმუნა. ამ ანსამბლის ყველა წევრი, ვგულისხმობ გასული საუკუნის 60-70-იანი წლების პერიოდს, უფრო მეტი იყო ვიდრე ვირტუოზი მოცეკვავე, თუმცა, ცხადია, ეს თავისთავად დიდი რამაა, ფენომენალური შემსრულებელნი, ისინი, უპირველესად, არტისტები იყვნენ, რომელთა ყოველი მოძრაობა, სილამაზის გარდა, აღსავსე იყო რიტუალური აზრით, სამყაროს კოსმოგენიური კონფიგურაციით, რაინდული სულით, ბედისწერასთან შეჭიდებული ადამიანის თავგანწირვით, მაგრამ ეს თავგანწირვა „მხიარულია“, მოცინარე, ამღერებული რაინდული შემართებით ანუ მათში მარადიული სიცოცხლის კოდი იყო ფიქსირებული, ქართველი ქალების იეროგრაფიული იდუმალება და მშვენიერება, ეს გახლდათ ცეკვად გარდაქმნილი პოეზია, მუსიკა, რიტმების სიცხოველე და ჰარმონია. ამავე დროს, ისინი იყვნენ ჭეშმარიტი პატრიოტები, თავდადებული რაინდები და ერის საამაყო შვილები. აი, ამ დიდი არტისტული სამყაროს, ამ სახელოვანი კოჰორტის ღირსეული წარმომადგენელია თენგიზ უთმელიძე, უებრო მოცეკვავე, ვაჟკაცური აპლომბის განსახიერება. საოცარია, ცხოვრებაში ეს დინჯი, შინაგანად მოკრძალებული, სავსებით გაწონასწორებული, თითქმის აუღელვებელი, მუდამ მშვიდი, ხმადაბლა მოლაპარაკე ადამიანი, სცენაზე მყისიერად გარდაიქმნებოდა დაავბრუდამხვევი რიტმებისა და პლასტიკის, საოცარი ნახტომისა და ელვისებური მოძრაობების განმასახიერებლად. იგი „განიცდიდა“ თავის სოლო პარტიებს, ჩვენ თვალწინ გარდაისახებოდა ნატიფ შემოქმედად და ათლეტად ერთსა და იმავე დროს, რომელიც საუკუნეების ტრადიციით განმტკიცებულ მოძრაობებს კი არ იმეორებდა, არამედ თითქოს სწორედ „ახლა“ და „აქ“ ქმნიდა იმპროვიზაციულ შედევრებს, აღბეჭდილთ განუმეორებელი ინდივიდუალობით. მისი პალიტრის მრავალფეროვნება კარგად გამოჩნდა ცეკვა „ქართულში“, სადაც ერთ ხანს ნინო რამიშვილან ცეკვავდა. ამ ცეკვაში ის ავლენდა „ჰარმონიის მუსიკის“ განსაცვიფრებელ შეგრძნებას და ჭეშმარიტ რომანტიკულ აღმაფრენას. იგი ყოველთვის ინარჩუნებდა ინდივიდუალურ უნიკალობასა და „კოლექტიური პლასტიკის“ თანასწორობას. და აი, თენგიზმა, რომელსაც სისხლში და კუნთებში ჰქონდა გამჯდარი ეროვნული ცეკვის საიდუმლო, გვიჩვენა, რომ იგი რენესანსული მრავალმხრივობით დაჯილდოებული შემოქმედია, მან გამოაქვეყნა მრავალი საინტერესო ესეისტური ნარკვევი თუ მოგონება, შექმნა მოცეკვავეთა ლიტერატურული პორტრეტები. ამჟამად კი გამოსცა „ფოტომატიანე“, მართლაც უნიკალური კრებული. ბუნებას თენგიზი დაუჯილდოებია მახვილი მზერით, კომპოზიციის უტყუარი გრძნობით, სახე-პორტრეტის ინდივიდუალური ნიუანსების აღქმის ნიჭით, მაგრამ ეს ყოველივე არ არის საკმარისი სრულყოფილების მისაღწევად. იგი „შიგნიდან“ გრძნობს ცეკვას, მის რიტმს, უცდომელი თვალით აღბეჭდავს მოცეკვავეთა პლასტიკის უმცირეს მოძრაობას, მთელი სხეულის აზრისს, მკლავების, ხელის მტევნების აქცენტირებულ მდგომარეობას, თავის ერთ მოძრაობას. ცეკვის არქიტექტონიკასა და მის მოუხელთებელ დაძაბულობას. ყველაფერი ეს რომ შევაჯამოთ, უნდა ვთქვათ, რომ იგი გრძნობს ქართული ქორეოგრაფიის სულს და მის სულიერებას. ამიტომაცაა, რომ ერთად თავმოყრილი მისი ფოტოსურათები, რომელნიც მხოლოდ გასული საუკუნის 60-იანი წლების ანსამბლის შემოქმედებას ეხება, ანუ იმ პერიოდს, რომელსაც ნინო რამიშვილმა „ოქროს ხანა“ უწოდა და თავისი ტრიუმფის აპოგეას უწია, წარუშლელ კვალს ტოვებს ჩვენს აღქმასა და მეხსიერებაში. ეს „ფოტომატიანე“ კიდევ ერთხელ გვარწმუნებს სანდრო ახმეტელის სიტყვებში, რომ „ქართული ცეკვისთანა აზრიანი და სანახაობრივი ქმნილება არსად არ მოიპოვება დედამიწის ზურგზე“.



# საქართველოს დელეგაცია ლაიფციგის წიგნის ბაზრობაზე გაემგზავრა

ეკა ირემაშვილი

ლაიფციგის 2013 წლის წიგნის ბაზრობაზე ქართული დელეგაცია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროდან მინისტრ გურამ ოდიშარიას ხელმძღვანელობით უკვე გაემგზავრა.

კულტურის სამინისტროს ცნობით, დელეგაციაში კულტურის სამინისტროს ქართული წიგნისა და ლიტერატურის ხელშეწყობის პროგრამის ხელმძღვანელი მედეა მეტრეველი, ქართველი მწერლები და „საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის“ წევრები შედიან.

14-დან 17 მარტის ჩათვლით, ლაიფციგში იმართება წიგნის საერთაშორისო ბაზრობა, რომელზეც საქართველო უკვე მეორედ წარდგება ეროვნული სტენდით.

– საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით აღნიშნულ ბაზრობაზე საქართველოს მონაწილეობას ორგანიზებას უწევს „საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია“. საქართველოს ეროვნული სტენდის პარალელურად, დაგეგმილია სხვადასხვა ფორმატში ქართველი ავტორებისა და მათი ნაწარმოებების პრეზენტაციები. ღონისძიებები გაიმართება როგორც ლაიფციგის წიგნის ბაზრობაზე, ასევე ქალაქ ლაიფციგის ლიტერატურულ სალონებში, სადაც შედგება 7 ავტორის – ზაზა ბურჭულაძის, დათო ტურაშვილის, ანა კორძაია-სამადაშვილის, ნინო ხარატიშვილის, თამთა მელაშვილის, ეკატერინე ტოგონიძისა და ბონდო მაცაბერიძის – 7 ლიტერატურული საღამო, მათ შორის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით გერმანიაში გამოცემული ქართველი ქალი მწერლების ანთოლოგიის „იაგურის ტექნო“ პრეზენტაცია, – ნათქვამია კულტურის სამინისტროს განცხადებაში.

ლაიფციგის წიგნის ბაზრობას დაესწრება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია. წიგნის ბაზრობაზე დაგეგმილია მინისტრისა და ქართული დელეგაციის – კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, ქართული წიგნისა და ლიტერატურის ხელშეწყობის ხელმძღვანელი მედეა მეტრეველისა და გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის დირექტორის ლაშა ბაქრაძის ოფიციალური შეხვედრები ლაიფციგის წიგნის ბაზრობის დირექტორ ოლივერ ცილესთან, ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის ვიცე-პრეზიდენტ ტობიას ვოსთან და ცნობილ გერმანელ ლიტერატურის კრიტიკოსებთან, ჟურნალისტებთან და გამომცემლებთან.

– ლაიფციგის წიგნის საერთაშორისო ბაზრობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული წიგნის განვითარებისა და ქართველი ავტორების უცხოელ გამომცემლებთან წარმატებული თანამშრომლობისთვის. სხვადასხვა ქვეყნის მიერ წარმოდგენილი კოლექტიური სტენდით უამრავი ადამიანი, მკითხველი თუ გამომცემელი ეცნობა ახალ გამოცემებს, ახალ ავტორებს, იღებს ინფორმაციას ქვეყნისა და მისი კულტურის შესახებ, – აღნიშნულია კულტურის სამინისტროს განცხადებაში.

# იური ბაშმეტს საპროტესტო აქცია მოუწყვეს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

...მა 2008 წლის აგვისტოში გააჩაღა ომი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი ევროპელი მოკავშირეების ომია რუსეთის წინააღმდეგ“. ამავე წერილში აღნიშნული იყო, რომ საქართველომ საშინელი წამება მოუწყო ოს ქალებსა და ბავშვებს, მოხუცებს, გაანადგურა 2000-მდე მშვიდობიანი მოსახლეობა. კონსერვატორიის წინ შეკრებილ საზოგადოებას არც ის დავიწყებია, რომ იური ბაშმეტს კონცერტი აფხაზეთშიც აქვს ჩატარებული. იური ბაშმეტი თავის კამერულ ანსამბლთან ერთად, რომელსაც „მოსკოვის სოლისტები“ ეწოდება, გასული წლის დასაწყისში აფხაზეთში იმყოფებოდა და სოხუმში თავის შვილთან ერთად კონცერტიც გამართა, რის შემდეგაც აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტ ალექსანდრე ანქვაბსაც შეხვდა. იგი 2011 წელს ედუარდ კოკოითთან ერთად 2011 წელს სოჭში გამართულ „ოსეთის კულტურის დღეებშიც“ მონაწილეობდა. 24 იანვარს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მუსიკოსი სამოცი წლისთავთან დაკავშირებით „მამულის წინაშე დამსახურებისთვის“ IV ხარისხის ორდენით დააჯილდოვა.

კონსერვატორიასთან მიმდინარე აქციის მონაწილე ლაშა ბერულავას თქმით, იური ბაშმეტი ქართული კანონმდებლობით დამნაშავეა და მან ამ საკითხთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროს რეაგირება მოითხოვა.

– ეს ადამიანი, რომელმაც ოსებსა და აფხაზებს მიულოცა დამოუკიდებლობა და კონცერტი ჩაუტარა, დღეს იმყოფება ქართულ სცენაზე და ის უნდა დაისაჯოს, – განმარტა ლაშა ბერულავამ.

შინაგან საქმეთა სამინისტრო განმარტავს, რომ იური ბაშმეტს პასპორტში არ აღმოაჩნდა აფხაზეთში ჩასვლის დამადასტურებელი შტამპი.

იური ბაშმეტის თბილისურ ვიზიტს აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა სოციალურ ქსელებშიც. საპარლამენტო უმცირესობის წევრმა გიორგი კანდელაკმა „ფეისბუქში“ დაწერა:

– ძალიან მიყვარს კლასიკური მუსიკა, მაგრამ მაინტერესებს, აამოქმედებს თუ არა ამჟამინდელი მთავრობა საქართველოს კანონს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ ალტისტ იური ბაშმეტის მიმართ, რომელსაც დღეს აქვს კონცერტი კონსერვატორიის დიდ დარბაზში. ბაშმეტს უკანონოდ აქვს გადაკვეთილი საქართველოს სახელმწიფო საზღვარი და ხელიც მოუწერია შიზოფრენიულ-პუტინისტური წერილისთვის, რომელშიც ანტიდასავლური კონსპირაციის თეორიით გაჟღენთილი ბოდვაც გამორევია. აკი კულტურა პოლიტიკაში არ უნდა ერეოდესო? – აცხადებს გიორგი კანდელაკი.

იური ბაშმეტის თბილისში ჩამოსვლა გააპროტესტა ექსპერტმა მიშა თავხელიძემაც. მან „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე დაწერა და მხარდამჭერებს კონსერვატორიასთან შეკრება შესთავაზა.

ექსპერტის მოწოდებას დიდი აქტიურობა მოჰყვა. მის ინიციატივას გამოეხმაურა კულტურის ყოფილი მინისტრი ნიკოლოზ რურუა და აღნიშნა:

„მე მთელი ლოჟის ბილეთები გამომიგზავნეს, და არ შეიძლება, კონცერტზე არწასვლით გავაპროტესტო ანუ ცარიელი ლოჟით? ავად ვარ, სიცხიანი, გრიპით“, – დაწერა „ფეისბუქში“ ნიკოლოზ რურუამ.

## კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. სპორტული ტანსაცმლის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 2. სევდიანი ლირიკული ლექსი; 3. ბრუნვათა სიჩქარის გასაზომი ხელსაწყო; 4. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 5. საღებავი ნივთიერება, რომელიც ფერს აძლევს ცოცხალი ორგანიზმის ქსოვილებს; 7. სქელი მურაბა; 11. ქართველი მწერალი რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 13. სამრეწველო საწარმო; 15. დაბალი გრძელტანიანი მონადირე ძაღლის ჯიში; 16. უძველესი ებრაული სახელმწიფო; 18. თეატრალური სცენის გასანათებელი მოწყობილობა; 19. მდინარე ევროპაში.

**თარაზულად**: 6. ნელი, ლირიკული ცეკვა ბალეტში; 8. მაწანწალის, მათხოვრის სახელწოდება საფრანგეთში; 9. ობობასნაირი შხამიანი ცხოველი; 10. ერთწლიანი მარცვლეული მცენარე; 12. ყოველკვირეული ქართული ჟურნალი; 14. ხიდის ბურჯი; 17. საიზოლაციოდ ან შენობის სახურავად გამოყენებული ბიტუმით გაჟღენთილი მასალა; 20. ქართველი ველომრბოლელი მსოფლიო ჩემპიონი; 21. ძველბერძენი დრამატურგი; 22. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 23. ისტორიული სატუსაღო პარიზში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ბიშკეკი; 2. ხაჭაპური; 3. ყარაია; 4. კენზო; 5. დინასტია; 8. „განდაგანა“; 12. შალე; 13. ენდშპილი; 14. დიდუბე; 16. სიმინდი; 18. „ვალიო“; 20. ტუში.

**თარაზულად:** 6. ჩიხირთმა; 7. სკალდები; 8. გუჯარი; 9. „მედეა“; 10. „მუკუზანი“; 11. პრიშტინა; 15. ინსინუაცია; 17. „ბენტლი“; 19. ბაქტრიანი; 21. გინიოლი; 22. მიკოლოგია; 23. „ციურიხი“.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ინიესტა; 2. ხარატი; 3. კულინარია; 4. თუთუნი; 5. ჰელსინკი; 7. რუხი; 11. სპეტაკი; 13. მატროსი; 15. გენუა; 16. „მედეა“; 18. რიტმი; 19. ტესტი.

**თარაზულად:** 6. ნუტრია; 8. თაფლუჭი; 9. თრთვილი; 10. სუფიქსი; 12. გინზა; 14. „მითანა“; 17. ინტერნეტი; 20. ტრაპეზი; 21. ჩუვაჩი; 22. მოსტრა; 23. გარდნერი.

# ფოლკლენდის კუნძულები დიდი ბრიტანეთის შემადგენლობაში დარჩება




ფოლკლენდის კუნძულების მოსახლეობის უმრავლესობამ დიდი ბრიტანეთის შემადგენლობაში დარჩენას დაუჭირა მხარი.

ოფიციალური ინფორმაციით, რეფერენდუმზე მონაწილეთა 98,8% დიდი ბრიტანეთის შემადგენლობაში დარჩენის მომხრეა. საერთო ჯამში, რეფერენდუმში მონაწილეობას 1,5 ათასმა ადამიანმა, ანუ ამომრჩეველთა 92%-მა მიიღო მონაწილეობა.

აღსანიშნავია, რომ უცხოელი დამკვირვებლების 10-მა ჯგუფმა რეფერენდუმზე დარღვევები ვერ აღმოაჩინა. თავის მხრივ, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა უილიამ ჰეიგმა საერთაშორისო საზოგადოებას რეფერენდუმის შედეგების ცნობისკენ მოუწოდა.

შეგახსენებთ, რომ კუნძულებზე პრეტენზიას არგენტინა აცხადებს, რომელიც ხმის მიცემის დაწყებამდე აკრიტიკებდა ამ რეფერენდუმის ჩატარებას.

„რაც ყველსათვის ნათელია არის ის, რომ ეს კუნძულები არასოდეს ეკუთვნოდა არგენტინას. შედეგებიდან გამომდინარე, პირადად ჩემთვის ნათელი ხდება რომ ეს კუნძულები არგენტინის კუთვნილება არასოდეს გახდება",-განაცხადა კუნძულების საკანონმდებლო ასამბლეის წევრმა დიკ სოლმა.

# ლავროვი: „სირიაში დიალოგს ოპოზიციის გარე სპონსორები აფერხებენ"

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის თქმით, სირიაში პოლიტიკური დიალოგის დაწყებას „ოპოზიციის გარე სპონსორები" უშლიან ხელს. მოსკოვში სირიის ეროვნული კოორდინაციის კომიტეტის ხელმძღვანელი ჰეის მანა ჩავიდა.

„სირიაში სიტუაცია რთულდება, მიუხედავად იმისა რომ მხარეებმა ძალადობის შეწყვეტის აუცილებლობა გაათვითცნობიერეს. მათი რაოდენობა კი ვინც დიალოგის დაწყებას ხელს უშლის, ცოტა არ არის-მათ შორის არიან ე.წ „შეურიგებელი ოპოზიციის" საგარეო სპონსორები",-აღნიშნა ლავროვმა.

ჰეის მანა კი თავის მხრივ დარწმუნებულია, რომ სირიაში კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტა რუსეთის ჩარევის გარეშე არ მოხდება: „მშვიდობიანი პოლიტიკური გადაწყვეტა მოსკოვზე გადის, იმ შემთხვევაშიც კი როდესაც არაბული ლიგა კონფლიქტის გადაჭრის საკუთარ გზას წარმოადგენს",-აღნიშნავს მანა.

ამ ფონზე, საფრანგეთის განცხადებით, მიუხედავად გერმანიის წინააღმდეგობისა, ევროკავშირმა სირიელი ამბოხებულებისათვის იარაღის მიწოდების აკრძალვას უნდა გადახედოს.

„ობსერვერის" ცნობით, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორენ ფაბიუსმა ბრიუსელში შეკრებილ კოლეგებს განუცხადა, რომ კონფლიქტში „დისბალანსია", როდესაც სირიის რეჟიმს „მძიმე შეიარაღებით რუსეთი და ირანი ეხმარებიან ამბოხებულებს კი მსგავსი იარაღი არ გააჩნიათ. ეს საკითხი(იარაღის მიწოდებაზე ემბარგოს მოხსნა) ჩვენ რაც შეიძლება მალე უნდა განვიხილოთ, ვინაიდან ჩვენ მსგავსი დარღვევა აღარ უნდა დავუშვათ".




განსხვავებული მოსაზრება დააფიქსირა გერმანიის პირველმა დიპლომატმა. გვიდო ვესტერველეს თქმით: „სირიას ევროკავშირის ქვეყნებამ შესაძლოა გაუგზავნონ სხვადასხვა სახის დახმარება, თუმცა მე არ მიმაჩნია, რომ სირიაში სისხლისღვრის შემცირება შეიარაღების შეჯიბრის ხელშეწყობის გზით მოხდება".

# აშშ-ის სადესანტო ხომალდები სპარსეთის ყურისკენ გაემართნენ

აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდების საექსპედიციო დამრტყმელი ჯგუფი ვირჯინიის შტატის ნორფოლკის ბაზიდან ახლო აღმოსავლეთისკენ გაემართნენ.



როგორც სამხედრო-საზღვაო ძალების საინფორმაციო სამსახურში იუწყებიან, სადესანტო გემები ატლანტიკის გადაკვეთის შემდეგ მეექვსე ოპერატიული ფლოტის პასუხისმგებლობის ზონაში გადავლენ, ამის შემდეგ კი, მეხუთე ოპერატიული ფლოტის ბრძანებას მიჰყვებიან.

ჯგუფის შემადგენლობაში შედის უნივერსალური სადესანტო ხომალდი, ავიამზიდი „კირსარჯი", ასევე სადესანტო ტრანსპორტ-დოკი „კარტერ ჰოლი, საზღვაო ქვეითი ბატალიონი, სპეცრაზმის ქვედანაყოფი, საბრძოლო და სამხედრო-სატრანსპორტო ვერტმფრენების ესკადრილები და ატომური წყალქვეშა ნავი. საზღვაო ქვეითთა საერთო რაოდენობა 2,5 ათას ადამიანს შეადგენს.

არსებული ინფორმაციით, სადესანტო ხომალდები აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების ანალოგიური ჯგუფის შესაცვლელად მიემართება, რომელსაც ავიამზიდი, უნივერსალური სადესანტო ხომალდი „პალელიუ" ხელმძღვანელობს. აღნიშნული ჯგუფი სპარსეთის ყურეში უკვე ნახევარი წელია იმყოფება.

ამას გარდა, ხმელთაშუა ზღვაში უკვე ჩავიდა დამრტყმელი ძალა ატომურ ავიამზიდ „ეიზენჰაუერის" ლიდერობით. „ეიზენჰაუერი" ამერიკული საავიაციო ჯგუფის შესაცვლელად მიდის, რომელსაც ავიამზიდი „ჯონ სტენისი" ხელმძღვანელობს.

ამ ფონზე, ევროკავშირმა ირანი ადამიანის უფლებების სერიიოზულ დარღვევაში დაადანაშაულა და აღნიშნული ქვეყნის ცალკეულ მოქალაქეებზე სანქციები გაამკაცრა.

ბრიუსელში მიმდინარე სამიტზე ევროკავშირის მინისტრებმა კიდევ ცხრა ადამიანი შეიყვანეს იმ პირების სიაში, რომელთაც ევროკავშირის ქვეყნებში ჩასვლა ეკრძალებათ.

გარდა ამისა, მათ ევროკავშირის ქვეყნების ბანკებში არსებული ანგარიშები გაეყინებათ.

„შავი სიის" ახალი წევრების ვინაობა ხვალ გამოქვეყნდება.

# აზერბაიჯანში არასანქცირებული აქციების გამართვის მცდელობა აღიკვეთება

აზერბაიჯანში უკანონო საპროტესტო გამოსვლების აღკვეთა გაგრძელდება-აღნიშნულის შესახებ დღეს ჟურნალისტებს აზერბაიჯანის პრეზიდენტის ადმინისტრაციის პოლიტიკურ-საზოგადოებრივი განყოფილების ხელმძღვანელმა ალი გასანოვმა განუცხადა.



კვირას აზერბაიჯანის პოლიციამ ბაქოს ცენტრში ახალგაზრდების მიერ გამართული აქცია აღკვეთა. აქცია სოციალური ქსელის დახმარებით მოეწყო. აქციის მონაწილეები აზერბაიჯანელი სამხედროების არასაბრძოლო ვითარებაში დაღუპვის ბოლოს მოღებას ითხოვდნენ.

„ქვეყანაში შეკრების თავისუფლების შესახებ კანონმდებლობა არსებობს, რომლის ფარგლებშიც უნდა მოხდეს ყველა ღონისძიების ჩატარება. თუმცა, უკანონო აქციებს აღკვეთა ხდება და მომავალშიც ასე გაგრძელდება",-აღნიშნა გასანოვმა.

ცოტა ხნის წინ ერთ-ერთ აზერბაიჯანულ ვებგვერდზე სტატია გამოქვეყნდა სახელწოდებით — „2 მილიონი დოლარი ფეისბუქის რევოლუციისათვის". სტატიის ავტორი ამტკიცებს, რომ „ენდიაი" მუშაობს აზერბაიჯანის ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან და ამზადებს პოსტსაბჭოთა სივრცეში განხორცილებული ფერადი რევოლუციების მსგავს სცენარს.

აღნიშნული ბრალდებები აზერბაიჯანში ამერიკის საელჩომ უარყო. საელჩო საპასუხოდ აცხადებს, რომ სტატიაში გაჟღერებული ბრალდებები უსაფუძვლოა ხოლო „ენდიაის" საქმინობა სრულიად გამჭვირვალეა აზერბაიჯანის ხელისუფლებისათვის.

ამავე დროს მმართველი პარტიის ლიდერი და პარლამენტარი ფაზაილ აღამალი გამოვიდა წინადადებით აზერბაიჯანში შეიზღუდოს ფეისბუქი და სოციალური მედია. მისი თქმით, სოციალური მედია წარმოადგენს საფრთხეს აზერბაიჯანის სახელმწიფოებრიობისათვის.

ამ საფრთხის მაგალითად დეპუტატმა დაასახელა კვირას გამართული აქცია, რომელზეც სომხურ მხარესთან შეტაკებებში დანაკარგები გააპროტესტეს. „უნდა აღიკვეთოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ გაჟღერებული მოწოდებები, რომლებიც სიტყვისა და პრესის თავისუფლების საფარქვეშ კეთდება", — აცხადებს ფაზაილ აღამალი.

მმართაველი პარტიის ერთ-ერთი ლიდერი აღნიშნავს: „სწორედ სოციალური მედიით მოხდა რევოლუცია ეგვიპტეში, მაგრამ ამან არაფერი მისცა არაბულ საპყაროს. სამაგიეროდ გააძლიერა დასავლეთის ინტერესები, რომელმაც სიამოვნებით მიითვისა ამ ქვეყნების ბუნებრივი რესურსები".

შეგახსენებთ, რომ კვირას ბაქოში გაიმართა ახალგაზრდული ორგანიზაციების საპროტესტო აქცია, რომელზეც აქციის მონაწილეებმა აზერბაიჯანელ სამხედროთა შორის სომხურ მხარესთან დანაკარგები გააპროტესტეს. აქციის ორგანიზება სოციალური მედიით განხორციელდა. პოლიციამ აქციის 15-ზე მეტი მონაწილე დააპატიმრა. მათ უმრავლესობას სასამართლომ ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

# „ენაზე მომდგარ სიტყვასა განა სუყველას თქმა უნდა"

## „ქართული ცეკვა და ქართული მრავალხმიანი სიმღერა მსოფლიო ხელოვნების ხელთუქმნელი ფოლიანტებია და მათი იზოლირება დანაშაულია"

ყველა სიკეთესთან ერთად ქართველებს მსოფლიოში სხვა ერებისაგან განსხვავებით დაუფიქრებლად და უშურველად შეუძლიათ საკუთარ ერს მიაკერონ მოღალატის იარლიყი. ამჟამად ანსამბლ ,,ერისიონი"-ს მიმართ ატეხილმა ხელოვნურმა აჟიოტაჟმა მოიცვა უსაქმურთა ერთი ნაწილი, გამოსულიყვნენ თუ არა კრემლის საკონცერტო დარბაზში ,,ერისიონი"-ს წევრები. ეს ანსამბლი მარტო სიმღერა და ცეკვა არ გახლავთ, ის მოძრაობაში გამოხატული და მუსიკაში აჟღებული ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულია. გავიგეთ რომ მეზობელი რუსეთი ოკუპანტი ქვეყანაა, მაგრამ ამ ქვეყანაში ცხოვრობენ უბრალო რუსი ხალხიც და სხვათაშორის ჩვენი ქვეყნიდან საშოვარზე გადაგებული მილიონზე მეტი ქართველი, ვისზედაც ბოლო ცხრა წელი არავინ ზრუნავდა და არც მანამდე მოუკლიათ თავი მათი მოკითხვით, რომ არა რუსეთში გადახვეწილი ქართველობა და მათ მიერ საქართველოში გამოგზავნილი უამრავი თანხა, საქართველოში მაცხოვრებელი მილიონზე მეტი ქართველი ამოწყდებოდა შიმშილით.

დიახ! კრემლის საკონცერტო დარბაზში გამოდის სახელმწიფო ანსამბლი ,,ერისიონი" და ოკუპანტ ქვეყანას ეუბნება თავისი გამოსვლით, რომ 2008 წლის აგვისტოს ომმა ვერ დააჩოქა ქართველი და მის უძველეს და უმშვენიერეს კულტურას შეუძლია გაათბოს ყველაზე დიდი აგრესორის გულიც. მსოფლიოს მრავალი ხალხი ფეხზე მდგომარე ოვაციებს არ იშურებს ქართული სასწაულის ხილვისას. ხელოვნებას არა აქვს საზღვრები ის მსოფლიო კუთვნილებაა, ხოლო მისი ნახვა ყველას შეუძლია, როგორც აგრესორი ქვეყნის უბრალო მოსახლეობას, ასევე მეგობარი ქვეყნების ხალხებსაც. ჩვენი წარაუგონოდ წამოსროლილი იარლიყებით ღვარძლითა და ზიზღით ვერაფერს მივაღწევთ, პირიქით მტრების საქილიკონი გავხდებით. ნამდვილად მეცოდებიან ის ახალგაზრდები ტრანსფარანტებით, რომ დაგანან ქუჩაში და ,,ერისიონი"-ს გასტროლებს აპროტესტებენ და ეს მარტო ახალგაზრდებს არ ეკუთვნით, ჩაეკითხეთ საკუთარ თავებს, გულზე მჯიღის დაკვრის გარდა რა გაგიკეთებიათ საკუთარი ქვეყნისათვის. ანსამბლი ,,ერისიონი" ყველგან სადაც გამოსულან და გამოვლენ მომავალში მშვიდობის დესპანები იქნებიან ყოველთვის.

მე ყოფილი პროფესიონალი მოცეკვავე გახლავართ ბ-ნ რეზო ჭოხონელიძე ჩემი პედაგოგი იყო და მასზე ეროვნული და პატრიოტი ადამიანი ნაკლებად შემხვედრია. ასევეა ,,ერისიონი"-ს სამხატვრო ხელმძღვანელი ბ-ნ ჯემალ ჭკუასელიც.



თითოეული მოცეკვავე, მომღერალი და მუსიკოსი თავიანთი ქვეყნის პატრიოტები, თავიანთი საქმის დიდოსტატები არიან. ბოლო ცხრა წლის მანძილზე ჩვენს ,,ძვირფას" ხელისუფლებას თავისი საქმე ისეთივე ენთუზიაზმით, რომ შეესრულებინათ როგორც ამას ანსამბლი ,,ერისიონი"-ს თითოეული წევრი ასრულებს, ქვეყანა ასეთ დღეში არ იქნებოდა და დღევანდელ სასამართლოში ათიათასობით მომჩივართა ცოცხალი რიგი არ იდგებოდა, რომლებიც წინა ხელისუფლებამ დააქცია და გააუბედურა, არც მუცლით მეზღაპრეებსა და ურა პატრიოტებს არ მიეცემოდათ ენის ქავილის საბაბი.

დიდი კონსტანტინე გამსახურდია ბრძანებდა: ,,ცუდ ჯაგლაგზე არავინ ლაპარაკობს"-ო, გააჩნია ვინ გიწოდებს მოღალატეს, ვინ გაკრიტიკებს და რა ფასი აქვს მათ სიტყვას საზოგადოებაში, ამ მხრივ, არც ანსამბლ ერისიონს, არც ბატონ რობერტ სტურუას, არც სხვა ხელოვნების წარმომადგენლებს, რომლებსაც თავის დროზე მოღალატეებად მოიხსენიებდნენ მავანნი, არაფერი ემუქრებათ, რადგან "მეიარლიყეების" ფასი ნულს უტოლდება.

შეგონებისათვის:

1. მოღალატის იარლიყი ეგება იქითკენ მიგემართათ ვინც საქართველოს სტრატეგიული ობიექტები ე.წ. ოკუპანტ ქვეყანას მთლიანად ჩაუგდო ხელში.
2. კრემლის საკონცერტო დარბაზში არ ზის ვლადიმერ პუტინი.
3. სულმნათმა შოთა რუსთაველმა "ვეფხისტყაოსანში" ანდერძივით დაგვიტოვა - ,,გველსა ხვრელად ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი"
4. სიტყვა ,,სახალხო დიპლომატია" არ არის მხოლოდ ლექსიკონში დაფიქსირებისათვის მოგონილი, უმრავლეს შემთხვევაში პოლიტიკოსებზე უფრო ეფექტურად მუშაობს.
5. ,,ენაზე მომდგარ სიტყვასა განა ყველასა თქმა უნდა"

**1974 – 1975 წწ საერთაშორისო და მსოფლიო ფესტივალების ლაურეატი, ხელოვანთა და ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის წევრი, დამოუკიდებელი ჟურნალისტი**

**ნანა ჩილაჩავა-დადიანი**

# TV პროგრამა

## ოთხშაბათი 13 მარტი

06.30 „მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა" (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.50 „მოამბე" 11.00 „სამოთხის ვაშლები" (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი" — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე" 15.00 დ/ფ „სახელგანთქმული თვითმფრინავები" 17.00 „გურმანია" 18.00 „პეპე და მეგობრები" 19.05 ტ/სერ „სიყვარულის კოცნა" 21.00 ტ/სერ „დონ ძენო — კაცი ნორმა დელფიიდან" 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან" 23.00 დ/ფ 23.40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მერვედფინალი: მალაგა — პორტუ (პ/რ) შესვენებისას: „ვიქტორინა" 01.30 მხ/ფ „ფოტო გადიდება"

08.00 „მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ" რუსულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო" 11.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა" 7 ნაწ. 14.00 დ/ფ „სიცოცხლე" მე-5 ნაწ. 16.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა" 8 ნაწ. 19.00 ტ/სერ „საიდუმლო გამოძიებანი" 4 სერ. 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა" 00.00 „მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ" რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე" 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი" 13.00 სერ. „24 – 5" 14.40 დოკ/ფ „მოდის ფანატიკოსები" 2 ნაწ. 16.00 სერ. „დამალული სიმართლე" 17.50 სერ. „თილისმა" 18.50 სერ. „სახიფათო ვნება" 21.00 სერ. „მარტოსული" 22.00 ქ/სერ „ცხელი ძაღლი" 10 სერ. 23.00 მხ/ფ „ბრონქსის ისტორია" (ჩ.პალმინტერი) 01.25 მხ/ფ „მოწინააღმდეგე მხარეები" (ო.ტაბაკოვი) 03.30 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია" 11.00 სერ. „იდუმალი ძალი" 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე" 15.30 იღბლიანი ბორბალი (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული" 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი" 20.05 სერ „ერთგულების ძალა" 22.00 ნანუკას შოუ. 23.40 ჩემპიონთა ლიგა 02.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 02.30, 05.00 მხ/ფ. 04.30 კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.25 დოკ/ფ „ველური ბუნება" 06.55 მხ/ფ „მე მოვედი" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი" 10.00, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 დოკ/ფ „უბისა" 11.00 დოკ/ფ „უაილ ვესთის მხედრები" 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.05 ამინდი 12.10 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.15 დროის ჩანაწერები 13.25 ქრისტიანული სწავლება 13.40 კონცერტი-ლეონარდ ბერნსტაინი 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება" 15.55 კონცერტი - მთიები 16.50 კვირიაკე 18.05 მრავალჟამიერი 18.30 დეკორატიული ფლორა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „გაზაფხული გადის" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ეპოქის სახელები 21.55 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 22.25 ქართული ალბომი 22.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 22.55 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ „ლაზი ვორე,ლაზი ქართველი, ჭანი" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ „მოხუცი და ზღვა"

მაესტრო 07.00, 05.35, 06.00, 07.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 07.30, 12.30, 15.30, 17.00, 17.10, 18.45, 05.55, 06.35 უცხოეთის ამბები 07.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 06.55 უკომენტაროდ+ამინდი 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 00.00 ახალი ამბები 08.10, 09.10, 10.15 მაღვიძარა 11.30 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15, 04.00 თავისუფალი დრო 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 00.30 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი" 20.00 ამბები მოკლედ 20.05, 01.40 თოქ—შოუ - „არგუმენტები" 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 01.20 „ყოველდღიური აბები" 22.20, 02.30 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


13 მარტი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6594 |
| ევრო | 2,1569 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,4684 |
| 100 რუსული რუბლი | 5,3951 |

**ამინდის პროგნოზი 13 მარტისთვის**





# მათთვის, ვინც ვერ მოახერხა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის 4-ტომეულის შეძენა!

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია
ტომი 1
უძველესი დროიდან VI საუკუნემდე

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია
ტომი 2
VI-XI საუკუნეები

22 თებერვლიდან იყიდება **პირველი და მეორე ტომები**

1 მარტიდან **მესამე ტომი**

5 მარტიდან **მეოთხე ტომი**

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია
ტომი 4
XVII-XX საუკუნეები

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია
ტომი 3
XII-XVI საუკუნეები

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

**ინფორმაციისთვის დარეკეთ 294-02-55**


## ყველამ გაითვალისწინეთ! შემოქმედებითი დღეა

## ასტროპროგნოზი 13 მარტისთვის

**ვერძი** – ახალი იდეები გაწუხებთ და აქტიურობთ. **კურო** – გადაიხალისეთ გარდერობი, შეხვედრა გაქვთ დაგეგმილი. **ტყუპები** – ზედმეტი აქტიურობა არ გარგებთ. **კირჩხიბი** – ფულის პრობლემა აღარ გაქვთ. **ლომი** – მშვენიერი დღეა, ბედი გწყალობთ. **ქალწული** – მეგობრების წრეში კარგად გაერთობით, ახალ ამბებსაც გაიგებთ. **სასწორი** – პრობლემა არ გაწუხებთ, მხიარულად ხართ. **ღრიანკალი** – თქვენი საქმე კარგად მიდის, ფულიც გაქვთ. **მშვილდოსანი** – არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **თხის რქა** – დიდი პერსპექტივა გადაგეშლებათ, გიხარიათ. **მერწყული** – მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **თევზები** – არ აყვეთ სხვებს, მხოლოდ საკუთარ თავს დაუჯერეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**შვეულად**: 1. უმაღლესი მწვერვალი კავკასიონზე; 2. თეთრი, ტკბილი კრისტალური ნივთიერება, შაქრის სუროგატი; 3. სახელმწიფო დაწესებულების მომსახურე პირი; 4. მიწის ფართობის საზომი ერთეული ძველად საქართველოში; 5. ველური, კაციჭამია; 8. აეროპორტი მადრიდში; 12. შაქრის ლერწმის არაყი; 13. კამათი მეცნიერული, ლიტერატურული ან პოლიტიკური საკითხების განხილვისას; 14. პურეული მცენარე; 16. „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟი; 18. უნგრელი კომპოზიტორი; 20. კლდოვან ადგილებში ბინადარი ხვლიკის მსგავსი ქვეწარმავალი.

**თარაზულად**: 6. უბანი ქუთაისში; 7. სამეცნიერო ხარისხის მინიჭება; 8. ფრანგი ბალეტმეისტერი; 9. კუთხე საქართველოში; 10. სამონასტრო კომპლექსი თეთრი წყაროს რაიონში; 11. თაღლითი, ყალთაბანდი; 15. სტაჟიორი ადვოკატი ბრიტანეთში; 17. ხორვატიის კალათბურთელთა გუნდი; 19. სამხრეთ ამერიკის სახელმწიფო გაიანას დედაქალაქი; 21. მუსლიმანური რელიგიური დოგმების ფანატიკოსი მიმდევარი; 22. ძველებური სამგზავრო ხელჩანთა; 23. სამყარო, როგორც მთლიანობა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



# იური ბაშმეტს საპროტესტო აქცია მოუწყვეს

ეკა ირემაშვილი



მსოფლიოში სახელგანთქმულ ალტისტ იური ბაშმეტს თბილისის კონსერვატორიასთან საპროტესტო აქცია მოუწყვეს. მუსიკოსი საქართველოში სამუსიკო სკოლა „ნიჭიერთა ათწლედის" მოწვევით ჩამოვიდა. იური ბაშმეტთან ერთად კონცერტში მონაწილეობა მიიღო „საქართველოს სიმფონიეტამ". ღონისძიება საქველმოქმედო იყო. კონცერტი გაიმართა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლის „ნიჭიერთა ათწლედის" მხარდასაჭერად. კონცერტზე დასასწრები ბილეთის ფასი 10-დან 50 ლარამდე მერყეობდა. კულტურის სამინისტროში განმარტეს, რომ იური ბაშმეტის კონცერტის ორგანიზებაში არანაირი ფორმით არ ყოფილან ჩარეული და მუსიკოსი თბილისში უშუალოდ „ნიჭიერთა ათწლედის" მოწვევით ჩამოვიდა.

კონსერვატორიის წინ საპროტესტო აქცია მიმდინარეობდა. შეკრებილი საზოგადოება აპროტესტებდა იმ ფაქტს, რომ 2008 წელს იური ბაშმეტმა დამოუკიდებლობა მიულოცა აფხაზებსა და ოსებს.

იური ბაშმეტს თბილისში არაერთხელ დაუკრავს, თუმცა, მისი ამჟამინდელი ჩამოსვლის გამო საზოგადოებაში არაერთგვაროვანი შეხედულებები გაჩნდა, რაც მუსიკოსის საქართველოსადმი პოლიტიკური აქტივობითაა გამოწვეული.

ცნობილია, რომ იური ბაშმეტმა თავის დროზე რუს ინტელიგენტებთან ერთად ხელი მოაწერა პუტინისადმი წერილს, რომელშიც საუბარი იყო, რომ „სააკაშვილის მარიონეტულმა რეჟიმ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ვატიკანში 115 კარდინალი ახალი პაპის ასარჩევად შეიკრიბა



მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 115 კარდინალი ვატიკანში, წმინდა პეტრეს ტაძარში ახალი პაპის ასარჩევად დღეს დილით შეიკრიბა. ამის შესახებ „ბიბისი" იუწყება.

გამოცემის ინფორმაციით, რომის 226-ე პაპის არჩევნების დაწყების წინ კარდინალებმა ტაძარში საზეიმო მესა შეასრულეს. მესის დასრულების შემდეგ მათ წმინდა პეტრეს ტაძრიდან სიქსტის კაპელაში გადაინაცვლეს, სადაც არჩევნები გაიმართება. თუმცა, არჩევნების დაწყების წინ 115-მა კარდინალმა უდიდესი საიდუმლოს შენახვის ფიცი დადო.

მათ გარდა, ფიცი დაადებინეს სიქსტის კაპელას ტექნიკურ და მომსახურე პერსონალს, რომლებიც არჩევნების პერიოდში იქნებიან იქ. კომუნიკაციის ყველანაირი საშუალება იქნება გათიშული კარდინალებისა და მომსახურე პერსონალის საძინებლებში. „ბიბისის" ცნობით, უსაფრთხოების ზომების ასეთი გამკაცრება ტრადიციულად ხდება, როცა რომის ახალ პონტიფიკს ირჩევენ. საიდუმლოს შენახვის ფიცის დამრღვევი უმკაცრესად დაისჯება და ეკლესიიდან მოიკვეთება.

ვატიკანის ოფიციალური წარმომადგენლის, ფედერიკო ლომბარდის განცხადებით, პაპის არჩევასთან დაკავშირებით, ვატიკანში გამკაცრებულია უსაფრთხოების ზომები. სიქსტის კაპელას ტერიტორიაზე დამონტაჟებულია სპეციალური მოწყობილობა, რომელიც ახშობს მობილური ტელეფონების სიგნალს და კაპელაში დამონტაჟებულ პატარა ელექტრონულ მიკროფონებს.

უცხო პირებთან კონტაქტისგან თავის არიდების მიზნით, კარდინალებს სიქსტის კაპელაში სანტა მარიას რეზიდენციიდან,

გაგრძელება მე-7 გვერდზე

# შვიდეული დარჩიამაც გაამზადა



19-24 მარტს თბილისში გასამართ ევროპის ჩემპიონატზე გასაყვანი შემადგენლობა ბერძენ-რომაელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბეგი დარჩიამაც დაასახელა.

აღსანიშნავია, რომ დარჩიას მიერ შერჩეული შემადგენლობა ზუსტად ისეთია, როგორმაც ლონდონის ოლიმპიადაზე იასპარეზა: ლაშა გოგიტაძე (55), რევაზ ლაშხი (60), მანუჩარ ცხადაია (66), ზურაბ დათუნაშვილი (74), ვლადიმერ გეგეშიძე (84), სოსო ჯაბიძე (96) და გურამ ფერსელიძე (120).

ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამ შემადგენლობამ ოლიმპიადაზე თავი მაინცდამაინც ვერაფრით გამოიჩინა და მხოლოდ ორი მედალი აიღო – ლაშხი (ვერცხლი), ცხადაია (ბრინჯაო).

ნაკრები ამჟამად ბორჯომშია და დასკვნით შეკრებას გადის. ბერძენ-რომაელები ტურნირში ყველაზე გვიან – 23-24 მარტს ჭიდაობენ და შეკრების დასრულებას იმიტომაც არ ჩქარობენ.

მ. ჟ.

ლურჯი წითელი ყვითელი შავი